ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 21 იანვარი, 2013 | №16 (6017) | ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“ + ილია II

ოქროს ხანა სამტრომეულის პირველი ტომი

8 ლარი

რა შედეგით დასრულდება ილია II-ისა და პუტინის შეხვედრა

გვ.3

შეხვედრა 23 იანვარს გაიმართება და მას რუსეთის პატრიარქიც დაესწრება

„დღეიდან პრეზიდენტის მოვალეობა დავით უსუფაშვილმა უნდა შეასრულოს“

გვ.3

ავლაბრის რეზიდენციასთან კარვები გაშალეს

ვლადიმერ ბედუკაძე: „ახალაია პატიმრების წამებას პირადად ესწრებოდა“

ციხის კადრების ავტორ ვლადიმერ ბედუკაძის განცხადებით, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია პატიმართა წამებას პირადად ესწრებოდა. ამის შესახებ ბედუკაძემ ჟურნალისტებს პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციასთან განუცხადა, სადაც პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით აქცია იმართება.

„ხათუნა კალმახელიძემ შესანიშნავად იცოდა, რა ხდებოდა ციხეებში, მაგრამ წამებას პირადად არ ესწრებოდა. კადრები, რომლებზეც ვსაუბრობდი, პროკურატურას სრულყოფილად გადავეცი“, – განაცხადა ბედუკაძემ.

პირველი

საპრეზიდენტო მარათონი

გვ.5

მიიღებს თუ არა არჩევნებში მონაწილეობას ნინო ბურჯანაძე

ლადო პაპავა თემურ ბასილიაზე ძებნის შეწყვეტას ითხოვს

გვ.6

გოგი ხუციშვილი: „თბილისს სასწრაფოდ უნდა დაუბრუნდეს საპარლამენტო ქალაქის სტატუსი!“

გვ.4

ხათუნა ლაგაზიძე: „სამეგრელოში დესტაბილიზაცია არ უნდა დავუშვათ!“

გვ.7

დაბრუნდება თუ არა ირაკლი ოქრუაშვილი პოლიტიკაში?!

გვ.2

9 771987 938006

6 ერეკლე მეორის საზოგადოება ილია ჭავჭავაძის ძებნის გადარჩენას ითხოვს

2 ნაციონალებს შსს-სა და პროკურატურაში დიდი დასაყრდენი აქვთ

2 ზემო ფონიჭალის მოსახლეობა თბილისი-მარნეულის გზის გადაკეტვას გეგმავს

11 „დედ ჰასანი“ მოსკოვში დაკრძალეს

დაბრუნდება თუ არა ირაკლი ოქრუაშვილი პოლიტიკაში?!

როლანდ ხოჯანაშვილი
„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, 2000 წლამდე ადვოკატი, 2002 წლამდე იუსტიციის მინისტრის მოადგილე, შემდეგ გორის მაჟორიტარი დეპუტატი, შიდა ქართლის გუბერნატორი, გენერალური პროკურორი, შს მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, ეკონომიკური განვითარების მინისტრი, შემდეგ პატიმარი, ემიგრანტი და ბოლოს რეემიგრანტი — ეს არის 39 წლის ირაკლი ოქრუაშვილის თავბრუდამხვევი კარიერის ისტორია.

ნაციონალურმა ხელისუფლებამ მას 2007 წელს თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და ფულის გამოძალვაში დასდო ბრალი. კულუარული ინფორმაციით ოქრუაშვილისა და მერაბიშვილის დაპირისპირებაში სააკაშვილმა უპრეტენზიო მერაბიშვილი წინა პლანზე დააყენა, თან მერაბიშვილი ,,დავერბოვკებული“ ჰყავს გირგვლიანის საქმითო.

ირაკლი ოქრუაშვილის სიძლიერის ლეგენდა იმ დღესვე მარილივით დაიფხვნა, როგორც კი სატელევიზიო აღიარება დაფქვა. საფრანგეთში თავშეფარებულს ვერ უშველა ვერ გამოცდილმა ადვოკატებმა და მით უფრო–საზოგადოებრივმა მხარდაჭერამ, რომელიც დღითიდღე იკლებდა და ინერტული ხდებოდა.

ეგრედ წოდებული ,,ზილების რევოლუციის“ დროს ი. ოქრუაშვილის წინააღმდეგ ორი მანქანა მუშაობდა: სახელმწიფო სტრუქტურები და თავად ნამინისტრალის დაპირებები, რომლებიც ვერ შეასრულა. სააკაშვილის სიძულვილით სავსე ადამიანებს ჰქონდათ იმედი, რომ ირაკლი იქნებოდა ის ადამიანი, რომელიც ,,ქართული პარტიის“ საშუალებით მოახდენდა ,,ნაციონალური მოძრაობის“ სრულ დემონტაჟს.

სკანდალური განცხადებები, რომლებიც შემდეგში შეცვალა მნიშვნელოვნად ოქრუაშვილმა, მის იმიჯზე პოზიტიურად ნამდვილად არ მოქმედებდა. გავიხსენოთ თუნდაც ის, რომ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით გრიგოლიას ეთერში სხვა რამე თქვა, ახალკაცთან –სულ სხვა.

ოქრუაშვილის ხისტი ხასიათის შესახებ ბევრს საუბრობენ, თუმცა თვალნათელია ის, რომ მას აშკარად ჰქონდა დიქტატორული ან მინიმუმ დამთრგუნველი პოლიტიკოსის იმიჯი (გაიხსენეთ ,,შვილად“ წოდებული ჯარის მოსამსახურეების მიმართ ცნობილი გამონათქვამები, რუსული ბაზრის ქართული ფეკალიით მომარაგებისა და მსუბუქი ყოფაქცევის ქალების დაწიოკების ფაქტები).

რით ჰგავს მერაბიშვილი და ოქრუაშვილი ერთმანეთს? ალბათ იმით, რომ ორივე ძალიან კარგად მუშაობენ ,,მეორე კაცებად“, ოღონდაც მერაბიშვილს არ გააჩნდა ამბიციები!

სააკაშვილის მოადგილეობიდან ეკონომიკური განვითარების მინისტრის პორტფელის ჩათვლით ოქრუაშვილს ნამდვილად ჰქონდა უზრუნველი ცხოვრების შანსი, მაგრამ მან, სავარაუდოდ, ვერ დაითმინა ამბიციურობა.

მისი ამბიციურობიდან გამომდინარე არც ,,ქართულ ოცნებას“ გამოუხატავს სიმპატიები. განსაკუთრებით უსიამოვნო იყო მაია ფანჯიკიძის დამოკიდებულება, რომელიც ოქრუაშვილს უზნეო ადამიანად მიიჩნევდა. ეს შეფასება ოქრუაშვილის პარიზულმა მწვავე ხასიათის გზავნილმა გამოიწვია, სადაც მან ფანჯიკიძის ძმა ნარკორეალიზატორად გამოაცხადა. ეს კი ოქრუაშვილმა მას შემდეგ გააჟღერა, როცა ფანჯიკიძემ ,,ქართული ოცნების“ პრესსპიკერობისას მას ხელისუფლების მოკავშირე და საფრანგეთში ხელისუფლების გამგზავრებული უწოდა. საპასუხოდ ირაკლი ოქრუაშვილმა თქვა: ,,2008 წელს რომ ომი მოხდა, ის ამათ მგონი, აღარ ახსოვთ და ჩემი ცხინვალის ამბებმა აფიქრებინა, რომ სააკაშვილთან ვთანამშრომლობ...ნახევარი ევროპის ციხეები მომატარეს სააკაშვილის წყალობით და, თურმე, საფრანგეთში რომ ვარ დღეს, ეს აფიქრებინებთ, რომ სააკაშვილის გუნდის წევრი ვარ. თუ ეს ფანჯიკიძის პასუხია, ვერ მივიღებ, რადგან ისიც იმ ადამიანების რიცხვს მიეკუთვნება, ვინც პირად მოტივებზე დაყრდნობით მტრად მიმიჩნევს. ფანჯიკიძის ძმა იყო დაჭერილი ჩემი შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს ნარკოტიკების დიდი ოდენობით შენახვისთვის. ის იყო თბილისში ცნობილი ნარკორეალიზატორი და ნახევარი საბურთალო და ვაკე მოწამლა. ვერ დავუმტკიცეთ... კარგად გაიხსენონ, ვინ დარბოდა მიშასთან მაგ პრობლემის გამო!“

გარემოცვის მიერ არასწორი ინფორმირების გამო ბიძინა ივანიშვილსაც არ აქვს ჩემზე პოზიტიური შეხედულებაო, ამბობს ოქრუაშვილი.

დღევანდელი რეალობა კი ის არის, რომ ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოშია და ასაკიდან გამომდინარე არ გამორიცხავს თავისი აქტივობების დაწყებას. რამდენად აქვს შანსი მას, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს, ადვილი დასადგენია. მან როცა შექმნა თავისი პოლიტიკური გაერთიანება, მაშინ მის გვერდით იდგა საზოგადოების და პოლიტიკოსების ის ნაწილი, რომელიც იდეურად უპირისპირდებოდა საქართველოს პრეზიდენტს. ეს ნაწილი უკვე სხვა ბიძინა ივანიშვილის ბანაკშია ან ესწრაფვის ამ ბანაკთან ალიანსს. თავისუფალი ნაწილი აქტიური პოლიტიკური სპექტრის ამჯერად საქართველოში არ არსებობს, რადგან ის უმნიშვნელო ნაწილი, რომელიც დარჩა ,,ნაციონალური მოძრაობისა“ და ,,ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა გარდა, ინაწილებს ბევრი პოლიტიკური ძალა. ათეულობით პოლიტიკური სუბიექტი ადვილად ხვდება, რომ ამ ჯერზე მათი პერსპექტივა არ ჩანს. ,,ქართული ოცნების“ სტრატეგიული კურსი სრულად შეესაბამება პოლიტიკურ ბრძოლას–ნელ-ნელა ასუსტებს ,,ნაციონალურ მოძრაობას“ და საპრეზიდენტო ხელისუფლებას, ამავდროულად კოალიციის შიგნითაც იჭერს თადარიგს. ცნობილია, რომ ,,ქართული ოცნების“ რეგიონული ოფისების ამუშავება იგეგმება უახლოეს ხანებში, რომელიც იმუშავებს სწორედ პარტიულ-პოლიტიკური სტრუქტურების გამართულობით.

საქართველოს რეალობაში პოლიტიკური ძალის შექმნას მხოლოდ იდეური კურსი რომ არ ჰყოფნის, ამის დასადასტურებლად კმარა ისიც, რომ ჩრდილშია მოქცეული არაერთი პოლიტიკური ძალა თუ პირი. რატომღაც აღარ ახსენდებათ კახა შარტავა, რომელსაც ნამდვილად ვერავინ დასწამებს იმ ცოდვებს, რისი წამოძახებებითაც დაკავებულია დღევანდელი პოლიტიკური სპექტრი.

ამბიციურმა ბურჯანაძემაც შეიძლება მალე დაიწყოს თავისი პოლიტიკური ძალის გაძლიერებაზე ფიქრი, მას უკვე მეუღლე ჰყავს საქართველოში(ერთი მნიშვნელოვანი დასაყრდენი). ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებენ ქრისტიან დემოკრატები, ახალი მემარჯვენეები და კუკავას პარტიის წარმომადგენლები. ჩვენს სინამდვილეში პარტიიდან პარტიაში გადახტომა ახალი ამბავი არაა, მაგრამ ამ გადანაცვლებებს ძირითადად ჰქონდა ფინანსურ-ბიუროკრატიული ხასიათი. ,,ქართული ოცნება“ ჯერ ისევ ფრთხილად მუშაობს და თავისი რიგებიდან წასვლა კი არა, იქით ,,იზიდავს“ შედარებით ანგარიშგასაწევი ძალის (,,ნაციონალური მოძრაობის“) წევრებს. შეგახსენებთ, რომ ორიოდე დღის წინათაც მოხდა ,,დიდი გადაადგილება“ ნაციონალი დეპუტატისა პარლამენტში.

ერთი სამწუხარო ტენდენცია თვალშისაცემია: ბევრი პირი, რომელნიც ასე თუ ისე თუნდაც ათეული წლის წინ იყვნენ პოლიტიკურ თანამდებობაზე, ვერ ეგუებიან ასპარეზიდან წასვლას და მაინცდამაინც ,,მშობლიურ წიაღში“ – პოლიტიკაში დაბრუნებას ცდილობენ.

სასურველსა და შესაძლებელს შორის კი უმეტესად დიდი სხვაობაა.

ნაციონალებს შსს-სა და პროკურატურაში დიდი დასაყრდენი აქვთ

გულიკო ბალაძე

არის თუ არა აუცილებელი სამართალდამცავი ორგანოებიდან — შს სამინისტროდან და პროკურატურიდან ძველი კადრების გაშვება? რა საშიშროებას ქმნიან ძველი კადრები, რომლებიც იმ სისტემის ნაწილს წარმოადგენენ, რომელიც დასაგმობი და გასასამართლებელია?

როდესაც ციხის კადრები გავრცელდა, სააკაშვილმა განაცხადა, რომ ეს იყო სისტემის მარცხი. ამიტომ ახალი ხელისუფლების პირობებში სისტემა, რომელიც შეიქმნა ნაციონალური მოძრაობის პირობებში, ვერ შეასრულებს თავის ფუნქციას და უნდა დაიშალოს. ამ სისტემის შემქმნელები ძველი ხელისუფლების პირველი პირები არიან, მაგრამ მასულდგმულებელი ძალა, უსიტყვო აღმსრულებლები, ცხადია, ის საჯარო მოხელეები, პროკურორები, პოლიციელები და გამომძიებლები არიან, რომლებიც ამ სისტემაში მუშაობდნენ და ასრულებდნენ (და ახლაც მუშაობენ) დანაშაულებრივ, უზნეო, ანტიადამიანურ დავალებებს. დღეს ვრცელდება ინფორმაციები, რომ ისინი არა მხოლოდ თავის გადარჩენაზე, არამედ ძალაუფლების დაბრუნებაზეც ფიქრობენ, რაც ქვეყანას საფრთხეს უქმნის.

მეორე მხრივ, ახალი ხელისუფლება მათ მასობრივ დათხოვნას ერიდება, ნაციონალები რომ არ აყვირდნენ, არიქა, პოლიტიკური დევნა ხდება და ადამიანებს სამსახურებიდან პოლიტიკური ნიშნით ათავისუფლებენო. ადამიანების პოლიტიკური მოტივით გათავისუფლება მართლაც არ არის მისასალმებელი, არც ადამიანების მასობრივი დათხოვნაა კარგი საქმე, მაგრამ რა ვუყოთ იმ საქმეებს, რომლებსაც ისინი თხზავდნენ და ადამიანებს უცერემონიოდ სააკაშვილის ჯურღმულებში აგზავნიდნენ, სადაც ამუშავებული იყო წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საშინელი მანქანა და მუშაობდა ჯალათების მთელი არმია?

ამ ადამიანებს, რომლებიც სამსახურის, ფულისა თუ სხვა მიზეზების გამო სააკაშვილისა და მისი დამქაშების ყოველგვარი დავალების აღმსრულებლები იყვნენ, ახალ პირობებშიც შეუძლიათ, გააგრძელონ იგივე, მით უმეტეს, რომ მათი დაშანტაჟებაც არ არის გამორიცხული. დარწმუნებული ვარ, უკანონო და უზნეო ბრძანების შემსრულებლები სააკაშვილის რეჟიმს უკანონობაში აუცილებლად ეყოლება გამოჭერილი, მათი მაკომპრომეტირებელი მტკიცებულებები და დოსიეები კი შენახული ექნებათ. ამიტომ, ნაციონალური მოძრაობის ბოსების საიდუმლო დავალებებს თუ არ შეასრულებენ, შეიძლება, ციხეში აღმოჩნდნენ.

რა დავალების შემსრულებლები შეიძლება აღმოჩნდნენ ამ დანაშაულებრივი რეჟიმის დანაშაულებრივი ბრძანებების აღმსრულებლები, რომლებიც არც ისე ცოტანი არიან ძალოვან სტრუქტურებში, ამას ნებისმიერი ჭკუათმყოფელი ადამიანი მიხვდება.

„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე კი აცხადებს, რომ თუ ახალი ხელისუფლება პროკურატურიდან და პოლიციიდან არ გაათავისუფლებს იმ პირებს, რომლებიც წლების განმავლობაში დანაშაულს ჩადიოდნენ (როცა ადამიანებს შეთხზული საქმეებით, უკანონოდ ციხეებში უშვებდნენ, ხელს აწერდნენ უკანონო ბრალდებებსა და განაჩენებს), ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ბედს გაიზიარებს.

– 1990 წელს, როდესაც ეროვნული ხელისუფლება მოვიდა ხელისუფლებაში, ზვიად გამსახურდიამ განაცხადა, რომ მაშინდელი პოლიცია და პროკურატურა უკვე იყო ეროვნული პროკურატურა და ეროვნული პოლიცია. სწორედ იმ „ეროვნულმა პოლიციამ“ კინოს სახლთან, 1991 წლის 2 სექტემბერს ცეცხლი გახსნა და მოაწყო პროვოკაცია (ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ, რაც მაშინ მოხდა, პროვოკაცია იყო). ამის შემდეგ მოინათლა პრეზიდენტი გამსახურდია დიქტატორად. დღეს არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ შეიძლება, საქართველოში იგივე სცენარი ახლაც გამეორდეს, ვინაიდან მსგავს ექსცესებს ვხედავთ სამართალდამცავი სტრუქტურების მხრიდან. ეს არის თუნდაც გოჩიაშვილის საქმე. არასრულწლოვანი პიროვნება 6 საათის განმავლობაში იკითხებოდა პოლიციის მხრიდან და ცემა-ტყეპა მიმდინარეობს რაიონებში. ამიტომ, არ არის გამორიცხული, 2 სექტემბრის მსგავსი სცენარი გაიმეორონ და ბიძინა ივანიშვილი მოინათლოს ისეთ ადამიანად, რომელიც, თითქოსდა რეალურად, თავის ხალხს ესვრის. აუცილებელი ხომ არ არის, 2 სექტემბრის მსგავსი მოვლენა გამეორდეს? რატომ არ იღებს ზომებს ხელისუფლება, ჩემთვის გაუგებარია, – განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ.

1991 წლის 2 სექტემბერს კინოს სახლთან ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მიტინგს ატარებდა. აქციაზე 100-ზდე ადამიანი თუ იყო. იმ დროს საქართველოში ამერიკელ კონგრესმენთა ჯგუფი გახლდათ ჩამოსული. ფაქტობრივად, საქართველოს ბედი წყდებოდა. საქმე ეხებოდა იმას, დაუჭერდა თუ არა მხარს ამერიკა საქართველოს ხელისუფლების მიერ 9 აპრილს გამოცხადებულ დამოუკიდებლობას და დავიხსნიდით თუ არა თავს იმპერიული კლანჭებიდან. ამ დროს 100-კაციან მიტინგზე გამოვიდნენ პოლიციელები და ჰაერში ისროლეს.

ამერიკამ საბჭოთა იმპერია რეალური დემოკრატიული ნორმების მოთხოვნების, ადამიანის უფლებების, სიტყვის თავისუფლებისა და საჯაროობის პრინციპების დაცვით დაამარცხა. ვინც იმ დროს შეესწრო,

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ზემო ფონიჭალის მოსახლეობა თბილისი-მარნეულის გზის გადაკეტვას გეგმავს

თბილისში, ზემო ფონიჭალაში მდებარე №11 საცხოვრებელი კორპუსის მცხოვრებლები დღეს, 16:00 საათზე თბილისი-მარნეულის გზის გადაკეტვას გეგმავენ.

როგორც ,,მედიანიუსს“ №11 კორპუსის ერთ-ერთმა მცხოვრებმა მზია ქოროღლიშვილმა აცნობა, ისინი სოციალურად დაუცველები არიან და მათ სახლებიდან ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები ასახლებენ.

,,გააკეთეს გაყალბებული საბუთები, რომლებსაც გვიდებენ და გარეთ გვყრიან ამ საბუთებზე დაყრდნობით. ორი ოჯახი უკვე გაიყვანეს. მათ კანონიერად არაფრის უფლება არ აქვთ, თვითონ ეს პირები სააღსრულებლო ბიუროში მუშაობენ და გაყალბებული საბუთები გააკეთეს. კრწანისის რაიონის მაჟორიტარობის ყოფილი დეპუტატის მერაბ რაფავას და ნაციონალების ხალხია. ამ კორპუსში 2005 წლიდან ვცხოვრობთ. ვართ ძალინ გაჭირვებული მოსახლეობა. სახლებიდან ნაციონალები გვასახლებენ, შემდეგ ბინებს კეტავენ და ყიდიან. როცა შემოვედით, მთელი კორპუსი შავი კარკასი იყო და ჩვენ გავაკეთეთ, გაზი და ელექტროენერგიაც ახლახანს შემოვიყვანეთ. ასეთ პირობებში გვიწევდა ცხოვრება“- აღნიშნავს მზია ქოროღლიშვილი.

მისი თქმით, აღნიშნულ საკითხზე ხვალ უკვე მეოთხე სასამართლო პროცესი იმართება.

,,ამ საქმეში ეკონომიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე კახა დამენიაცაა გარეული და მათთან ჩვენ ვერაფერს ვხდებით. ამიტომ 16:00 საათზე მარნეული-თბილისის გზა უნდა გადავკეტოთ. მთელი კორპუსი გარეთ გავდივართ. ნაციონალები აქ მაცხოვრებლები არ არიან. ისინი სააღსრულებლოში მუშაობენ და თვითონ რაც უნდათ იმას აკეთებენ,“-აცხადებს მზია ქოროღლიშვილი.

მისი თქმით, ამჟამად აღნიშნული საცხოვრებელი კორპუსიდან ორი ოჯახის გამოსახლება, პოლიციის დახმარებით უკვე განხორციელდა.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„დღეიდან პრეზიდენტის მოვალეობა დავით უსუფაშვილმა უნდა შეასრულოს“

ავლაბრის რეზიდენციასთან კარვები გაშალეს

შორენა მარსაგიშვილი

მიხეილ სააკაშვილს კონსტიტუციით გათვალისწინებული 5-წლიანი საპრეზიდენტო ვადა გუშინ ამოეწურა. ეს მასაც კარგად მოეხსენება, მაგრამ არსად წასვლას არ აპირებს, დაუჩემებია, მე ჩემს ხალხს განსაცდელში ვერ მივატოვებო. ახლა ისე ნუ გამიგებთ, რომ მეოცნებეების გამო არ მიდის. არჩევნებამდე კარგა ხნით ადრე ჩააწერინა კონსტიტუციაში, რომ საპრეზიდენტო ვადა 10 თვით გაუხანგრძლივდებოდა.

არჩევნებში გამარჯვებული და კოაბიტაციის სიმებზე აწყობილი მეოცნებეები სააკაშვილის ატანას 10 თვით კიდევ აპირებენ. საზოგადოების დიდი ნაწილი, არასამთავრობოები და რიგი პოლიტიკური პარტიები კი პრეზიდენტის გადაყენებას ითხოვენ.

მათ მოთხოვნებს ახლახან ციხიდან გამოსული პოლიტპატიმრებიც შეუერთდნენ. ისინი პარლამენტს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებისკენ მოუწოდებენ. საოცნებო პარლამენტი კი თავის პოზიციას არ თმობს და ოქტომბრისთვის ემზადება. ამათაც უნდა გავუგოთ, საპრეზიდენტო კანდიდატი ჯერ შერჩეული არ ჰყავთ. მეოცნებეებს ჯერ ვერ გაურკვევიათ, ვინ იქნება მათი ფალავანი – ირაკლი ალასანია თუ ვახტანგ ხმალაძე.

საპრეზიდენტო მარათონში სხვებიც ჩაებმებიან. მათთვის ახლა მთავარი სააკაშვილის გადაყენებაა. პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით გუშინ საქართველოში საპროტესტო აქციები დაიწყო.

50 არასამთავრობო ორგანიზაცია უკვე კარგა ხანია პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით ხელმოწერებს აგროვებს. გუშინ გამართულ აქციაზე განაცხადეს, რომ მათ მილიონამდე ხელმოწერა მოაგროვეს.

ხელმოწერებს გუშინაც აგროვებდნენ. გუშინდელ აქციაში რამდენიმე ათასი ადამიანი მონაწილეობდა. მათ შორის მრავლად იყვნენ საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები. იქ მივიდნენ პოლიტპატიმრებიც. მათი თქმით, სააკაშვილმა თანამდებობა დაუყოვნებლივ უნდა დატოვოს.

აქციაში მონაწილეობა არ მიუღიათ, მაგრამ საგანგებო განცხადება გაავრცელეს ახალმა მემარჯვენეებმა. მემარჯვენეების განცხადებით, 2013 წლის 20 იანვარს კონსტიტუციის თანახმად (მუხლი 70.1.) იწურება მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის 5-წლიანი ვადა.

– სამწუხაროდ, პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, 2006 წლის 27 იანვარს საქართველოს კონსტიტუციაში გაჩნდა სხვა ჩანაწერიც (მუხლი 70.9.), რომლის თანახმადაც მოქმედ პრეზიდენტს ვადა 2013 წლის ოქტომბერში ეწურება. კონსტიტუციაში ამგვარი კოლიზიის არსებობა მრავალ პოლიტიკურ და სამართლებრივ უხერხულობას წარმოშობს. თავის დროზე, „ახალი მემარჯვენეები“ საქართველოს პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის და კენჭისყრისას საპრეზიდენტო ვადით მანიპულირების საკითხს აქტიურად ვეწინააღმდეგებოდით. ვთვლით, რომ 2013 წლის 20 იანვრის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი, როგორც პრეზიდენტი, დელეგიტიმირებული იქნება და ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება ახალი და ძველი ხელისუფლების თანაცხოვრების თვალსაზრისით კიდევ უფრო რთული გახდება. იმის მოლოდინი, რომ ლეგიტიმაციას მოკლებული პრეზიდენტი და ახალი მმართველი ძალა საზოგადოებას 2013 წლის ოქტომბრამდე თანაცხოვრების ისეთ ურთიერთკომპრომისულ მოდელს შესთავაზებენ, რომლითაც საზოგადოების ინტერესი იქნება დაცული, არავის აქვს. ვინაიდან კონსტიტუციაში არსებული კოლიზიის სამართლებრივი გადაწყვეტის გზა ნათლად არ ჩანს; ვინაიდან 20 იანვრის შემდეგ რთული პოლიტიკური მოვლენების განვითარების დიდი ალბათობა არსებობს, შექმნილი სიტუაციიდან ყველაზე ადეკვატური და ნორმალური გამოსავალი თავად მიხეილ სააკაშვილის მიერ თანამდებობის დატოვება იქნებოდა, – აცხადებენ მემარჯვენეები.

აქციის ორგანიზატორების თქმით, გუშინდელი შეკრება იყო ღირსების შეკრება. ისინი გაცილებით მეტი ხალხის მისვლას ელოდნენ.

განსაკუთრებით ემოციური გამოსვლები ჰქონდათ პოლიტპატიმრებს. მათი განცხადებით, სააკაშვილმა ქვეყანა ისეთი საშინელ დღეში ჩააგდო, რომ ის დაუყოვნებლივ უნდა გადადგეს.

ყოფილი პოლიტპატიმრები საქართველოს მოქალაქეებს მოუწოდებენ, მიხეილ სააკაშვილი 21 იანვრიდან პრეზიდენტის სტატუსით აღარ მოიხსენიონ.

– საქართველოს ყველა მოქალაქემ იცის, რომ მიხეილ სააკაშვილი ხელოვნურად იგრძელებს ვადას, ამიტომ ჩვენ მივმართავთ ყველა მოქალაქეს, რომ მას არა პრეზიდენტი, არამედ მოქალაქე დაუძახონ. დარწმუნებული ვარ, ვინც მას პრეზიდენტის სტატუსით მიმართავს, მხოლოდ ერთეულები იქნებიან, – განაცხადა მელორ ვაჩნაძემ.

რაც შეეხება იმპიჩმენტის მოთხოვნას, ვაჩნაძის თქმით, პოლიტპატიმრები უერთდებიან მოძრაობა „ერთსულოვნების“ ინიციატივას, რომ მოხდეს პრეზიდენტის იმპიჩმენტი. თუმცა, მელორ ვაჩნაძის განცხადებით, ეს ახალი ხელისუფლებისა და პარლამენტის გადასაწყვეტია.

აქციაზე მისული იყო ლადო ბედუკაძეც. ციხის სკანდალური კადრების ავტორი საქართველოში რამდენიმე დღის წინ დაიკავეს. ბედუკაძე შაბათს საღამოს გაათავისუფლეს. გუშინ კი ის უკვე სააკაშვილის გადადგომას ითხოვდა.

– მე უფლება არ მქონდა, არ მოვსულიყავი აქ და სააკაშვილის გადადგომა არ მომეთხოვა, – განაცხადა ლადო ბედუკაძემ.

არასამთავრობო ორგანიზაციები მოითხოვენ, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილება დღეიდან დავით უსუფაშვილმა შეასრულოს.

– სააკაშვილის მიერ პრეზიდენტის სახელით განხორციელებული ნებისმიერი ქმედება ხელისუფლების მითვისებად ჩაითვლება, რადგან მას კონსტიტუციის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, 20 იანვარს, 24 საათზე საპრეზიდენტო ვადა ეწურება. მივმართავთ ახალ ხელისუფლებას, რომ დღეიდან პრეზიდენტის უფლება-მოვალეობა პარლამენტის თავმჯდომარემ შეასრულოს, – განაცხადა „ერთსულოვნების“ თავმჯდომარემ მიხეილ ანდღულაძემ.

აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ კანონის თანახმად, ხელისუფლების წყაროა ხალხი და მთავრობამ მათი ნება უნდა გაითვალისწინოს.

არასამთავრობო ორგანიზაციები მიმართავენ გაეროს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, პატივი სცენ საქართველოს კონსტიტუციას.

კოალიცია ,,ერთსულოვნების“ ლიდერის ინფორმაციით, აქციები პრეზიდენტის რეზიდენციასთან 24-საათიან რეჟიმში გადავა და ის 10 დღის განმავლობაში გაგრძელდება.

საგანგებო განცხადება გააკეთა გუშინ რევაზ ძოძუაშვილმაც. მან სააკაშვილს ქართული სპორტის განადგურებაში დასდო ბრალი.

– სპორტსმენებს გვაქვს იმის უფლება, რომ გავკიცხოთ წინა ხელისუფლება. პრეზიდენტს დიდი წვლილი მიუძღვის სპორტსმენების, და კონკრეტულად, ფეხბურთელების განადგურებაში. თუკი სპორტს რაიმე კარგი და ისტორიული ჰქონდა, მათ შორის, ისტორიული სტადიონები, ფიზკულტურის ინსტიტუტი, სააკაშვილმა ყველაფერი გაყიდა და სიხარულით აშენებდა ციხეებს, რომ ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები სპორსტმენები კი არ ყოფილიყვნენ, არამედ ციხეებში გაეტარებინათ თავიანთი ახალგაზრდობა. მიხეილ სააკაშვილმა სწორედ სპორტულ კორტებთან ამოხოცა ბავშვები, როგორც ძველი ბიჭები, სინამდვილეში კი, ისინი სამივენი სპორტსმენები იყვნენ, – განაცხადა რეზო ძოძუაშვილმა.

ძოძუაშვილმა საზოგადოებას მოუწოდა, დადგნენ ერთად და მოიყვანონ ის პრეზიდენტი, რომელსაც ეყვარება თავისი ქვეყანა და სპორტი.

– 20 იანვრიდან ქვეყანაში შეიქმნა ახალი რეალობა. ჩვენ პარლამენტს ვთავაზობთ ამ ახალი რეალობის დაწყებას. 20 იანვარს, ავლაბარში, პრეზიდენტის რეზიდენციასთან გაიმართა „ღირსების შეკრება“. ღირსება აქვს ხალხს, რომელიც იცავს და პატივს სცემს საკუთარი ქვეყნის კონსტიტუციას და არავის მისცემს უფლებას მიიტაცოს, ან თვითნებურად გაიხანგრძლივოს ძალაუფლება. ჩვენ ცივილიზაციის სათავეებთან მდგომი ცივილიზებული ერი ვართ და ნურავინ გვკარნახობს, როგორ უნდა მოვიქცეთ. ეს არის ცივილიზებული დამოკიდებულება ქვეყნის მთავარი კანონის – კონსტიტუციის მიმართ: 20 იანვარს გათავდება პრეზიდენტ სააკაშვილის მმართველობის 5-წლიანი ვადა და ის უნდა წავიდეს, – განაცხადა „თეთრების“ ლიდერმა თემურ შაშიაშვილმა.

მან აქტიურობის სხვა მიზეზებზეც ისაუბრა. შაშიაშვილი პრეზიდენტის თავხედობით არის შეშფოთებული.

– სააკაშვილს არასდროს აკლდა თავხედობა, მაგრამ ამ ბოლო პერიოდში განსაკუთრებულად გათავხედდა. მისი ბოლო დროის გამოსვლები ამის ნათელი მაგალითია. თუნდაც ქუთაისში მან განაცხადა, რომ თურმე პარლამენტის გარეშე ქუთაისი არის მკვდარი ქალაქი. პარლამენტი არ ყოფილა არასდროს ქუთაისში, მიუხედავად ამისა, ის მკვდარი ქალაქი არასოდეს ყოფილა. სააკაშვილს შემოაქვს რეგიონული ცენტრის მცნება, რაც არ იცის მსოფლიო პრაქტიკამ და არის სამარცხვინო და დამღუპველი საქართველოსათვის. პრეზიდენტი სააკაშვილი აშკარად ტოვებს წონასწორობიდან გამოსული კაცის შთაბეჭდილებას. მან დაკარგვა საკუთარი თავის კონტროლის და მართვის უნარი და ეს არის ადამიანი, რომელსაც ვერაფერი შეაკავებს, თუ 20 იანვარს არ დავდექით ფეხზე. მილიონმა ადამიანმა მოაწერა ხელი პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნას. ამ ადამიანებმა დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინეს. მათ დააფიქსირეს თავისი გვარი, სახელი, მონაცემები. ჩვენ მათ წინაშე ვგრძნობთ დიდ პასუხისმგებლობას და რადაც უნდა დაგვიჯდეს, დავიცავთ მათ ინტერესებს! ჩვენ მივმართავთ მათ მიერვე არჩეულ პარლამენტს და მთავრობას – ყური მიუგდონ ამ ადამიანების მისწრაფებას. რეალურად კოაბიტაცია არის ნაცმოძრაობის გადასარჩენად მოგონილი. ჩვენ ვაცხადებთ: ნაცმოძრაობა კი არ უნდა გადარჩეს, არამედ უნდა გასამართლდეს, როგორც დამნაშავე ორგანიზაცია! კიდევ ერთი., „ქართული ოცნების“ პროგრამა, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, როგორც ქვეყნის მომავლის პროგრამას, ვერ შესრულდება ჩაყაფრებული და მტრულად განწყობილი პრეზიდენტის პირობებში, – აცხადებს თემურ შაშიაშვილი.

გუშინვე საგანგებო განცხადება გაავრცელა კოალიცია „ჩვენი უფლებებისათვის“ თავმჯდომარემ დავით ლილუაშვილმა. მისი თქმით, პარლამენტმა და მთავრობამ საქართველოს პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი კანონგარეშედ უნდა გამოაცხადონ.

– 20 იანვარს სააკაშვილს, 2008 წელს გაყალბებული არჩევნების შედეგად მიტაცებული პრეზიდენტის უფლებამოსილება ამოეწურა. სწორედ აქედან გამომდინარე, მასთან აღარ არის საჭირო ახალი ხელისუფლების მხრიდან კოაბიტაციისა თუ კონსტრუქციული ურთიერთობის ფორმატით ურთიერთობა. პარლამენტმა და მთავრობამ სააკაშვილი კანონგარეშედ უნდა გამოაცხადონ და მისი უფლებამოსილება, დროებით პარლამენტის თავმჯდომარემ უნდა განახორციელოს, – აცხადებს ლილუაშვილი.

პრეზიდენტის რეზიდენციასთან მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით მიმდინარე აქციის მონაწილეებმა კარვები გაშალეს. აქციის ორგანიზატორების განცხადებით, ისინი რეზიდენციასთან 10 დღის განმავლობაში დარჩებიან.

მოძრაობა „ერთსულოვნების“ წევრების განცხადებით, მომდევნო დღეების გეგმები უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

რა შედეგით დასრულდება ილია II-ისა და პუტინის შეხვედრა

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II მოსკოვში გაემგზავრა.

საქართველოს პატრიარქი 21 იანვარს დაჯილდოების ცერემონიალში მიიღებს მონაწილეობას, რომელზეც ილია II-ს მართლმადიდებელი ქრისტიანების ერთობის საერთაშორისო საზოგადოებრივი ფონდის ჯილდო გადაეცემა.

ჩვენი საზოგადოება პატრიარქის რუსეთში ვიზიტს ყოველთვის იმედით უყურებს. აქ სჯერათ, რომ ერთადერთი ისაა, ვისაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მოგვარებაში სერიოზული წვლილის შეტანა შეუძლია.

ყველამ კარგად ვიცით, რომ ეს პრობლემა რუსეთის გარეშე ვერ მოგვარდება. რუსეთში კი საქართველოს პატრიარქს დიდ პატივს სცემენ. რუსეთში ჩვენს პატრიარქს რამდენიმე მაღალი რანგის შეხვედრა ექნება.

ჯერ კიდევ გასული წლის დამლევს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ილია II მოსკოვში რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შეხვდებოდა. ეს ინფორმაცია მაშინ არ დადასტურდა, გუშინ კი გაირკვა, რომ ეს შეხვედრა აუცილებლად შედგება.

საქართველოს პატრიარქი რუსეთის პრეზიდენტს 23 იანვარს შეხვდება. შეხვედრას რუსეთის პატრიარქი კირილიც დაესწრება. ჯერჯერობით უცნობია, რაზე ისაუბრებს სტუმარ-მასპინძელი. ამაზე ოფიციალური განცხადება არ გაკეთებულა, თუმცა ძნელი გამოსაცნობი არაა, რაზე ისაუბრებენ ისინი.

საქართველოსა და რუსეთს შორის აგვისტოს ომის შემდეგ ვითარება უკიდურესად გამწვავდა. რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა. კრემლის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ამ აღიარებას უკან არ წაიღებენ.

ამის მიუხედავად, საქართველოში მაინც აქვთ იმედი, რომ პატრიარქი რუსეთის ხელისუფლებასთან საერთო ენის გამონახვას შეძლებს, რაც მას, ალბათ, არ გაუჭირდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაკარგული ტერიტორიები დაბრუნდება. თუმცა, ვინ იცის.

რამდენიმე წლის წინ საქართველოს პატრიარქი რუსეთს სტუმრობდა, სადაც რუსეთის მაშინდელ პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს შეხვდა. ამ შეხვედრიდან ძალიან მალე რუსებმა საჩხერის რაიონის სოფელი პერევი დატოვეს. ამ სოფელში რუსები აგვისტოს ომის დროს შევიდნენ.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

გოგი ხუციშვილი: „თბილისს სასწრაფოდ უნდა დაუბრუნდეს საპარლამენტო ქალაქის სტატუსი!“

ნათია ხურცილავა

ინტერვიუ პოლიტოლოგ გოგი ხუციშვილთან

– ბატონო გოგი, პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა სომხეთში ოფიციალური ვიზიტის დროს, როგორც ცნობილია, აფხაზეთის სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენაზე ისაუბრა, რასაც პრეზიდენტის განცხადება მოჰყვა, რომ ეს ოკუპაციის დაკანონება იქნება და რომ ყარსი-ახალქალაქის პროექტს ჩაშლის. თქვენი შეფასება როგორია?

– მე მქონდა ამ საკითხთან დაკავშირებით განხილვა სპეციალისტებთან. როგორც ისინი მარწმუნებენ, ეს ორი პროექტი ერთმანეთთან თავსებადია, მეტიც, შეიძლება, გააძლიეროს კიდეც ერთმანეთი. საქმე ის არის, რომ ეს პროექტები წლებზეა გათვლილი. აფხაზეთში დღევანდელი მდგომარეობა არ გულისხმობს იმას, რომ ადვილად განსახორციელებელია რკინიგზის აღდგენა. ეს სხვა ძალიან ბევრ სერიოზულ პროცესს მოითხოვს საქართველო-რუსეთის ურთიერთობის აღდგენაში.

– კონკრეტულად რა ურთიერთობას გულისხმობთ? შეიძლება, ეს იყოს დიპლომატიური ურთიერთობა?

– არა, ეს ვერ იქნება დიპლომატიური ურთიერთობა. ვგულისხმობ ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურულ ურთიერთობებს. ერთობლივი პროექტები უნდა ამუშავდეს და უფრო მასშტაბური უნდა იყოს ეს ყველაფერი, რომ აფხაზეთის რკინიგზა გაიხსნას. მე მიმაჩნია, რომ ეს ყველაფერი სავსებით შესაძლებელია, მაგრამ, ამავე დროს, აუცილებელია, რომ აფხაზეთში შეიქმნას ისეთი ვითარება და განწყობა, რომელიც ხელს შეუწყობს ამ პროექტის განხორციელებას. ჯერჯერობით აფხაზები შეშინებული არიან იმ პერსპექტივით, რომ მსგავსი პროექტებით არ მოხდეს აფხაზებთან დაახლოება და ამან არ გამოიწვიოს იმ საზღვრების მოშლა, რომელიც მათ შექმნეს და სადაც თავს თითქოს უსაფრთხოდ გრძნობენ. აფხაზებს უნდათ, დარწმუნდნენ და დაიჯერონ, რომ მათ ქართული მხრიდან არავითარი საფრთხე არ ემუქრებათ. ამას კი გარკვეული დრო დასჭირდება.

– შეიძლება, აფხაზეთის რკინიგზის გახსნა რუსეთის ოკუპაციის დაკანონება იყოს, როგორც პრეზიდენტმა თქვა?

– ყველაფერი განსახილველია რეგიონულ კონტექსტში. საუბარია იმაზე, რომ საქართველოს როლი გაძლიერდეს რეგიონული კავშირების განმტკიცებით, ახალი პროექტების განხორციელებით.

– რას გულისხმობთ?

– საერთაშორისო პოლიტიკაში გამოიყენება როგორც სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის პრინციპი, ასევე ურთიერთდამოკიდებულების პრინციპი, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია. თუ დამოუკიდებლობა ცალკე ურთიერთდამოკიდებულების გარეშე განიხილება, მაშინ ის ძალიან ადვილად იქცევა იზოლაციად. იზოლირებული დამოუკიდებელი ქვეყანა ძალიან სუსტია. იმ შემთხვევაში, თუ ის ჩართულია რეგიონულ და საერთაშორისო პროექტებში, ენერგოდერეფნებში, ტრანსნაციონალურ მაგისტრალებში და ა.შ. ეს, მართალია, რთული სამართავია, მაგრამ, იმავდროულად, ძალიან გამაძლიერებელი ფაქტორია ქვეყნისთვის. ჩვენ ამ კუთხით უნდა გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა. საქართველოს ახალი ხელისუფლება ამ მიმართულებით ფიქრობს. ინიციატივები აქვს, რომელიც ექსპერტულად უნდა იყოს შესწავლილი. ნებისმიერ პროექტთან დაკავშირებით საექსპერტო კომისია უნდა იყოს, რომელმაც კომპეტენტური, ღირებული დასკვნა უნდა დადოს.

– საზოგადოების ჩართულობა უნდა იყოს?

– რასაკვირველია, ღია მსჯელობა უნდა იყოს ყველა პროექტთან დაკავშირებით.

– ბატონო გოგი, ბოლო დროს გავრცელებულ მოსაზრებაზე მინდა გკითხოთ. არ არის გამორიცხული, პრეზიდენტმა სააკაშვილმა, როგორც ითქვა, სამეგრელოდან მართოს ქვეყანა. როგორ ფიქრობთ, რატომ?

– ეს გადაწყვეტილება თუ იქნა მიღებული, რასაკვირველია, არ იქნება ჩვეულებრივი გადაწყვეტილება. ეს გულისხმობს იმას, რომ პოლიტიკური ბრძოლა გამწვავებულია პოლიტიკურ ოპოზიციასა და უმრავლესობას შორის. ამ შემთხვევაში „ნაციონალურ მოძრაობას“ რატომღაც ჰგონია, რომ სამეგრელოს რეგიონში მათ ექნებათ უკეთესი გარემო. ისინი სამეგრელოში პოლიტიკური გარემოს უკეთესობაზე იმიტომ ფიქრობენ, რომ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე უკეთესი შედეგი მიიღეს. რეალურად კი უნდა ითქვას, რომ სამეგრელოს რეგიონში სიტუაცია შეიცვალა. სამეგრელოში აღარ მოქმედებს აქტიურად ის ძალები, რომლებიც არჩევნების წინ „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ ქმნიდნენ სიტუაციას. ახალაიას კლანი სამეგრელოში უკვე ნაკლებად არის გავლენიანი. ძალიან ბევრი ფაქტორია, რაც მეტყველებს იმაზე, რომ სამეგრელოს შერჩევა, როგორც ადგილსამყოფელის ან რეგიონული ცენტრის, საიდანაც უნდა მართოს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავისი ქმედებები, მაინცდამაინც არ არის მათთვის მომგებიანი დღეს. ისინი კი ფიქრობენ, ეს არის ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც მათ უკეთეს შედეგებს მისცემს. მე კი არა მგონია, რომ ეს რეალობასთან ახლოს იყოს.

– ბატონო გოგი, საკონსტიტუციო ცვლილებების საერთო-სახალხო განხილვა მიმდინარეობს საქართველოს რეგიონებში, ასეთი განხილვა უკვე მოეწყო ზუგდიდში, ქუთაისში, სამშაბათს თბილისში იგეგმება. რას იტყვით ამ ცვლილებებზე? ასეთი მნიშვნელობა აქვს პარლამენტის ქუთაისში არსებობას რეგიონისთვის, როგორც პედალირებენ უმცირესობის წარმომადგენლები?

– თუ მოხდა ასეთი ძვირადღირებული შეცდომა, რომელიც დანაშაულის ზღვარზე გადის, რომლის მოწმენიც ჩვენ გავხდით (პარლამენტის ქუთაისში აშენებას ვგულისხმობ), ის უნდა გამოსწორდეს. 360 მილიონის გამოყოფა პარლამენტის გადატანისთვის არ იყო ასე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და გადაუდებელი ამოცანა იმ ქვეყნისთვის, რომელსაც გაცილებით მძიმე და რთული პრობლემები აწუხებს. ამ გადაწყვეტილებაზე ახალმა პარლამენტმა რეაგირება უნდა მოახდინოს. მე ვთვლი, რომ ეს საკითხი დროულად არის დაყენებული. გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული, რომ საპარლამენტო ქალაქის სტატუსი დაუბრუნდეს თბილისს, მაგრამ ეს არ გულისხმობს იმას, რომ ქუთაისი აღარ იქნება საპარლამენტო ქალაქი. შეიძლება, მოხდეს კონსტიტუციაში დაფიქსირება იმისა, რომ თბილისიც და ქუთაისიც იყოს საპარლამენტო ქალაქი. თუმცა, ეს პროცესი აუცილებლად მოითხოვს, რომ თბილისში პარლამენტის შენობა აუცილებლად იყოს აღდგენილი და იყოს იმ შესაბამისობაში მოყვანილი, რაც პარლამენტის ნორმალურ ფუნქციონირებას გულისხმობს. აუცილებლად უნდა აგონ პასუხი იმ პირებმა და ორგანიზაციებმა, რომლებმაც გააჩანაგეს ეს ძველი შენობა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც არ იყო გადაწყვეტილი მისი გაყიდვა და გასხვისება. უნდა მოხდეს გარკვევა, რატომ მოხდა ასეთი რამ, რატომ გახდა უცებ უვარგისი პარლამენტის შენობა ჯერ კიდევ მანამ, სანამ საპარლამენტო არჩევნების შედეგები გახდებოდა ცნობილი.

– საკონსტიტუციო ცვლილების მეორე ნაწილი პრეზიდენტის არჩევნების საკითხს ეხება. ამაზე რას იტყვით?

– მე ვთვლი, რომ პრეზიდენტის არჩევნები უფრო ადრე უნდა დაინიშნოს, ვიდრე ოქტომბერია. კონსტიტუციაში წერია, რომ შემდეგი საპრეზიდენტო არჩევნები 2013 წლის ოქტომბერში უნდა ჩატარდეს, მეორე მუხლი კი ამბობს, რომ პრეზიდენტს უფლებამოსილება მიმდინარე წლის 20 იანვარს ეწურება. ეს ორი მუხლი ერთმანეთთან შეუსაბამობაშია. ამ შემთხვევაში, როგორც კონსტიტუციონალისტები ამბობენ, მეტი ძალა აქვს იმ მუხლს, რომელიც უფრო გვიან იყო მიღებული. ვერ გეტყვით, ამ მუხლს შეიძლება თუ არა, სხვა სამართლებრივი მოსაზრება დაუპირისპირდეს. თუ არსებობს ასეთი მოსაზრება, აუცილებლად უნდა იქნეს გამოტანილი სამშაბათს საერთო-სახალხო განხილვაზე. მე მომხრე ვიქნები, რომ საპრეზიდენტო არჩევნები უფრო მალე ჩატარდეს.

ნაციონალებს შსს-სა და პროკურატურაში დიდი დასაყრდენი აქვთ

დასაწყისი მე-2 გვერდზე

იცის, რა ხდებოდა მაშინ და რუსთაველზე, კინოს სახლთან პოლიციელების მიერ უმიზეზოდ ჰაერში გასროლილი ტყვია რა დაუჯდა საქართველოს. 2 სექტემბრის შემდეგ აგორდა უკმაყოფილება ქართველი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში, რითაც ისარგებლა რუსეთმა და ადგილობრივ ძალებზე დაყრდნობით მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება. ამას მოჰყვა ტერიტორიების დაკარგვა და საქართველოს დანაწევრება, შევედით ისეთ ჩიხში, საიდანაც დღემდე ვერ გამოვსულვართ.

ის ტყვიები მაშინდელმა ოპოზიციამ კონგრესმენებს ჩაუჩხრიალა ხელში და ამის შემდეგ აგორდა ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ შავი პიარი. ამერიკაც რუსეთთან პირდაპირ ალიანსში თუ არა, გაჩუმებისა და თანხმობის რეჟიმში აღმოჩნდა.

ნიკოლოზ მჟავანაძე ფიქრობს, რომ თუ ასე გაგრძელდა, საქართველოში მოსალოდნელია ამბოხება და სახელმწიფო გადატრიალების გამეორება. კონკრეტულად რამ მიიყვანა ნიკოლოზ მჟავანაძე ამ დასკვნამდე? მისი თქმით, ის ძველი კადრები, რომლებიც რჩებიან ძალოვან სტრუქტურებში, ახდენენ ახალი ხელისუფლების მიმართ საბოტაჟს.

ისე, კადრების პრობლემა რეალურად ყველა ხელისუფლების დროს იდგა, გამსახურდიას, შევარდნაძის თუ საკაშვილის პერიოდში, თუმცა, იკვეთება, რომ საკაშვილმა, ისევე, როგორც კომუნისტურმა რეჟიმმა, მთლად გარყვნა და გააუბედურა კადრები. ამდენი უპასუხისმგებლო და უზნეო ადამიანი როგორ შეკრიბა ერთად სამართალდამცავ სისტემაში, რომ უკანონობის მთელი სისტემა შეიქმნა და პროკურორებიდან, გამომძიებლებიდან და მოსამართლეებიდან ძალიან ცოტა თუ დარჩა გაუსვრელი?!

– არავინ ითხოვს მერიიდან, კულტურის სამინისტროდან და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებიდან ხალხის გათავისუფლებას. მათ რეალურად არავითარი ბერკეტი არ ჰქონდათ, ადამიანის უფლებების კუთხით პრობლემები შეექმნათ ხალხისთვის, მაგრამ დღეს, როდესაც ასეულობით ადამიანი პოლიტპატიმრად იქცა, უამრავი ადამიანი ციხეში დაიხოცა მხოლოდ და მხოლოდ პროკურატურისა და შს სამინისტროს პოზიციის გამო, ეს ხალხი კვლავ ადგილებზე რატომ უნდა იყოს, ან, პირიქით, რატომ უნდა წინაურდებოდეს? ეს ალოგიკურია.

ისინი ახდენენ საბოტაჟს მოქმედი ხელისუფლების მიმართ. ათიათასამდე განცხადებაა შესული და რეაგირება არ არის. ელემენტარულად, ხალხს განცხადებაზე პასუხს არ აძლევენ. მე ნამდვილად არ გამოვდგები სააკაშვილის ადვოკატად, მაგრამ მაშინ რაღაც სულელურ პასუხებს მაინც წერდნენ. ახლა ეს ადამიანები იშველიებენ იმ ფაქტს, რეალურად ბევრი განცხადება შემოდის და პასუხს ვერ გაძლევთო. ის ადამიანები, რომლებიც შემჩნეული იყვნენ დანაშაულებში, წინაურდებიან, მაგალითად, ნიკოლოზ დგებუაძე, რომელიც მცხეთის პროკურორი იყო, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ ჩინჩალაძესთან ერთად მცხეთაში მუშაობდა და ნამდვილი რეკეტს ახორციელებდა. როდესაც ეს პიროვნება ახალმა ხელისუფლებამ მცხეთაში კვლავ დანიშნა, ხალხმა იქიდან გამოგდო, მაგრამ დღეს ის დიდუბის რაიონის პროკურორის მოადგილედ დანიშნეს.

მსგავსი სიტუაციაა ჩილინგირაშვილთან დაკავშირებით, რომელიც სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსია. ეს პიროვნება მონაწილეობდა დადგმულ სპექტაკლებში, მაგალითად, „ენვერში“ და ყოველთვის სამართლებრივი კუთხით შეფასებებს აძლევდა. ჩილინგირაშვილი ყოველთვის უქმნიდა პრობლემებს ადვოკატებს საჯარო ინფორმაციისა და დოკუმენტების მიღებაში.

აგრეთვე არიან პროკურორები, რომლებიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა გახმაურებულ საქმეში. არ შეიძლება, ასეთი ადამიანები დარჩნენ სამართალდამცავ სისტემაში, – ირწმუნება ნიკოლოზ მჟავანაძე და გაკვირვებულია საქართველოს მთავარი პროკურორის საკადრო პოლიტიკით.

– არ შეიძლება, საოლქო პროკურორის თანაშემწე და პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი, რომელიც ხელს აწერდა საპროცესო შეთანხმებებს, რომლის ხელით ხდებოდა დანაშაულებრივი საქმეების კეთება, დღეს ჩვენ დავაწინაუროთ. გაკვირვებული ვარ არჩილ კბილაშვილის ამ პოლიტიკით. მაინცდამაინც იარაღის გასროლა უნდა მოხდეს?! – კითხულობს იგი, – აქედან გამომდინარე, ძალიან დიდი საფრთხე არსებობს, რადგან უსამართლობის განცდა და უკმაყოფილება დღითიდღე იზრდება. ხელისუფლების ცვლილება მოხდა მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ქვეყანაში უსამართლობა იყო. ვინ უნდა აღადგინოს სამართლიანობა, იმ ადამიანებმა, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს?

ალოგიკურია, იმ ადამიანებმა, რომლებიც საქმეებს თითხნიდნენ, ხალხს აწამებდნენ, რეალურად, მათი გადაწყვეტილებით ხდებოდა ადამიანების უსამართლოდ დასჯა, დღეს შეისწავლონ საჩივრები. ასეთი ადამიანები რომ ობიექტურად არ გამოიკვლევენ საკითხს, ეს ხომ ცხადზე ცხადია.

არსებობს კიდევ უფრო მეტი საფრთხეები. ჩვენ მოგვდის ინფორმაციები, რომ პროკურატურიდან წასულ ხალხს ეუბნებიან (რამდენიმე ადამიანი გაათავისუფლეს). კარგად შეინახეთ ძველი მოწმობები, პროკურატურაში ისევ დაბრუნდებით და ჩვენ დავბრუნდებითო. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ რაღაც ძალიან ცუდი მოხდება საქართველოში, რადგან საკაშვილს ძალიან დიდი დასაყრდენი აქვს შს სამინისტროშიც და პროკურატურაშიც. ამიტომ არ შეიძლება ამ ხალხზე დაყრდნობა. ობიექტური გამოძიება რომ ჩატარდეს, პროკურატურის თანამშრომლების 90% დასაჭერია, რადგან სწორედ მათი მეშვეობით ხდებოდა უკანონო საპროცესო შეთანხმებების გაგზავნა სასამართლოებში, მაგრამ ჩვენ ახლა მათით

ციხეებს ხომ არ ავავსებთ. არ ვაცხადებთ, რომ დავიჭიროთ და პასუხი ვაგებინოთ, მაგრამ ნუ ვაწინაურებთ, რეალურად ჩამოვაშოროთ ეს ხალხი სისტემას. თუ ეს არ გაკეთდება, ძალიან მძიმე შედეგს მიიღებს ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება. ჩვენ არ ვართ ჩასაფრებულის პოზიციიდან მოსაუბრე ადამიანები. ვართ ადამიანები, რომლებიც მოვუწოდებთ ხელისუფლებას, ეს გაითვალისწინოს, – ამბობს ნიკოლოზ მჟავანაძე.

არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ადამიანები, როგორც წინა ხელისუფლებასთან თანამშრომლობდნენ, ასევე ითანამშრომლონ ახალ ხელისუფლებასთან? ნიკოლოზ მჟავანაძეს მიაჩნია, რომ ახალი და გაუსვრელი კადრი ბევრია, მთავარია მათი მოძებნა.

– დღეს მოქმედი უმრავლესობა ეკითხებოდა საკაშვილს, რატომ ვენდობით ამ კადრებსო? საკაშვილი აცხადებდა, რაც კადრებია, იმას ვიყენებთო. ახლა ეს ხელისუფლებაც – კბილაშვილი აცხადებს, სხვა კადრებს ვერ ვხედავთო. მაშინ რა გამოდის? ტყუილად ვაკრიტიკებდით წინა ხელისუფლებას? კადრები როგორ არ არის? „ქართულ ოცნებაში“ მრავალი თემატური ჯგუფი იყო. მათ შორის – სამართლებრივი კუთხით თემატური ჯგუფიც. არის უამრავი კვალიფიციური იურისტი, რომლებსაც შეუძლიათ, იმუშაონ პროკურატურის სისტემაში, მაგრამ, როგორც ვატყობ, კბილაშვილს უთხრეს, რომ, რეალურად, ეს ხალხი არის შემსრულებელი, საქმეს კარგად აკეთებს, უბრალოდ, ეს ზეწოლა იყო ხელისუფლების მხრიდან და იმიტომ ჩადიოდნენ დანაშაულს. სხვათა შორის, ერთხელ ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში კბილაშვილმა განაცხადა, ვიცი, რომ პროკურატურის თანამშრომლები შემჩნეული იყვნენ ამგვარ ქმედებებში, მაგრამ ისინი უხალისოდ ასრულებდნენ იმ ქმედებებსო. მაშინ, ვინც ადამიანებს ციხეში აწამებდა, ისინიც იტყვიან, უხალისოდ ვაუპატიურებდით ადამიანებს, არ გვინდოდა, მაგრამ ასეთი დავალება იყო. ასეთი აბსურდული რაღაცები არ უნდა ითქვას.

ნიკოლოზ მჟავანაძეს მიაჩნია, რომ, არ არის გამორიცხული, მათ, ვინც სააკაშვილის დავალებებს ასრულებდნენ, ახლაც, თუკი ვიღაცას თავში მოუვა უკანონო გადაწყვეტილება, შეასრულონ. ამიტომ, ის ადამიანები, რომლებიც დანაშაულებრივ დავალებას ასრულებდნენ და ასრულებენ, არც ერთ ხელისუფლებაში გასაჩერებელი არ არიან.

საპრეზიდენტო მარათონი

მიიღებს თუ არა არჩევნებში მონაწილეობას ნინო ბურჯანაძე

როგორც მოსალოდნელი იყო, ცხელი პოლიტიკური ზაფხულისა და შემოდგომის შემდეგ პოლიტიკური ტემპერატურა კლების ტენდენციით არც ზამთარში გამოირჩევა. უფრო მეტიც, ზამთარმა ეს ტემპერატურა შეიძლება კიდევ უფრო ასწიოს, რისი ყველა ნიშანიც უკვე სახეზე გვაქვს.

ტრადიციული ქართული ახალი წლისგან განსხვავებით, როცა ყველა სფეროში და მათ შორის პოლიტიკაშიც სიცოცხლე მინიმუმ 1 თვით კვდება, წლევანდელი საახალწლო პერიოდი ცოცხალი პროცესებით გამოირჩევა, რაც კიდევ ერთხელ ვიტყვი მოსალოდნელიც იყო და რაც საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, კიდევ უფრო გააქტიურდება და გამძაფრდება.

ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, დღესდღეობით, შეიძლება ითქვას, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე, მძაფრი კონკურენტული გარემოს შექმნა ძნელია, ვინაიდან ქვეყანაში სამწუხაროდ ძალიან მცირეა ისეთ პოლიტიკოსთა რიცხვი, ვინც ქვეყნის პირველი პირის კრიტერიუმებს, თავისი გამოცდილებიდან თუ დიპლომატიური ნიჭიდან გამომდინარე, სრულად დააკმაყოფილებს.

ამ კუთხით, საზოგადოებას რამდენიმე თვის წინ სიურპრიზი თავად პრემიერმა შესთავაზა, როდესაც მისთვის სასურველ პრეზიდენტობის კანდიდატად, რესპუბლიკური პარტიის წევრი, კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ხმალაძე დაასახელა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ პიროვნებას ქართული საზოგადოებრიობა იცნობს როგორც ერთ-ერთ ჭკვიან და განათლებულ პოლიტიკოსს, მისი დასახელება სასურველ საპრეზიდენტო კანდიდატად, მაინც მოულოდნელობა აღმოჩნდა. ვახტანგ ხმალაძე მოიაზრებოდა როგორც კარგი თეორეტიკოსი და სამართალმცოდნე, ხოლო რამდენად ექნება მას ქვეყნის მართვის პრაქტიკული უნარი, ამაში საზოგადოება შეიძლება მთლად დარწმუნებული არ იყოს. მიუხედავად უდავოდ დიდი ერუდიციისა, მას შესაძლოა არ ეყოს ის პრაქტიკული უნარები, რომ მის, როგორც პრეზიდენტის წინაშე არსებულ გამოწვევებს გაუმკლავდეს.

რაც შეეხება კოალიციის მეორე რეალურ საპრეზიდენტო კანდიდატურას, ის უდავოდ ირაკლი ალასანიაა, თუმცა გარკვეული გაუგებრობები საზოგადოებაში მის მიმართაც არსებობს.

ირაკლი ალასანია არის პიროვნება, რომელსაც, მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, საკმაოდ კარგი გამოცდილება აქვს როგორც აღმასრულებელ ხელისუფლებაში, ასევე დიპლომატიის კუთხით მუშაობის მხრივაც, რაც მის შანსებს, იყოს კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატი, უცილობლად ზრდის.

ხოლო რაც შეეხება იმ გაუგებრობებს, რომელშიც გარკვევასაც საზოგადოება ალასანიას, საპრეზიდენტო კანდიდატად გახდომის შემთხვევაში აუცილებლად მოსთხოვს, ისინი დღევანდელი თავდაცვის მინისტრის საქართველოში დაბრუნებისთანავე დაიწყო.

როგორც ყველას გვახსოვს, 2008 წლის ავადახსენებელი აგვისტოს შემდეგ, ხალხის განწყობა ხელისუფლების მიმართ მკვეთრად ნეგატიური და უფრო მეტიც, რევოლუციურიც კი იყო. ამ პერიოდში ხალხი ეძებდა ლიდერს, რომელიც მათი საპროტესტო მუხტის მართვასა და სწორი მიმართულებით განვითარებას შეძლებდა.

სწორედ ამ პერიოდში გამოვიდა ოპოზიციურ არენაზე, გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ირაკლი ალასანია, რომელიც ამ თანამდებობაზე მუშაობის დროს საკმაოდ აქტიური იყო. ამან ქართველ ხალხში მოლოდინი შექმნა. ხალხი ალასანიასგან ერკემალის ფუნქციის აღებას ითხოვდა, თუმცა ამერიკიდან დაბრუნებულმა ყოფილმა ელჩმა, ამ მოლოდინებს ცივი წყალი გადაასხა და საზოგადოებამ მისი არცთუ მკვეთრი და ზედმეტად დიპლომატიური პოზიციის გამო, გარკვეულწილად იმედგაცრუებაც იგრძნო.

იგივე საზოგადოებას ახსოვს ირაკლი ალასანიას ერთობა მემარჯვენეებთან და რესპუბლიკელებთან, რომლებსაც მოგვიანების სალომე ზურაბიშვილიც შეუერთდა, ახსოვს აგრეთვე ცნობილი რვიანი, რომელიც შემდეგ ექვსიანად გადაიქცა და რომელიც მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის ცვლილების ერთადერთ გზად, კონსტრუქციულ დიალოგს და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას ასახელებდა.

გარდა ამისა, ალასანიას სახელს უკავშირდება 2009 წლის მასობრივი საპროტესტო აქციების დროს, მაშინდელი პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესთან ფარული შეხვედრები, ხოლო მოგვიანებით, ღია შეხვედრები გიგა ბოკერიასთან.

მიუხედავად ამისა, ირაკლი ალასანია მუდმივად ახერხებდა და ოპოზიციის ერთ-ერთ ანგარიშგასაწევ ფიგურად რჩებოდა, თუმცა ფაქტია, რომ თუ ის საპრეზიდენტო ბრძოლაში ჩაებმება, ძალიან ბევრ კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა.

მას პასუხის გაცემა მოუწევს ასევე, 2011 წლის 26 მაისის სასაკლაოს შემდეგ გაკეთებულ განცხადებაზეც, როდესაც ალასანიამ 26 მაისის მონაწილე ქართველების „ხარისხიანობაში“ ეჭვი შეიტანა.

თუმცა ეს ყველაფერი ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდებია და ჯერ კიდევ არავინ იცის კოალიცია საპრეზიდენტო არჩევნებზე ერთიანი კანდიდატით წარსდგება თუ პირველი პირობისთვის რამდენიმე კანდიდატი იბრძოლებს. ასევე არავინ იცის იქნება თუ არა კანდიდატებს შორის ვახტანგ ხმალაძე და ირაკლი ალასანია, თუმცა საგულისხმო ერთი ფაქტია, თუ რამდენიმე თვის წინ პრეზიდენტობის შესახებ ამბიციას ორივე საგულდაგულოდ მალავდა, დღეს არცერთი არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა პრეზიდენტობაზე კენჭი იყაროს.

ასევე საგულისხმოა პრემიერის მიერ, რამდენიმე თვის წინ გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ ის ალასანიას საპრეზიდენტო კანდიდატად არ მიაზრებს. უფრო კონკრეტულად, ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ალასანია სხვა პოზიციაზე გაცილებით უფრო ეფექტური და სასარგებლო იქნებოდა.

პრემიერის ეს განცხადება თავის დროზე, თავდაცვის ამჟამინდელ მინისტრს არ გაუპროტესტებია, თუმცა როგორც ჩანს ის საპრეზიდენტო ამბიციას მაინც ინახავდა და ახლა, როცა ეს თემა კვლავ გააქტიურდა, მან, ისევე როგორც ვახტანგ ხმალაძემ, უკვე ღიად განაცხადა, რომ შესაძლებელია საპრეზიდენტო არჩევნებზე კენჭი იყაროს.

იმ შემთხვევაში, თუ კოალიცია გადაწყვეტს, რომ არჩევნებზე ერთიანი კანდიდატით წარსდგეს, მაშინ ამ კანდიდატის შერჩევის პროცესში, ნაკლებსავარაუდოა, რომ ბიძინა ივანიშვილმა პრიორიტეტი ვინმეს დაუთმოს.

ასეა თუ ისე, კოალიციის შიგნიდან, პრეზიდენტობის სურვილს მეტნაკლები აქტიურობით, უკვე ორი პრეტენდენტი გამოთქვამს.

იმ შემთხვევაში კი, თუ კოალიცია საპრეზიდენტო არჩევნებში რამდენიმე კანდიდატის წარდგენას გადაწყვეტს, პრაქტიკულად 100 პროცენტია შანსი იმისა, რომ ალასანიას საპრეზიდენტო კანდიდატად ვიხილავთ, რასაც ვერ ვიტყვით ვახტანგ ხმალაძეზე, რადგან კანდიდატურის დაყენებისას ის, სავარაუდოდ ძალიან ფრთხილი იქნება.

ყოველ შემთხვევაში, რაც გასული კვირის დასაწყისში ქართული მედიის ფურცლებიდან გაჟღერდა, ანუ ალასანიასა და ხმალაძის საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭისყრის შესაძლებლობა, ერთ რამეზე ნამდვილად მიუთითებს – ეს საკითხი კოალიციაში ჯერ კიდევ ღიადაა და იქ შემავალი სუბიექტები ყველანაირად ეცდებიან საკუთარი კანდიდატურა უპირატეს მდგომარეობაში წარმოაჩინონ, რაც პრემიერის მიერ დეკლარირებულ, კოალიციის შიდა კონკურენციის არსებობაზე მიუთითებს.

ასეა თუ ისე, კოალიციის შიგნიდან, საზოგადოებამ ჯერჯერობით, პრეზიდენტობის ორი პოტენციური კანდიდატის ვინაობის შესახებ შეიტყო და ნაკლებსავარაუდოა ეს სია მნიშვნელოვნად გაიზარდოს.

რაც შეეხება „არაკოალიციურ“ პოლიტიკურ ძალებს, აქ პრეზიდენტობის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად, „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე შეიძლება მივიჩნიოთ, მითუმეტეს, რომ ყოფილი ხელისუფლების პროპაგანდის მანქანის შესუსტების შემდეგ, ამ პოლიტიკოსის რეიტინგი, მისი არცთუ დიდი პოლიტიკური აქტივობის ფონზე, მაინც მატულობს და ამის მაგალითი სხვადასხვა ორგანიზაციის კვლევებია.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

„ბილაინმა“ ხუთი იღბლიანი აბონენტი დააჯილდოვა

მოგეხსენებათ, ბილაინი დღეისათვის საქართველოში ყველაზე მზარდი მობილური ოპერატორია, რომელიც მუდმივად საინტერესო სურპრიზებით ანებივრებს თავის ერთგულ მომხმარებელს. ერთ-ერთი ასეთი ბილაინის გრანდიოზული გათამაშებაა, რომელიც 15 იანვარს გაიმართა და გამოვლინდა ბილაინის ყველაზე იღბლიანი ხუთი აბონენტი.

ბილაინის გათამაშების სამი იღბლიანი გამარჯვებული დაჯილდოვდა ფულადი პრიზით 20 000 ლარით, ხოლო ორი აბონენტი გახდა ავტომობილი ტოიოტა პრადოს მფლობელი

გათამაშებაში მონაწილეობის მიღება შეეძლო როგორც ბილაინის, ასევე სხვა ოპერატორებიდან პორტირებულ აბონენტებს და, რაც ყველაზე საინტერესოა, უფასოდ.

გათამაშებაში მოხვდნენ ის აბონენტები, რომლებიც 25 ოქტომბრიდან 12 იანვრის ჩათვლით დარეგისტრირდა ნომრის *500# დახმარებით.

აბონენტები ბალანის სამი ლარით შევსების შემთხვევაში იღებდნენ ერთ ბილეთს, ხოლო ბილაინის ქსელის პორტირების შემთხვევაში კი –დამატებით ხუთ ბილეთს. “, ბილაინის კომერციული დირექტორს ლაშა ტაბიძის კომენტარი:

– ჩვენი კომპანიისათვის ეს იყო რიგით მეხუთე გათამაშება, დაძაბულება ნამდვილად პიკზე მივიდა, რადგანაც 450000 ადამიანი იღებდა მონაწილეობას და დაახლოებით სამ მილიონამდე ბილეთი იყო. ცხადია, მონაწილეობა იყო უფასო და ძალიან გვიხარია, რომ ჩვენი სამი ერთგული აბონენტის გარდა ორმა ისეთმა აბონენტმა მოიგო, რომლებმაც პორტირება გადაწყვიტეს ჩვენს მობილიურ ქსელში. პორტირების დროს რომ მათი შანსები იზრდებოდა, ამას სულ ვაჟღერებდით და ამ შანსმა და ბედმა ერთად გახადა ისინი ჩვენი გამარჯვებულები. ამ ახალი წლიდან ჩვენს აბონენტებს ვთავაზობთ ახალ ტელეფონებს ფეისბუქ ტელეფონს, სმარტფონს,რომელიც რომელსაასოციალურ ქსელში პირდაპირი წვდომა აქვს არის და სულ ახლახანს მივიღეთ უახლოესი ორსიმბარათიანი .

თინა პარკაძე:

– ვიტყვი, რომ აბსოლიტურად მოულოდნელი იყო ეს საჩუქარი და რომ დაირეკა ჩემს მობილურზე, ასევე აბსოლიტურად გულწრფელმა ვთქვი, არ მჯერა. მაგრამ მერე წამყვანმა ნამდვილად დამაჯერა და ჩემზე ბედნიერი მართლა არავინაა.

ყველაფერი დავუჯერეთ თინას, გარდა ბოლო სიტყვებისა, რადგანაც ასევე უბედნიერესია ბათუმელი ზაზა ბოლქვაძე. მას ბილაინის რამდენიმე ბილეთი ჰქონდა შეძენილი, საიდანაც ერთმა ნამდვილად გაამართლა. მანამდე შეგახსენებთ, რომ ამ ბილეთებით „შეიარაღებული“ აბონენტები 15 იანვარს თვითმხილველები გახდნენ იმისა, თუ რამდენად პირნათელია კონკრეტულად ეს ფიჭური კავშირგაბმულობა თავისი მომხმარებლის მიმართ. უბრალო მაყურებელს არასოდეს და ვიწყდება სიხარული, რაც თვითოელ გამარჯვებულის სატელეფონო ზარს ახლდა. ახლა მეორე “პრადიანს“, ზაზა ბოლქვაძეს გავესაუბროთ.

ზაზა ბოლქვაძე:

– მე ისედაც დიდი ხანია, რაც ბილაინის აბონენტი ვარ. ჯერ კიდევ სიზმარი მგონია. მანქანა მოიგეო, რომ მითხრეს, რას ვამბობდი, არ მახსოვს, ეს იყო ძალიან დიდი ემოცია. მახსოვს, ვყვიროდი რაღაცას. ღმერთმა ყველას გამოაცდევინოს ეს სიხარული. არაჩვეულებრივი შეგრძნება იყო, მართლა. ცე კლასის „მერსედესი“ მყავს, მაგრამ ამ „პრადოს“ შემდეგ არაფერი მახსოვს.

მართლაც სასწაულია, ასეთი რამ პირველად მოხდა ჩემს ცხოვრებაში, რადგანაც არასოდეს არაფერი მომიგია!

კოგა თორთლაძე, რომელმაც ბილაინის ამ გათამაშებით ოცი ათასი მოიგო:

– მე ვარ პორტირებული სხვა მობილიური კავშირიდან, ჯეოსელიდან გადავედი ბილაინზე. იმიტომ, რომ ბილაინს უფრო კარგი გათამაშებები აქვს, უფრო რეალური და თან, ეტყობა, გულიც მიგრძნობდა, რომ მოვიგებდი. რომ დამირეკეს, რა დამემართა, გეტყვით: საძინებელში მქონდა ტელეფონი და ორი ზარი გამოვტოვე, ტელევიზორს არ ვუყურებდი და რომ მირეკავდნენ, არ ვიცოდი. დამავიწყდა გათამაშების თარიღი, ცოტა რომ დამეგვიანა და მესამე ზარზე არ მივსულიყავი, დაანებებდნენ ჩემთან დარეკვას თავს და დავრჩებოდი ცარიელი (ეცინება). მეწარმე კაცი ვარ, სამეურნეო საქმეს მივდევ და ამ ფულით გავაფართოებ ბიზნესს, რა ვიცი, ოჯახს მივხედავ. ფული თქვი, თორემ დახარჯვით, დაიხარჯება.

ახალგაზრდა ორი შვილის დედა **თამარ კაკილოვმა** ასევე ოცი ათასი მოიგო.

– არ ველოდი ნამდვილად. ჩემს მეუღლეს ჰქონდა ბილაინი და მეც გადავედი მაგთიდან. ერთმენეთს უფასოდ ველაპარაკებით ხოლმე. რომ დავპორტირდი ხუთი ბილეთი გადმომეცა საჩუქრად და პირველი დამირეკეს მე. არ ვიყავი ტელევიზორთან და მითხრეს, ციფრი თქვიო, ავდექი და „ნა ურაზე“ ვუთხარი სამიანი და მოვიგე ოცი ათასი. ისეთი სიხარული იყო ჩემს სახლსი, ვერ გეტყვით. მე სახლში ვარ, არ ვმუშაობ, პატარა შვილები მყავს და რა ვიცი, მოვახმარ ჩემს შვილებს.

მზექალა ნიშნიანიძე ყველაზე მორიდებული აბონენტია ამ ხუთეულში.

მზექალა ნიშნიანიძე:

– ეს არის უფლის სასწაული. თვრამეტი ბილეთი მქონდა. მაგრამ იქ იმდენი იყო ჩაყრილი, რომ მე თუ შანსი მექნებოდა, ვერც წარმოვიდგენდი. სხვა არხს ვუყურებდი და ზარი რომ შემოვიდა და სასწრაფოდ გადავრთე „რუსთავი 2“ზე და მითხრეს, ბოლო ხარ და არ ღირს შენი გაწვალება და პირდაპირ გეტყვით, რომ ოცი ათასი მოიგეო.

ლადო პაპავა თემურ ბასილიაზე ძებნის შეწყვეტას ითხოვს

პროფესორი ლადო პაპავა ფიქრობს, რომ „ქართულმა ოცნებამ“, სამწუხაროდ, შეცდომა დაუშვა, როცა დასავლეთის ლობისტურ კომპანიებთან ხელშეკრულებები გააუქმა. ამასთან, პროფესორი სწორსა და ეკონომიკურად მართებულს უწოდებს მთავრობის მხრიდან პრეზიდენტის ფონდის თანხების შემცირებას.

რა კოზირი უჭირავს ხელში ივანიშვილის მთავრობას და რას ვერ იყენებს სათანადოდ ამერიკის მხრიდან გაკეთებული განცხადებების საწინააღმდეგოდ? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორ ლადო პაპავასთან.

შორენა კოწოწაშვილი

– ბატონო ლადო, პრეზიდენტი სააკაშვილი რამდენიმე დღის წინ სამი საკანონმდებლო ინიციატივით გამოვიდა, რომელთაგან ერთი შეეხებოდა ეკონომიკურ ამნისტიას. სააკაშვილი ამტკიცებს, რომ ქვეყანაში ეკონომიკური სტაგნაცია და კრიზისია. ეს ობიექტური რეალობაა?

– პრეზიდენტის სურვილია, ბიძინა ივანიშვილი და მისი მთავრობა წარუმატებელი იყოს, ამიტომ ამბობს იმას, რაც სურს და არა იმას, რასაც სინამდვილეში აქვს ადგილი. ოფიციალური სტატისტიკა ადასტურებს ეკონომიკურ ზრდას, ამიტომ ნამდვილად არ ვიცი, რას ემყარება სააკაშვილის განცხადება ეკონომიკური კრიზისის შესახებ. რაც შეეხება ეკონომიკურ ამნისტიას, მე მისი წინააღმდეგი ყოველთვის ვიყავი. ასეთი რამ ბიუჯეტს ზიანს აყენებს, რადგანაც გადასახადის გადამხდელის ქცევაში ყალიბდება სტერეოტიპი, რომ მომავალშიც შეიძლება ამნისტია გამოცხადდეს და ამიტომ ურჩევნია, მომავალი ჩამოწერის იმედით საგადასახადო დავალიანებები დაგროვოს.

– პრეზიდენტი ახალ ხელისუფლებას სთავაზობს აგრეთვე, კანონით აიკრძალოს პირად ცხოვრებაში ჩარევა და ამის დამადასტურებელი ინფორმაციის გავრცელება. ამით სააკაშვილს წინა ხელისუფლების დანაშაულების გადაფარვა სურს თუ მართლაც დემოკრატიულ ფასეულობებს იცავს?

– ნეტა, რატომ არ მიიღო ეს გადაწყვეტილება მაშინ, როცა მთავრობა და საპარლამენტო უმრავლესობა მისი იყო? აშკარაა, რომ სააკაშვილის სურვილია, დამალოს თავისი გუნდის მიერ ჩადენილი ბოროტებანი.

– მოდით, ეკონომიკურ საკითხებს დავუბრუნდეთ. პენსიები, რომლის ზრდასაც ამომრჩეველი ელოდა. საზოგადოებაში ამბობენ, რომ 150 ლარი დანაპირებზე ნაკლებია.

– პენსიები 1 სექტემბრიდან უნდა გავიდეს დღეს მოქმედ ოფიციალურ საარსებო მინიმუმზე და ეს არის 150 ლარი. რა თქმა უნდა, 150 ლარი აშკარად დაბალია. სავარაუდოდ, საარსებო მინიმუმი მეტია, მაგრამ იმ ვადებში, რა ვადებშიც ხდებოდა ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება, მთავრობა პრინციპულად ვერ მოასწრებდა ახალი საარსებო მინიმუმის გათვლას. 2013 წელს უნდა მოხდეს საარსებო მინიმუმის გადათვლა. იმისათვის კი მისი გათვლის მეთოდიკაა შესაცვლელი. აშკარაა, რომ კალათის კალორიულობაა გასაზრდელი. დარწმუნებული ვარ, ეს კალათა გაიზრდება და უკვე 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ პენსიები უნდა გავიდეს ახალი საარსებო მინიმუმის კალათის დონეზე. ვფიქრობ, სავსებით სწორად ჩაიფიქრა ფინანსთა მინისტრმა, რომ პენსიები გაიზარდოს 1 სექტემბრიდან. შემოდგომა, ტრადიციულად, არის პერიოდი, როდესაც სასოფლო-სამეურნეო ბაზარზე იზრდება მიწოდება, ხოლო მიწოდების ზრდის კვალობაზე გაზრდილი პენსიები აღარ გამოიწვევს ინფლაციურ ზეწოლას ეკონომიკაზე. ამიტომ ეს აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილებაა.

– რამდენად სწორად გათვალა ხელისუფლებამ, როდესაც გარკვეული ფინანსები ჩამოაჭრა პრეზიდენტის ფონდს, მერიას. მხოლოდ საპირარო განცხადება იყო სააკაშვილის მხრიდან ამის საპასუხოდ, არა უშავს, დედაჩემის მანქანაზე გადავჯდებიო.

– ხომ ხედავთ, რომ არ გადამჯდარა. ჩვენ ხომ ვიცით, რომ პრეზიდენტი ამას არ გააკეთებს. პრინციპში, აქ ამაზე არ არის საუბარი. პრეზიდენტის გარკვეული ხარჯები იყო თავდაცვის სამინისტროზე მიწერილი: თვითმფრინავები, ვერტმფრენები. არ არის საქართველო იმდენად მდიდარი ქვეყანა, რომ ქვეყნის პრეზიდენტს შეეძლოს ასეთ ფუფუნებაში ყოფნა. აქედან გამომდინარე, როდესაც მთავრობამ მიიღო ეს გადაწყვეტილება, რომ პრეზიდენტის გაუმართლებელი ხარჯები შეეკვეცა, არის სწორი. რაც შეეხება უშიშროების საბჭოს, პრემიერ-მინისტრი ამბობს, რომ ფინანსთა მინისტრმა და მთავრობამ მოსთხოვა უშიშროების საბჭოს ინფორმაცია, თუ რაში სჭირდება ეს ათეულობით მილიონი. სამწუხაროდ, უშიშროების საბჭო არ იძლევა არანაირ პასუხს. შეიძლება, თქვენ არ იცოდეთ, როგორც ჟურნალისტმა და მე არ ვიცოდე, როგორც ექსპერტმა, მაგრამ მთავრობამ ხომ უნდა იცოდეს, რაში იხარჯება ამდენი ფული?! და თუ უშიშროების საბჭო ამის ახსნას არ იძლევა, აქედან დასკვნა, მაშინ ეს ფული უაზროდ იყრება, მაშასადამე, არ ყოფილა საჭირო. ასე რომ, ესეც აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილებაა. გაუაზრებელი მშენებლობები, გაუაზრებლად გადაყრილი ფული – ეს ყველაფერი დიდი თანხაა. აშკარაა, რომ ჩვენ ძალიან ბევრი ფული გვაქვს გადაყრილი ქუთაისში პარლამენტის მშენებლობაზე, გაუაზრებელი ძეგლებისა და შადრევნების მშენებლობაზე. ბუნებრივია, მსგავსი პროექტები უნდა შეჩერდეს.

– ბატონო ლადო, ცნობილია, ევროსაბჭოში შეხვედრების დროს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა აიღო ვალდებულება, რომ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას გირგვლიანის საქმეზე აუცილებლად აღასრულებს. გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ პრეზიდენტმა ყველაფერი გააკეთა, რათა დანაშაულში მხილებული მაღალჩინოსნები დაეფარა. ამით, ფაქტობრივად, მიხეილ სააკაშვილის დანაშაული გამოიკვეთა ევროსასამართლოს მხრიდან. ამ ფონზე სააკაშვილის ბოლო ნაბიჯებს როგორ აფასებთ?

– სწორედ ამიტომ საახალწლო მიმართვაში პრეზიდენტი წარდგა ე.წ. 5-პუნქტიანი გეგმით. მას უყვარს 10-პუნქტიანი გეგმა, 5-პუნქტიანი გეგმა... სასაცილო გახდა უკვე. ამ 5-პუნქტიანი გეგმიდან ყველაზე სასაცილოა პირველი ორი პუნქტი: პირველი პუნქტი ეხება იმას, რომ მოდი შევწყვიტოთ ერთმანეთის ლანძღვა, ხოლო მეორე პუნქტის თანახმად, ნუ დაიჭერთ ჩემი გუნდის დამნაშავე წევრებს და მეც დამანებეთ^თავიო. მაგრამ, მე ისეთი ლანძღვა, როგორიც თვითონ სააკაშვილისგან მოდის, არავისგან არ გამიგია.

– ეს შეთავაზება პრეზიდენტის მხრიდან გარკვეულწილად უკანდახევაა ახალ ხელისუფლებასთან? ის გრძნობს, რომ მისი პასუხისმგებლობა თანდათან იკვეთება?

– თვითონ პრეზიდენტი ილანძღება და იფურთხება: ის ლანძღავს ქართველ საზოგადოებას... ვინ დაარქვა „ქართული ოცნების“ პოლიტიკოსებს ჯოჯოები და მაჯლაჯუნები? სააკაშვილი გაურბის პასუხისმგებლობას. სააკაშვილს ასე გამოუვიდა: მე აღარ გაგლანძღავთ, ოღონდ თქვენ ნუ დამიჭერთ.

– ანუ სააკაშვილი უკვე დათმობებზე მიდის?

– პრაქტიკულად, ის არანაირ დათმობაზე არ მიდის. ის მაინც შეტევაზეა. სააკაშვილი მაქსიმალურად იყენებს ყველაფერს, მათ შორის, დასავლეთის მხრიდანაც მხარდაჭერას. სამწუხაროდ, იმიტომ, რომ არჩევნების შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ შეწყვიტა ლობისტურ კომპანიებთან ხელშეკრულება, რაც, ჩემი აზრით, სერიოზული შეცდომა იყო. საბედნიეროდ, დღეისათვის ეს შეცდომა გამოსწორებულია! დღეს საზღვარგარეთიდან გვესმის, რომ თურმე დემოკრატ სააკაშვილს ებრძვის რეტროგრადი ივანიშვილის ხელისუფლება, რომელსაც პრორუსული ორიენტაცია აქვს და დემოკრატი სააკაშვილის რეჟიმი არის პოლიტიკური დევნის ქვეშ. აშკარაა, დასავლეთსაც არ უნდა აღიაროს, რომ 8-9 წლის განმავლობაში სააკაშვილის კრიმინალურ მთავრობას უჭერდა მხარს.

– გასაგებია დასავლეთის ეს პოზიცია. იმავე დასავლეთში საუბრობდნენ და სახელმწიფო დეპარტამენტშიც გამოითქვა უარყოფითი პოზიცია ბაჩო ახალაიას თავდაცვის მინისტრად დანიშვნის დროს. საუბარი იყო კეზერაშვილის იარაღით უკანონო ვაჭრობაზეც. ესენი ხომ დასავლეთისთვის ცნობილია. მაინც პოლიტიკური დევნაა ნაციონალების?

– ხშირად ჩვენი დასავლელი მეგობრები თავის თავთან წინააღმდეგობაში მოდიან. როცა ამერიკაში ვარ ან აქ ჩამოდიან ამერიკელები, მათ შორის ოფიციალური პირები და მათთან მაქვს საუბარი, როგორც ექსპერტს, ყოველთვის ვაფიქსირებ, რომ ამ ხელისუფლების დანაშაულებრივი ხასიათი მათი აღიარებულიცაა. არის თვალსაჩინო მაგალითი სააკაშვილის რეჟიმის მხრიდან პოლიტიკური დევნისა: ეს არის თემურ ბასილია. ის, როგორც კი სააკაშვილის რეჟიმმა მისი პოლიტიკური დევნა დაიწყო, იმ დღიდან გადავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და, მიუხედავად საქართველოს მთავრობის არაერთი მცდელობისა, ამერიკის მთავრობამ მას ბასილია არ გადმოსცა. უფრო მეტიც, 2011 წელს, როგორც პოლიტიკურად დევნილ პირს, თემურ ბასილიას მიეცა პოლიტიკური თავშესაფარი. ამიტომ მე მიკვირს, ქართული მთავრობა რატომ არ იყენებს ბასილიას მაგალითს. როცა ამერიკიდან მოდის ბრალდება დემოკრატი სააკაშვილი რეჟიმის დევნის შესახებ, მაშინვე უნდა უთხრან: ბასილიას ხომ მიეცით თქვენ პოლიტიკური თავშესაფარი, ანუ ვის ჰყავდა პოლიტდევნილი – დღევანდელ მთავრობას თუ სააკაშვილს? ბასილიას თემა ჩემთვის საერთოდ გაუგებარია, რატომ არ იყენებს მის მაგალითს ახალი ხელისუფლება? ინტერპოლი კი დღესაც ეძებს თემურ ბასილიას საერთაშორისო დონეზე, მაშინ როცა ბასილიას მისამართი ფეისბუქზე დევს და ის ცხოვრობს აშშ-ის დედაქალაქში. საინტერესოა, რატომ არ ცვლის ბასილიასთან მიმართებით შინაგან საქმეთა სამინისტრო პოზიციას და რატომ არ ითხოვს, ამოღებულ იქნეს ბასილია ინტერპოლის მიერ ძებნილთა სიიდან.

ერეკლე მეორის საზოგადოება ილია ჭავჭავაძის ძეგლის გადარჩენას ითხოვს

ერეკლე მეორის საზოგადოება, ახალ ხელისუფლებას, წიწამურში ილია ჭავჭავაძის ძეგლის აღდგენის თხოვნით მიმართავს. როგორც საზოგადოების თავმჯდომარე არჩილ ჭყოიძემ „მედიანიუსს“ განუცხადა, ხსენებული ორგანიზაციის ინიციატივით გუშინ წიწამურში, ილიას ძეგლთან აქცია მოეწყო, რომელსაც ყოფილი პარლამენტარი პეტრე მამრაძე და უზენაესი საბჭოს ყოფილი წევრი თეიმურაზ ქორიძე ესწრებოდნენ.

„ჩვენ პრეზიდენტის გადადგომაზე საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის მოთხოვნას შევუერთდით. მას კონსტიტუციით გათვალისწინებული 5-წლიანი ვადა ამოეწურა. აქცია ილიას ძეგლთან კი იმიტომ გავმართეთ, რომ ბოლო დროს მიხეილ სააკაშვილი ძალიან ხშირად ახსენებს ილიას და ამბობს, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მისი იდეოლოგიის გამტარებელი პარტიაა. ეს დიდი სიცრუე და ცინიზმის აპოთეოზია. გვინდა, საზოგადოებას ვუჩვენოთ, თუ რა მდგომარეობაშია ილიას ძეგლი. თუ ალპინისტური მონაცემები არ გაქვს, ძეგლამდე ვერც მიხვალ. ამასთან, დანგრეულია თავად ძეგლი“, — აღნიშნა არჩილ ჭყოიძემ.

მისი თქმით, სააკაშვილის 9-წლიანი მმართველობის პერიოდში ერეკლე მეორის საზოგადოებამ 3 აქცია გამართა და ილიას ძეგლის გადარჩენის თხოვნით პრეზიდენტს 2-ჯერ მიმართა. თუმცა ამაზე რეაგირება ნულის ტოლფასი იყო. არადა, იმ პერიოდში 90 მილიონი შუშის ხიდის აშენებაში და ათიათასობით ევრო გაუგებარ ველოსიპედის ძეგლში იხარჯებოდა.

„ეს არის იმის მაგალითი, თუ როგორ ებრძოდა ილია ჭავჭავაძეს მიხეილ სააკაშვილი საქმით და ფასადურადაც კი არაფერს აკეთებდა მისი ძეგლის გადასარჩენად. მან 9 წლის განმავლობაში ძეგლი გაანადგურა. მივმართავთ ახალ ხელისუფლებას და პირადად ბიძინა ივანიშვილს – მას ძალიან ბევრი ეკლესია და არქიტექტურული ძეგლი აქვს გადარჩენილი. იქნებ, ილიას ძეგლის აღდგენაზეც იზრუნონ. ერის სულიერი მამის, მით უმეტეს, წმინდანის ძეგლი ასეთ სავალალო მდგომარეობაში არ უნდა იყოს“, — აღნიშნა არჩილ ჭყოიძემ.

იგი მედიასაშუალებებს მოუწოდებს, უკომენტაროდ გადაუღონ ფოტო იმ ძეგლს, რომელზეც მიხეილ სააკაშვილმა არ იზრუნა და ის თავად პრეზიდენტს აჩვენონ.

მედიანიუსი

ქარელში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 3 ადამიანი დაიღუპა

ქარელში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 3 ადამიანი დაიღუპა, 9 კი მძიმედ დაშავდა.

სამარშრუტო ტაქსი, რომელიც ზუგდიდან თბილისის მიმართულებით მოძრაობდა, გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და რამდენჯერმე ამოტრიალდა, რის შედეგადაც მძღოლი და წინ მჯდომი ორი მგზავრი ადგილზე დაიღუპა.

რაც შეეხება 9 დაზარალებულს, რომლებიც ქარელის საავადმყოფოში გადაიყვანეს, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

დაშავებულების ნაწილი ამ დროისთვის თბილისში გადმოჰყავთ.

ავტოავარიის გამომწვევი მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.

პირველი

დღეს ზოგიერთ რეგიონში ნალექია მოსალოდნელი

სინოპტიკოსები დღეს საქართველოს მასშტაბით არამდგრად ამინდს პროგნოზირებენ.

როგორც გარემოს ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, დასავლეთ საქართველოში დროგამოშვებით მოიღრუბლება, მოსალოდნელია მცირე ნალექი, ბარში წვიმის, მთაში კი თოვლის სახით.

იქროლებს დასავლეთის ქარი 10-15 მეტრი წამში.

ჰაერის ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 8–13 გრადუსს მიაღწევს, მთაში 3–8 გრადუსამდე გათბება, მაღალ მთაში კი 0–5 გრადუსი დაფიქსირდება.

აღმოსავლეთ საქართველოშიც დროგამოშვებით ღრუბლიანობის მომატებაა ნავარაუდევი. მოსალოდნელია მცირე ნალექი, ბარში წვიმის, მთაში კი თოვლის სახით. აქაც დაუბერავს დასავლეთის ქარი 10-15 მეტრი წამში. ჰაერის ტემპერატურა ბარში 7-12 გრადუსი დაფიქსირდება, მთაში 1–6, მაღალ მთაში კი -2 – +3 გრადუსი.

დღეს თბილისში დროგამოშვებით ღრუბლიანობის მომატებას ვარაუდობენ, თუმცა დღე უმეტესად უნალექოდ ჩაივლის. იქროლებს ჩრდილო-დასავლეთს ქარი 10-15 მეტრი წამში. ჰაერის ტემპერატურა კი 9 გრადუსს მიაღწევს.

მედიანიუსი

რა შედეგით დასრულდება ილია II-ისა და პუტინის შეხვედრა

დასაწყისი მე-3 გვერდზე

რუსები სოფლიდან უხმაუროდ გავიდნენ. მათ საქართველოს ხელისუფლებას სთხოვეს, სოფელში ჩუმად შემოდითო. პიარზე ორიენტირებულ ხელისუფლებას ეგღა აკლდა, პერევში ჩუმად შესულიყო. დაიდგა სპექტაკლი, თითქოს ჩვენებმა რუსები დაიფრინეს. ეს მოსკოვში არ მოეწონათ და ჯარი ისევ უკან შემოგვიტრიალეს. ბოლოს რუსებმა მაინც დატოვეს ეს სოფელი.

იმ პერიოდში პატრიარქი კიდევ უნდა წასულიყო მოსკოვში, მაგრამ იმ დროს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად და საეჭვოდ გაუარესდა. მაშინ ბევრი ამბობდა ღიად, რომ საქართველოს პატრიარქი მოწამლეს. ვიღაცას ხელისუფლებაში ძალიან არ აწყობდა, პატრიარქი მოსკოვში წასულიყო. ჯონდი ბაღათურია ამტკიცებდა, რომ ილია II-ს რუსებთან ახალგორის დაბრუნებაზე უნდა ეწარმოებინა მოლაპარაკებები.

ამის შემდეგ ილია II უკრაინაში შეხვდა რუსეთის პატრიარქს. რუსული ეკლესიის წინამძღოლმა მაშინ გააკეთა განცხადება, რომ ისინი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ეკლესიების დამოუკიდებლობას არ აღიარებენ. სხვათა შორის, რუსულ ეკლესიას არც სოხუმისა და ცხინვალის დამოუკიდებლობა უღიარებია.

ნათლისღება დღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მრევლს ლოცვის გაძლიერებისკენ მოუწოდა.

– მთელ საქართველოს მოგმართავთ, რომ ილოცოთ, რადგან მეტად რთული და ჩვენთვის საჭირო საკითხები იქნება განხილული, – განაცხადა ილია II-მ და მრევლს „მოწყალებისა კარი განგვიღეს“ მრავალჯერ გამეორებისკენ მოუწოდა.

პატრიარქი საქართველოში 26 იანვარს დაბრუნდება და, ალბათ, მაშინ შეგვეძლება ამ შედეგებზე საუბარი. იმედი ვიქონიოთ, რომ პატრიარქის ვიზიტი ნაყოფიერი იქნება.

დაახლოებით 2 კვირის წინ სოციალურ ქსელებში დაიწყო მოწოდებები პატრიარქის მიმართ. ისინი ითხოვდნენ, პატრიარქი რუსეთში არ წასულიყო.

ანალოგიური მოწოდებები ისმოდა 2011 წლის ნოემბერშიც. ილია II მაშინაც წავიდა მოსკოვში. მავანმა ამის გამო პატრიარქისთვის სამაგიეროს გადახდა მოინდომა. ბასილ კობახიძემ ხალხს აეროპორტში აქციის მოწყობისკენ მოუწოდა.

ვიღაცები მართლაც წავიდნენ აქციის გასამართად, მაგრამ პროტესტის გამოხატვა ვერ გარისკეს. აეროპორტში უწმინდესს დიდი რაოდენობით მრევლი ელოდა.

ხათუნა ლაგაზიძე: „სამეგრელოში დესტაბილიზაცია არ უნდა დავუშვათ!“

თამარ ნინიძე

მიხელ სააკაშვილი ბოლო დროს სახიფათო განცხადებებს აკეთებს. პარლამენტის ქუთაისიდან თბილისში გადატანას და ზუგდიდში სააკაშვილის რეზიდენციის განლაგებას ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში ხათუნა ლაგაზიძე საგანგაშო სიგნალად მიიჩნევს. „ახალი თაობა“ ხათუნა ლაგაზიძეს ესაუბრა.

– პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ერთი და იგივე შინაარსის ინიციატივებს უკვე მესამედ სთავაზობს პრემიერ-მინისტრ ივანიშვილს. როგორ შეაფასებთ აღნიშნულ ინიციატივებს, კერძოდ, საინვესტიციო პოლიტიკის ერთობლივად განხილვას და ეკონომიკური ამნისტიის გამოცხადების საკითხს?

– ბოლო დროს ინიციატივების თვალსაზრისით პრეზიდენტი ძალიან გააქტიურდა. კარგი იქნებოდა ის შინაარსი, რაც ამ ინიციატივებში დევს, შეესაბამებოდეს იმ რეალურ მიზანს, რაც ამ ინიციატივების მიღმა დგას. მის ბოლო პრესკონფერენციაზე გაჟღერებული ინიციატივები ეკონომიკური ამნისტიისა და ასევე, სამხედრო მოსამსახურეებისთვის საპენსიო პირობების გაუმჯობესების შესახებ, ორივე თითქოს არის ძალიან კეთილშობილური და საკუთარ მოსახლეობაზე ზრუნვით განპირობებული ინიციატივები, მაგრამ საკითხავია, რატომ არ წამოაყენა მან ეს ინიციატივები მაშინ, როცა ხელისუფლების რეალური ბერკეტები ჰქონდა? რატომ გახდა ის ასეთი გულმოწყალე, როცა ხელისუფლებას სხვა პოლიტიკური ძალა ფლობს. ეჭვებს აღძრავს ეს ინიციატივები იმ პირობების გათვალისწინებით, რა პირობებშიც სააკაშვილი ქვეყანას მართავდა ცხრა წლის განმავლობაში. ორივე ამ ინიციატივას ორლესული მახვილის ფუნქცია აქვს, იმიტომ, რომ მოიცავს პირთა ძალიან დიდ ჯგუფს, რომელთაც ის უნდა შეეხოს. ერთი მხრივ, ბიზნესმენებს, რომელთაც სხვადასხვა მიზეზთა, მათ შორის, არასწორი საგადასახადო აღრიცხვიანობის გამო დაუგროვდათ შესაძლოა ეს დავალიანება, მათი მეშვეობით სააკაშვილი ცდილობს, გარანტიები მოიპოვოს საკუთარი გუნდის წევრებისთვისაც, რეალური მიზეზი ამ ინიციატივისა არის არა ბიზნესმენთა დიდი არმიის მიმართ ზრუნვა, არამედ ვიწრო ჯგუფის ინტერესებზე ზრუნვა, რათა მათ შერჩეთ ის, რაც ამ წლების განმავლობაში არაკანონიერი გზით მიითვისეს. თუ „ქართული ოცნება“ არ დათანხმდება ამ ინიციატივას, ის მიიღებს დიდ ნაწილს განაწყენებული ბიზნესმენებისა და მათი მხარდამჭერებისა, თუ დათანხმდება, ციფრები არავის დაუთვლია, რა სახის ამნისტიაზეა საუბარი, ალბათ, არც სააკაშვილს დაუთვლია ეს ციფრები, არ ექნება დათვლილი, რა ფასად დაუჯდება ბიუჯეტს ამ სახის ამნისტია. როგორც წესი, სააკაშვილი ასეთი ტიპის ინიციატივების დაყენების დროს მსგავს არგუმენტებზე ნაკლებად ფიქრობს. იგივე შეიძლება ითქვას მეორე ინიციატივაზე სამხედრო მოსამსახურეთა საპენსიო უზურნველყოფის შესახებ. აქაც საუბარია ადამიანების დიდ რაოდენობაზე, რომელთაც უნდა გაეზარდოთ პენსია. ითვალისწინებს სააკაშვილი იმას, რომ საქართველოს ბიუჯეტი შეძლებს ამ ტვირთის აწევას? თუ წელს ბიუჯეტი ამას ვერ აწევს და ახალი ხელისუფლება ამ ინიციატივას ვერ მიიღებს, გაჩნდებიან უკმაყოფილო ადამიანები, რომლებიც არჩევნების დროს კოალიციის უპირობო მხარდამჭერები იყვნენ. თუ დათანხმდა ხელისუფლება ამას, სააკაშვილი ქუღლებს დაიწერს და მისი გუნდის ნაპარავ მილიონებს და მილიარდებს მას აღარავინ მოსთხოვს. თუმცა „ნაცმოძრაობას“ ვერანაირი ინიციატივები ვერ უშველის. მისი მომავალი ამ ფორმატით დამთავრებულია. სამწუხარო ის არის, რომ სააკაშვილის ბოლოდროინდელი ყველა ინიციატივა დესტრუქციაზეა აგებული. მრჩება შთაბეჭდილება, რომ სააკაშვილმა მოიხსნა პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ბედზე არა როგორც პრეზიდენტმა, არამედ როგორც ერთ-ერთმა რიგითმა მოქალაქემ.

– მინდა გკითხოთ რეზიდენციის სამეგრელოში გადატანაზე, როგორ ფიქრობთ, ესეც დესტრუქციული გადაწყვეტილებაა? რეალურად რა მიზანს ემსახურება ეს იდეა?

– ეს არის ერთ-ერთი მტკივნეული თემა, რაზედაც, ჩემი აზრით, ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურებმა სათანადო რეაგირება უნდა მოახდინონ. სამეგრელო ყველაზე მეტად ზარალდებოდა სამოქალაქო დაპირისპირების დროს, რევოლუციური განწყობები ამ რეგიონში იწყებოდა, რაც მთავარია, ის არის აფხაზეთის მოსაზღვრე რეგიონი, იქ ნებისმიერი ექსტრავაგანტული ქმედება, რაც შეიძლება სააკაშვილმა ჩაიდინოს, შეიძლება იყოს უზარმაზარი რისკის შემცველი და არ არის გამორიცხული მისმა ქმედებამ პროვოცირება მოახდინოს რუსეთის ჯარის ადმინისტრაციული საზღვრის გადმოლახვაზე. სააკაშვილი ზუსტად ასევე მაპროვოცირებელ ქმედებებს ეწეოდა 2008 წელს ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვრის გასწვრივ. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ სამეგრელოდან მთელი წინასაარჩევნო კამპანიის დროს გვესმოდა ინფორმაცია, რომ იქ არიან სააკაშვილის ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი უკანონო შეიარაღებული ფორმირებები. მასში მყოფი ადამიანების მიმართ სააკაშვილის გუნდს შეიძლება ჰქონდეს კომპრომატები, რაც შეიძლება გამოიყენონ იმისათვის, რომ მოახდინონ დესტაბილიზაცია სასაზღვრო რეგიონში.

– სააკაშვილი ასევე ღელავს იმის გამო, რომ პარლამენტი ქუთაისიდან თბილისში შეიძლება დაბრუნდეს და უცნაურ განცხადებებს ამ საკითხის გარშემოც აკეთებს.

– მე ზოგადად არ ვეთანხმები პარლამენტის თბილისში დაბრუნებას, მაგრამ იმ ინტერპრეტაციით, რითიც ის საუბრობს, ჩემი აზრით, ისევ სეპარატიზმს აქეზებს. ღია ტექსტით აპირისპირებს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას. გარდა იმისა, რომ სააკაშვილი საშინაო პოლიტიკაში ასეთ უპასუხისმგებლო განცხადებებს აკეთებს, ის არც საგარეო პოლიტიკას ივიწყებს და აქაც ერთ პრესკონფერენციაზე მოახერხა და შეეცადა, შეექმნა განწყობა, რომ საქართველოს პრობლემები აქვს ყველა მის ახლო მეზობელთან.

– თქვენ გულისხმობთ სარკინიზგო საკითხს, რომელიც საკმაოდ სერიოზული პოლიტიკური განსჯის თემაა?

– დიახ, თუ სააკაშვილის საუბარს შევაფასებთ სერიოზულად, ის პირდაპირ ამბობს, რომ საქართველოს პრობლემები ექმნება სომხეთთან, აზერბაიჯანთან, თურქეთთან. თურქეთთან დაკავშირებით სააკაშვილი კონკრეტულ მიზეზს არ ასახელებს, რის გამოც შეიძლება, მისი აზრით, საქართველოს ჰქონდეს დაძაბული ურთიერთობა მასთან. სარკინიგზო თემას რაც შეეხება, გასაგებია, რომ აქ მთავარი ფიგურანტები არიან სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი და სეპარატისტული რეგიონი – აფხაზეთი. მაინც ჩვენი მისაღები გადაწყვეტილებაა ამ რკინიგზის გახსნა. მესმის, რომ თეორიული რისკი ამ რკინიგზამ შეიძლება აზერბაიჯანისთვის წარმოშვას, მაგრამ ეს არის საქართველოს გადაწყვეტილება და შესაძლოა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით. ამავე დროს საქართველოს ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს დათვლილი პლუსები და მინუსები, რაც შეიძლება მოჰყვეს ამ გადაწყვეტილების მიღებას.

– აფხაზი სეპარატისტების ირონიული შეფასებებები იყო ამ რკინიგზასთან დაკავშირებით. როგორ ფიქრობთ, მათი ინტერესი როგორია ამ რკინიგზასთან მიმართებაში?

– აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად არ იღებს. რუსეთთან სატრანსპორტო კომუნიკაციის პრობლემა აფხაზებს არ გააჩნიათ. ეს არის პროცესი, რომელმაც საქართველოს შეიძლება სერიოზული დივიდენდები მოუტანოს ან პირიქით, აფხაზეთის დაკარგვის გაფორმების დასაწყისად იქცეს.

აქ უამრავი თემა შემოდის, მაგ., ვინ შეამოწმებს აფხაზეთის მხრიდან საქართველოს დე იურე სახელმწიფო საზღვარს? ვინ შეამოწმებს ორივე მიმართულებით მოძრავ ტვირთებს? თუ ჩვენი მებაჟეებისა და მესაზღვრეების დაშვება მოხდება საქართველოს დე იურე საზღვარზე, რომელზეც შეხება ჩვენ უკვე ოცი წელია არა გვაქვს, ეს იქნება საქართველოსთვის ძალიან დიდი მიღწევა. თუმცა ამ ეტაპზე რისკები უფრო მეტია, ვიდრე შანსები და სწორედ ამიტომ ეს საკითხი დეტალურად უნდა იყოს შესწავლილი ყველა მოქმედი სახელმწიფოს ინტერესების, პირველ ყოვლისა კი საქართველოს ინტერესების გათვალისწინებით.

საპრეზიდენტო მარათონი

დასაწყისი მე-5 გვერდზე

თუმცა მიუხედავად ნინო ბურჯანაძის რეიტინგის ზრდისა, საზოგადოების წინაშე მასაც საკმაოდ ბევრ კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა. ეს კითხვები ძირითადად „სახალხო კრებასა“ და 26 მაისის მოვლენებს ეხება. თუმცა ამ ვალდებულებისგან ბურჯანაძე შეიძლება ქვეყნის მთავარმა პროკურატურამ გაათავისუფლოს, რადგან როგორც ცნობილია, ამ უწყებაში 26 მაისის მოვლენების შესახებ აქტიური გამოძიება მიმდინარეობს. იმ შემთხვევაში, თუ გამოძიება გააქარწყლებს ყოფილი ხელისუფლების მიერ 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით შექმნილ აზრს და სურათს, და განსხვავებულ რეალობას დადებს, მაშინ ნინო ბურჯანაძის რეიტინგი კიდევ უფრო გაიზრდება და ის შეიძლება უალტერნატივო საპრეზიდენტო კანდიდატადაც კი მოგვევლინოს, თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ყველაფერი დამოკიდებული იქნება 26 მაისის მოვლენების ობიექტურად გამოძიებაზე, რაც ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, უნდა აწყობდეს როგორც ახალ ხელისუფლებას, ასევე ნინო ბურჯანაძესაც.

რაც შეეხება სხვა შესაძლო საპრეზიდენტო კანდიდატებს, 2008 წლის არჩევნებზე, საპრეზიდენტო კანდიდატებად წარდგენილი პოლიტიკოსები – შალვა ნათელაშვილი და დავით გამყრელიძე, სავარაუდოდ ამ არჩევნებზე, ახალი პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, კანდიდატურის დაყენებისგან თავს შეიკავებენ.

რა თქმა უნდა იქნება უამრავი სხვა კანდიდატიც, თუმცა მათ შორის ანგარიშგასაწევი და რეალური, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ჯერჯერობით მხოლოდ სამია და სავარაუდოდ მათი რიცხვი არც გაიზრდება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პრეზიდენტად კენჭისყრას თავად ივანიშვილი არ გადაწყვეტს, რაც უნდა ითქვას, რომ კიდევ უფრო ნაკლებადსავარაუდოა.

ასე, რომ წინ საკმაოდ საინტერესო და რაც მთავარია დაძაბული საპრეზიდენტო მარათონი გველის.

რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას,“ მათ რიგებში ჯერჯერობით არ ჩანს პიროვნება, რომელიც თავისი ბეგრაუნდიდან გამომდინარე, შეძლებს და პრეზიდენტობის რეალურ კანდიდატად მოგვევლინება.

ამ შიდაპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, მიხეილ სააკაშვილი საპრეზიდენტო პოსტზე, როგორც პოლიტიკური სტაბილურობის გარანტი, ქვეყანას დღეს, როგორც არასდროს ისე სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი იქნება რისკი, რომ საზოგადოებამ მომავალი მმართველი, კვლავ ემოციებიდან გამომდინარე, ცხელი გონებით, ნაჩქარევად აირჩიოს. ოქტომბრამდე კი, ძალიან ბევრი რამ გადაფასდება და საზოგადოებაც განსხვავებით წინა პრეცენდენტებისგან, იმედია არჩევანს ცივი გონებით და პრაგმატული მოსაზრებებით გააკეთებს.

ხოლო რაც შეეხება დღეს მოქმედ პრეზიდენტს, რომელიც როგორც აღვნიშნეთ ამ ვითარებაში ქართულ შიდაპოლიტიკურ რეალობას ნამდვილად სჭირდება, ის შეიძლება ითქვას, რომ ადექვატურობის ჩარჩოებს უკვე კარგა ხანია გასცდა.

ამას ადასტურებს მისი ბოლოდროინდელი განცხადებები ქვეყანაში მიმდინარე ნგრევის პროცესის დაწყების, კორუფციის ჭაობში ჩაფლობის და კრიმინალების მიერ ძალაუფლების ხელში აღების შესახებ.

გაურკვეველია ასევე, რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობს მიხეილ სააკაშვილი, როდესაც ის რეგიონებში ახალ გუბერნატორებს წარადგენს, ან აქვს თუ არა აზრი ისეთ გუბერნატორობას, როცა მათ უკვე პრაქტიკულად არავინ არაფერს აღარ ეკითხება. რომ აღარაფერი ვთქვათ სამეგრელოზე, მოულოდნელი იყო მცხეთა -მთიანეთისა და შიდა ქართლის გუბერნატორების წარდგენაც, უფრო სწორად მოულოდნელი იყო ის კანდიდატურები ვინც პრეზიდენტმა წარადგინა.

თავად ხევსურების განცხადებით, ხათუნა ოჩიაურს ხევსურეთთან გვარის გარდა არაფერი აკავშირებს, ხოლო ბარნოვის შემთხვევაში, კიდევ ერთხელ დადასტურდა, თუ რამდენად ობიექტური „დამოუკიდებელი ექსპერტი“ იყო ის მაშინ, როცა ნაციონალური არხები მის პროგნოზებს უცილობელ ჭეშმარიტებად წარმოგვიჩენდნენ. ნაციონალური ხელისუფლება ასეთი „დამოუკიდებელი ექსპერტების“ ნამდვილი სამჭედლო იყო.

გაურკვეველია აგრეთვე იმ ვიზიტის აზრი და მიზანი, რომელიც პრეზიდენტმა 13 იანვარს, ახლადდანიშნული გუბერნატორის ოჯახში მოაწყო. როგორც ჩანს მას უკვე ისე უჭირს, რომ მხოლოდ თავისი უახლოესი გარემოცვის ოჯახებში თუ ახერხებს სტუმრობას, ხოლო თემა, რაზეც სააკაშვილმა ბარნოვის ოჯახში ისაუბრა, კიდევ უფრო საინტერესოა.

მან როგორც ცნობილია სინანული გამოთქვა ამნისტიის კანონის მიღების გამო და განაცხადა, რომ უკიდურეს შემთხვევაში „რუსეთის აგენტები“ ხელისუფლებას, რუსეთში, ანალოგიური ბრალდებით დაკავებულ პირებზე უნდა გაეცვალა. საქმე ამ შემთხვევაშიც იაფფასიან პოპულიზმთან გავქვს, რადგან თუ გაცვლა უნდოდა, მას ამის გაკეთება მაშინ შეეძლო, როცა ძალაუფლებას რეალურად ფლობდა.

გარდა ამისა, სააკაშვილი ამნისტიის შესახებ კანონზე საუბრისას მუდმივად ახსენებს იმ არაქართული გვარების მატარებელ ყოფილ პოლიტპატიმრებს, რომლებმაც საპყრობილე დატოვეს. ამ ასევე ძალიან იაფფასიანი პიარტრიუკის გაშიფვრა ვფიქრობ არც ღირს, უბრალოდ, როგორც ჩანს სააკაშვილმა არ იცის, რომ ქართველი ხალხი თანაუგრძნობს ყველა უდანაშაუდოდ დასჯილს და დაჩაგრულს, მიუხედავად იმისა რა გვარს ატარებს და რა ეროვნებას მიეკუთვნება იგი. ასე, რომ პრეზიდენტის ეს მარტივი პიარსვლა მხოლოდ განწირული კაცის მიერ ხავსზე ჩაბღაუჭებად შეიძლება იქნას აღქმული.

ამასთანავე, პრეზიდენტს ნამდვილად ეშინია იმ ხალხის, ვინც ციხეებს მასიურად ტოვებს და ვინც იქ აბსოლუტურად უდანაშაულოდ, სააკაშვილის ან მისი გუნდის რომელივე წევრის ინტერესების გამო მოხვდა. ვფიქრობ ეს შიში საფუძვლიანია.

ის ხალხი, კი ვინც ციხიდან გამოვიდა, ისევე როგორც ნებისმიერი ადამიანი, ვინც 1 ოქტომბერს ხმა მომავალს მისცა, სამართლიანობის აღდგენას მოითხოვს და საკმაოდ საფუძვლიანადაც, ვინაიდან არ შეიძლება ყველას ყველაფერი ეპატიოს და არ შეიძლება დანაშაულებრივი ბრძანების შესრულებისთვის დამდგარი პასუხისმგებლობის პრეცენდენტი არ შეიქმნას. ეს ძალიან ცუდი იქნება არა მარტო იმ ხალხის განწყობისთვის, ვინც 9 წლის განმავლობაში ტირანიას უძლებდა და ებრძოდა, არამედ მთლიანად ქვეყნის განვითარებისთვის, რადგან ადვილი შესაძლებელია, რომ თუნდაც რამდენიე ათეული წლის შემდეგ, სხვა პოლიტიკურ რეალობაში, საქართველოში იგივე განმეორდეს.

გასაგებია, რომ ყველა იმ ადამიანის დაჭერა, ვინც წინა ხელისუფლების დროს სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა – შეუძლებელია, მაგრამ იმ დანაშაულებრივი ბრძანებების როგორც გამცემი, ასევე შემსრულებლებიც აუცილებლად უნდა დაისაჯონ, რომელი ბრძანების საფუძველზეც ახალგაზრდა ბიჭებს ქუჩაში ხვრეტდნენ, საკუთარ ხალხს სპეცოპერაციებს უწყობდნენ და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრებს ცოცხებითა და სკამის ფეხებით აუპატიურებდნენ.

ხალხი ამას მოითხოვს, ეს ხალხის დაკვეთაა და თუ ჯერ ამ დაკვეთას საზოგადოება ძალიან ხმამაღლა არ აფიქსირებს, იმის დამსახურებაა, რომ ისინი კიდევ მოლოდინის რეჟიმში არიან. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ კი, ხალხი დამნაშავეთა დასჯას უფრო და უფრო მეტი დაჟინებით მოითხოვს, ხოლო თუ მათ თავიანთი მოთხოვნის რეალური შედეგი ვერ დაინახეს, სამართლიანობის აღდგენის სხვა გზას მონახავენ.

სამართლიანობის აღდგენასთან ერთად კი, ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ, სამართლიანი სასამართლოც უნდა ჩამოყალიბდეს, რადგან იმ სასამართლოს პირობებში, რომელიც სულ რაღაც რამდენიმე თვის წინ პროკურატურის ნოტარიატად იყო ქცეული, სამართლიანობის რეალური აღდგენა ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოხდება.

სხვათა შორის, იუსტიციის მინისტრის მიერ დაანონსებული სასამართლო რეფორმა გახდა საკითხი, რომელმაც ყოფილ ხელისუფლებას და განსაკუთრებით კი მის ლიდერს მოსვენება დაუკარგა, რადგან მათ ყველაზე კარგად იციან როგორც მორჩილი სასამართლოს ფასი, აგრეთვე დამოუკიდებელი სასამართლოს ძალაც.

სამართლიანობის აღდგენის კუთხით საზოგადოების მოთხოვნა ძალიან დიდია, დრო კი ცოტა, თუმცა მიუღწეველი და შეუძლებელი არაფერია, მითუმეტეს, რომ ახალი ხელისუფლება და მისი ძალოვანი უწყებები პროფესიონალი და პატიოსანი კადრების ნაკლებობას, საბედნიეროდ არ უჩივიან.

ალექსანდრე კაპანაძე
სააგენტო „ნიუსპრესი“

ვინ შეცვლის ნიკა ვაჩეიშვილს?

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ თანამდებობიდან გადააყენა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკა ვაჩეიშვილი. როგორც მინისტრის მოადგილე მარინა მიზანდარმა განაცხადა, ბრძანებას კულტურის სამინისტრო დაწერს და 25 იანვრიდან ნიკა ვაჩეიშვილი დაკავებულ თანამდებობას დატოვებს.

კულტურის სამინისტროში გურამ ოდიშარიამ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა, რომელიც მიეძღვნა კულტურის მინისტრის გურამ ოდიშარიასა და მისი მოადგილის მარინე მიზანდარის ვიზიტებს ბელგიაში, საფრანგეთსა და სომხეთში.

ამ ვიზიტების ფარგლებში, მინისტრი გურამ ოდიშარია და მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი პარიზში იუნესკოს გენერალური დირექტორის მოადგილეს ფრანჩესკო ბანდარინის შეხვდნენ. შეხვედრაზე ბაგრატის საკითხიც განიხილეს. იუნესკოში აღინიშნა, რომ ბაგრატის განახლების პროექტი არ იყო მათთან შეთანხმებული, ასევე არ იქნა დაცული რეკონსტრუქციის კრიტერიუმები, რაც ტაძრის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხიდან ამოღებას გამოიწვევს. ბანდარინიმ აღნიშნა, რომ დაირღვა ძეგლის ავთენტურობა და როგორც ხუროთმოძღვრების თვითმყოფადი ნიმუში, ის ნუსხაში ვეღარ დარჩება. ფრანჩესკო ბანდარინი ქართულ მხარეს ერთგვარი კომპრომისული ფორმის მოძიებას სთავაზობს.

ჟურნალისტებთან შეხვედრისას ისიც ითქვა, რომ გურამ ოდიშარია და მარინე მიზანდარი ასევე შეხვდნენ იკომოსის – ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო საბჭოს მსოფლიო მემკვიდრეობის პროგრამის დირექტორს რეგინა დიურიგელოს. იკომოსშიც აქცენტი ბაგრატსა და მცხეთის ძეგლებზე გაკეთდა, საუბარი ასევე შეეხო მომავალი თანამშრომლობის გეგმებს.

მინისტრი და მინისტრის პირველი მოადგილე აგრეთვე შეხვდნენ ტელეკომპანია „არტეს“ გენერალურ და საერთაშორისო პროგრამების დირექტორს. მათ ისაუბრეს ფრანგულ-გერმანული არხის „არტეს“ ტიპის კულტურულ-შემეცნებითი არხის ამოქმედების შესახებ საქართველოში. ამ საკითხზე მოლაპარაკებებს სამინისტრო საქართველოში მოქმედ მედიასაშუალებებთანაც გამართავს.

ამავე ვიზიტის ფარგლებში, გურამ ოდიშარია და მარინე მიზანდარი შეხვდნენ ქართულ სათვისტომოს ბრიუსელში.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია პრემიერთან და მთავრობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად ოფიციალური ვიზიტით სომხეთში იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა ერთობლივ დოკუმენტს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და სომხეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროებს შორის. დოკუმენტი ითვალისწინებს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის პროგრამას 2013-2014 წლებში.

ყველა ეს მნიშვნელოვანი საკითხი კულტურის მინისტრმა მასმედიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას დეტალურად განიხილა. ბაგრატის ტაძართან დაკავშირებით მინისტრმა განაცხადა, რომ ბაგრატის ტაძრის განახლების პროექტი იუნესკოსთან შეთანხმებული არ ყოფილა:

– პარიზში ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა იუნესკოს გენერალური დირექტორის მოადგილე ფრანჩესკო ბანდარინისთან, რომელზეც ბაგრატის ტაძრის საკითხიც განვიხილეთ. იუნესკოში აღინიშნა, რომ ბაგრატის ტაძრის განახლების პროექტი მათთან შეთანხმებული არ ყოფილა. არ იყო დაცული რეკონსტრუქციის კრიტერიუმები, რაც მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხიდან ტაძრის ამოღებას იწვევს. ბანდარინიმ აღნიშნა, რომ დაირღვა ძეგლის, როგორც ხუროთმოძღვრების თვითმყოფადი ნიმუშის ავთენტურობა და ის ნუსხაში ვეღარ დარჩება. ბაგრატის ტაძარი არ არის ის, რაც იყო, სპეციალისტების მიერ გამოითქვა აზრი, რომ ჯობდა დარჩენილიყო ისე, როგორც აქამდე იყო. აზრთა სხვადასხვაობაა ამასთან დაკავშირებით, გავა დრო და ბაგრატის ტაძარს შეეჩვევა ქართველი საზოგადოება, ხალხი ამ ტაძარში ილოცებს და ის საუკუნეებს გაჰყვება. ბაგრატის ტაძარი ჩვენს შვილთაშვილებს უნდა გადაეცეს. მაგრამ გული ერთ რამეზე მწყდება – მისი რესტავრაცია ბევრად უკეთ, აუჩქარებლად, პრინციპით ,,იჩქარე ნელა“ შეიძლებოდა და ის სამაგალითოდ აღდგენილი ძეგლი იქნებოდა. ჩვენ კი ეს შანსი სამუდამოდ გავუშვით ხელიდან.

კულტურის მინისტრი მარინე მიზანდარი:

– იუნესკო ქართულ მხარეს კომპრომისული ფორმის მოძიებას სთავაზობს, რაზეც მუშაობა უკვე დაწყებულია. მზადდება ახალი ნომინაცია, რათა გელათი კვლავ შეიტანონ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში. საპროექტო წინადადებაში, რომელიც საერთაშორისო ექსპერტებმა მოამზადეს, ბაგრატი არ ფიგურირებს და დატანილია რუკაზე წერტილის სახით, რადგან ეს ძალიან რთულია. ამის გაკეთება საფრთხეში აგდებს გელათის საკითხსაც, რადგან თანაბარუფლებიანი საფუძვლით ეს ორი ძეგლი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში ვერ შევა.

ამ შეხვედრაზე გახდა ცნობილი, რომ ნიკოლოზ ვაჩეიშვილი კულტურის მინისტრმა თანამდებობიდან გადააყენა. გურამ ოდიშარიას თქმით, მასსა და ნიკა ვაჩეიშვილს შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ვინაიდან სამინისტრო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას კულტურული მემკვიდრეობის საagენტოში ცვლილებებთან დაკავშირებით, ამიტომ გურამ ოდიშარიამ მისი მოხსნის გადაწყვეტილება მიიღო. გურამ ოდიშარიამ განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება მან მიიღო. ნიკა ვაჩეიშვილი ამ კვირიდან დატოვებს თანამდებობას. მიზეზებზე გურამ ოდიშარიამ ჟურნალისტებთან ისაუბრა და განაცხადა, რომ თუკი აქამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ეს გადაწყვეტილება მინისტრმა ბაგრატის ტაძართან დაკავშირებით მიიღო, ეს არ არის მართალი, რადგან ბაგრატის ტაძარი არ არის მთავარი მიზეზი, რის გამოც მან ნიკა ვაჩეიშვილი მოხსნა. მან ისაუბრა სხვა ძველი ძეგლების რესტავრირების დროს დაჩქარებული წესით წარმოებულ სამუშაოებზე, რამაც დააზარალა ძეგლები. ეს კი მინისტრისთვის მიუღებელი იყო.

ჯერჯერობით არ არის ცნობილი, ვინ შეცვლის ნიკა ვაჩეიშვილს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

– ჩვენ ვისაუბრეთ ნიკასთან აქტიურად, შევთანხმდით, რომ მან დიდი სამუშაოები ჩაატარა, ნაწილი კარგია მის მიერ წარმოებული სამუშაოებისა, ნაწილზე მაქვს შენიშვნები და არა მარტო მე, არამედ სპეციალისტებსაც. ნიკა იზიარებს შენიშვნებს ან საერთოდ არ იზიარებს. ჩვენ დიდხანს გვქონდა საუბარი და დავასკვენით, რომ ჩვენი კონცეპტუალური ხედვა განსხვავდება და სჯობს, დავშორდეთ ერთმანეთს ამ ეტაპზე. ამ კვირიდან გაფორმდება დოკუმენტაცია. სავარაუდო კანდიდატები უკვე არიან. ვაღიაროთ, რომ უკანასკნელ წლებში ამ ტაძრების რესტავრირების დროს ზოგიერთი პროექტი ძალიან სწრაფად არის განხორციელებული. ამით გაფუჭდა ყველაფერი. არის შემთხვევები, როცა ნიკა ვაჩეიშვილიც არ იყო ამაში დამნაშავე, მას აჩქარებდნენ, მაგრამ, როცა სააგენტოს ხელმძღვანელი ხარ, პასუხისმგებლობაც შენზეა, – აღნიშნა გურამ ოდიშარიამ.

სამინისტროს ამ თანამდებობაზე რამდენიმე კანდიდატი უკვე ჰყავს, თუმცა მათი დასახელება ჟურნალისტებთან შეხვედრაზე არ ისურვეს.

– ნიკა ვაჩეიშვილს თანამდებობიდან ამ კვირაში გაათავისუფლებენ. კულტურის სამინისტროში დაიწერება ბრძანება და 25 იანვრიდან ვაჩეიშვილი გათავისუფლებული იქნება. ის პროცესები, რაც წარიმართა და როგორც წარიმართა, იყო სრულიად დაუშვებელი. ძველ თბილისს შევხედოთ და ცალკე – საქართველოს ძეგლებს. 2009-2010 წლებში ჯერ მცხეთის ძეგლები იქნა ამოღებული მსოფლიოს კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლთა სიიდან და გადაყვანილი საფრთხეში მყოფ ძეგლთა ნუსხაში, შემდეგ უკვე – ბაგრატი და გელათი ერთად. ეს არის ყველაფრის შედეგი, რისი მოწმენიც ვართ დღეს. ვაჩეიშვილის გათავისუფლების მიზეზად შეიძლება დასახელდეს ბაგრატის ტაძრისა და თელავის რეაბილიტაციის პროექტის არასწორად განხორციელება, ასევე კულტურული მემკვიდრეობის სფეროში არსებულ სავალალო ვითარება. დღეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რესტავრაციის სფეროს დარგი ცუდ მდგომარეობაშია. ყველა ძეგლზე დაგვხვდა ძალიან დიდი პრობლემა, ხარვეზებით მიმდინარე მშენებლობები, დაუმტკიცებელი პროექტები, უნებართვო დაშენებები, მუზეუმი, რომელიც შენდება ყოველგვარი კონცეფციის გარეშე. როცა ჩავედით და ადგილზე შევისწავლეთ არსებული მდგომარეობა, აღმოჩნდა, რომ არქიტექტორებმა საერთოდ არ იციან, კონცეფცია რა არის, არც ის იციან, რისთვის შენდება მუზეუმი, საგანძურისთვის არის თუ ღვინისთვის. ისეთი პროცესებია წარმართული, რთულია ასეთი მენეჯმენტით ასეთ მნიშვნელოვან უწყებასთან მუშაობა.

მინისტრი და მისი მოადგილე აღნიშნავენ, რომ ვაჩეიშვილის გათავისუფლების მიზეზი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში დაშვებული მეთოდოლოგიური შეცდომებია.

– ჩვენ გვყავს სავარაუდო კანდიდატები. მოვაწყობთ შიდა კონკურსს და ძალიან მალე ყველასთვის ცნობილი გახდება, ვინ შეცვლის ნიკა ვაჩეიშვილს. ეს არის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა იმ ადამიანისთვის, რომელიც ამ თანამდებობაზე მოვა, რადგან ჩვენ ვიცით, რომ ეს არის საქართველო, დიდი კულტურითა და ისტორიით, რის წინაშეც იქნება ეს პირი პასუხისმგებელი. ჩვენც დიდ პასუხისმგებლობას ვიღებთ ჩვენს თავზე და დარწმუნებულნი ვართ, მოვლენები ისე განვითარდება, რომ გვექნება ძალიან ბევრი სამაგალითო პროექტი, – აღნიშნა კულტურის მინისტრმა.

თავად ვაჩეიშვილი ამბობს, რომ გადადგომის შესახებ განცხადებას არ დაწერს, ბრძანებას მის გადადგომაზე კულტურის სამინისტრო გააფორმებს.

ნიკა ვაჩეიშვილი არ ეთანხმება მინისტრის შენიშვნებს, ამიტომ განცხადების დაწერასა და საკუთარი ნებით სამსახურიდან წასვლას არ აპირებს:

– ვისაც ეკუთვნის ინიციატივა, იმან უნდა გააფორმოს იურიდიულად ბრძანება. ეს ჩვეულებრივი მომენტია. ამიტომ ეს სამინისტროს გადაწყვეტილებაა და, ბუნებრივია, ბრძანება უნდა დაიწეროს სამინისტროში. ჩვენ მართლაც შეხედულებები და შეფასებები სხვადასხვა გვაქვს, ჩემთვის ყოვლად წარმოუდგენელია ბაგრატის ტაძრის ნანგრევებად დარჩენა. ჩემთვის ყველაზე მთავარი ის არის, რომ ბაგრატის ტაძარი აღარ არის ნანგრევი. ის შესული იყო სიაში, როგორც ნანგრევი, ეს ტაძარი დღეს აღმდგარი სიძველეა, ამიტომ ჩემთვის ეს არის მთავარი, ბაგრატის ტაძარი დღეს არის ერთ-ერთი სანიმუშო სარესტავრაციო პროექტი. ბაგრატის ტაძარი იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში, რომელშიც იგი გელათის სამონასტრო კომპლექსთან ერთადაა შესული, ძველი ფორმით ვეღარ დარჩება, მაგრამ შესაძლებელია, იგი სხვა კრიტერიუმებით მოხვდეს იუნესკოს დაცული ძეგლების სიაში. გელათიც ჩვენი რესტავრირებულია, რომელსაც ყველა აფასებს უმაღლესი ქულებით, ისევე, როგორც ბაგრატი, მაგრამ ბაგრატი აღარ არის ნანგრევი, ამიტომ ისინი რაღაცნაირად უნდა დასცილდნენ ერთმანეთს, ეს აღარ არის ნანგრევი და სხვადასხვა ნომინაციაში უნდა გააგრძელონ ცხოვრება იუნესკოს ძეგლთა დაცვის ნუსხაში. ამისთვის დიდი შრომა მოუწევს კულტურის სამინისტროს. კულტურის მინისტრმა თქვა ისიც, რომ ყველაფერი ნაჩქარევი იყო. ნაჩქარევი კი არ იყო, დიდი შრომის შედეგია, რომ ამდენი სიძველე გადაურჩა ტოტალურ დანგრევას. 700-მდე ძეგლის აღდგენა მოხდა. ნაჩქარევი კი არ იყო, სწორედ გეგმაზომიერი წინსვლა იყო, მათ შორის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის ფონდის დახმარებით. ეს იყო ერთობლივი პროგრამა. აქედან გამომდინარე, კარდინალურად სხვა შეფასებებია. მთავარია, ნგრევა მოიხსნა, ახლა სხვა ფაზაში გადავედით და ბედნიერი ვარ, რომ სოფელი არ დარჩა, სადაც განახლებული არ არის ტაძარი, აღარ ინგრევა და ხელიდან არ გეცლება სიძველე. მომავლის ხედვებშიც აქედან გამომდინარეა აზრთა სხვაობა. ის, რომ ჩვენ მთელი რესურსი ავამოქმედეთ, რომ ამდენი სიძველე გადარჩა, ბედნიერებაა. რა თქმა უნდა, ამ სფეროში ვრჩები. მაგრამ ჯერ არ ვიცი, სამსახური სად მექნება. ძალიან მინდა, სტუდენტებთან მქონდეს ურთიერთობა, დიდი სიამოვნებით ვითანამშრომლებ სამინისტროსთან, ნებისმიერ კონსულტირებას გავუწევ, არსად არ ვიმალები და ჩასაფრებული პოზიციით არ ვარ. ძალიან მინდა, რომ წინ წავიდეს ეს სფერო, – ამბობს ვაჩეიშვილი.

„საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული საagენტო“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით 2008 წელს დაფუძნდა. სააagენტო შეიქმნა ქვეყნის ეროვნულ და მსოფლიო მნიშვნელობის კომპლექსური ძეგლების ბაზაზე და წარმოადგენს მათ ერთობლიობასა და სამართალმემკვიდრეს.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ნინო ქათამაძეზე ფილმი გადაიღეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

სპრესიით გადმოცემული „ინსაითის“ მუსიკა.

– ნინო ქათამაძეზე გადაღებული ფილმი ბათუმის კინოფესტივალმა „ბიაფმა“ და საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ წარმოადგინა. რეჟისორი ჟენია გორინი მუსიკოსიცაა. ეროვნულ ბიბლიოთეკაში მისი ფილმისა და მუსიკალური კლიპების ჩვენება მოეწყო. ჩვენების შემდეგ კი გაიმართა დისკუსია რეჟისორთან, – ნათქვამია ეროვნული ბიბლიოთეკის განცხადებაში.

რეტროსპექტივაზე წარმოდგენილი იყო ფილმი „ვიოცნებოთ ბუნებრიობაზე“. რუსეთ-გერმანიის მიერ წარმოებული ფილმის სინოფსისი ასეთია: 2011 წლის ოქტომბერი. ბერლინის ერთ-ერთ რაიონში, კროიცბერგში მდებარე სტუდიაში „თრიქს“ მთავრდება ნინო ქათამაძისა და ჯგუფის „ინსაითი“ ახალი ალბომის „გრიინ“ (მწვანე) ჩაწერა. პარალელურად, მდინარის მეორე მხარეს, ფრიდრიხჩაინის რაიონში ბერლინური ანდერგრაუნდის მექაში ოთხი ქვეყნიდან ჩამოსული თანამედროვე ბალეტის დასი პროექტზე „ვიოცნებოთ ბუნებრიობაზე“ მუშაობს. ეს არის ნინო ქათამაძისა და ჯგუფ „ინსაითის“ ახლად დაბადებულ მუსიკაზე შექმნილი, თავისუფალი, სრულიად იმპროვიზირებული ცეკვა.

– არავითარი ისტორია, არავითარი პოლიტიკა, არავითარი იდეოლოგია, არავითარი საინფორმაციო ფაშიზმი, არავითარი ხალხი და მათი შეხედულებანი. ფილმი მუსიკისა და ადამიანის სხეულის შერწყმაზეა, კამერა მხოლოდ ამ ინტიმურ პროცესს აკვირდება, – ამბობს რეჟისორი ჟენია გორინი ფილმთან დაკავშირებით.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში ასევე ნაჩვენები იყო ჟენია გორინის სამი მუსიკალური კლიპი, რომლებიც ვიეტნამში მოგზაურობისას არის გადაღებული. ასევე წარმოდგენილ იქნა ნაწყვეტები ჟენია გორინის ახალი ფილმიდან „გიტარის მასწავლებლის სიზმრები“, რომელიც პოსტპროდაქშენის სტადიაშია. ფილმი „გიტარის საერთაშორისო ფესტივალის“ ერთგვარ მხატვრულ-დოკუმენტურ ესეს წარმოადგენს. ფილმის ნაწილის გადაღებები მიმდინარეობდა გასული წლის ზაფხულში – ბათუმში, პრომეთეს მღვიმეში და მტირალას პარკში აჭარის რეგიონში. გადაღებებში მონაწილეობდა „ინსაითის“ გიტარისტი გოჩა ყაჭეიშვილი.

ნინო ქათამაძე აქტიურ მუსიკალურ შემოქმედებას საქართველოს ფარგლებს გარეთ ეწევა. ის საქართველოშიც მართავს კონცერტებს, თუმცა არა ისეთი სიხშირით, როგორც რუსეთსა და ევროპაში. თავისი კარიერის განმავლობაში ქართველმა მომღერალმა გამოსცა ალბომები „თეთრი“, „შავი“, „ლურჯი“, „წითელი“ და „მწვანე“. როგორც მომღერალი აღნიშნავს, მისი ალბომები მისი მუსიკალური კარიერის გამოძახილია. ის ხშირად მონაწილეობს საქველმოქმედო ღონისძიებებში საქართველოში, ბოლოს კი პროექტის „საქართველოს ვარსკვლავი“ ჟიურიში აღმოჩნდა.

ამჟამად ნინო ქათამაძეს შემოქმედებითი პაუზა აქვს აღებული. მისი საგასტროლო ტურნე 28 მარტს განახლდება, როცა სანკტ-პეტერბურგის მიუზიკ ჰოლში მისი კონცერტი გაიმართება. საგასტროლო ტურნე გაგრძელდება 30 მარტს მოსკოვში, კროკუს სითი ჰოლში, ნინო ქათამაძე მსმენელის წინაშე კარგად ცნობილი და ასევე ახალი მუსიკალური კომპოზიციებით წარდგება. 4 აპრილს ნინო ქათამაძე კრასნოდარელი მსმენელისთვის იმღერებს, ხოლო 7 აპრილს თავის ერთგულ მსმენელს უკვე უკრაინის დედაქალაქ კიევში შეკრებს.

განცხადებები

● ქირავდება ვაკის პარკთან მე-3(5) სართულზე,3-ოთახიანი გარემონტებული ბინა, მოწესრიგებული სადარბაზო, საკაბელო, ინტერნეტი, 2 ტელეფონი, 2 კარმა, იტალიური სანტექნიკით, სარეცხი მანქანით, ბოშის დიდი მაცივრით გადიდებულ სამზარეულოში, კონდენციონერით, 2 აივნით, ლოჯიით, 115 კვ.მ. თამარაშვილის 5, გამოდგება საოფისედაც. ფასი 680 დოლარი, ტელ: 577-402-407.

● ძლიერ დაქვეითებული სმენის, ოტიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, საკვერცხეების ანთების, მასტიტის, წითელი ქარის, შეუხორცებელი ჭრილობების, მოტეხილობის და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, ასაკის მიუხედავად, არასკეპტიკოსებისთვის. მიღება შეზღუდულია წინასწარი ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-978-546; 551-254-535.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის განმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის განმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

გიორგი პაპიაშვილი: „შევეცდებით, რაც შეიძლება მაღალი ადგილი დავიკავოთ“

შესვენების შემდეგ ქუთაისის „ტორპედომ“ ვარჯიშები განაახლა და მზადების აქტიურ ფაზაში შევიდა.

გულშემატკივართათვის, ალბათ, საინტერესოა, თუ როგორი სამომავლო გეგმები აქვს ქუთაისურ გუნდს.

აღნიშნულთან დაკავშირებით ქუთაისური კლუბის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი პაპიაშვილი საუბრობს.

გიორგი პაპიაშვილი:

– მოგეხსენებათ, „ტორპედომ“ ჩემპიონატის ახალი ეტაპის, ეროვნული თასისა და ესპანეთში გასამართ მარბელას ტურნირისთვის მზადება უკვე დაიწყო, გუნდი სრული დატვირთვით შეუდგა ქუთაისში ვარჯიშებს. აქ ფეხბურთელები 2 კვირის განმავლობაში ორჯერად ვარჯიშებს გამართავენ. უკვე ცნობილია, როგორც დავით ყიფიანის სახელობის თასის მერვედფინალური ეტაპის მეტოქე, ჩვენთვის საკმაოდ ნაცნობი „გაგრა“, ასევე კალენდარიც. ამრიგად, ჩვენ სრულ მზადყოფნაში შევხვდებით თითოეულ მატჩს. პირველ ეტაპზე ჩვენი მიზანი ექვსეულში მოხვედრა იყო, რაც საშუალებას მოგვცემდა უფრო მაღალი მიზნებისთვის გვებრძოლა. შესაბამისად, ამჟამად გუნდი მზად არის, რომ ცხრილში რაც შეიძლება მაღალი ადგილი დაიკავოს. თუ რომელი ადგილი იქნება ეს, ამას ჩვენი მომზადების დონე დაგვანახებს, როდესაც ესპანეთიდან ჩამოვა გუნდი. ესპანეთში გუნდი განთავსდება ქალაქ ესტეპონაში მდებარე სასტუმრო „ესტეპონა პალასში“, რომელიც აკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნას, რაც კლუბის მიერ იქნა წამოყენებული: საუნები, აუზები, სატრენაჟორო დარბაზი, სამასაჟო ოთახები, საკონფერენციო დარბაზი და ა.შ. წელს, მარბელას თასზე საკმაოდ ძლიერმა გუნდებმა მოიყარეს თავი. დავძენ, რომ კენჭისყრა ტურნირის დაწყებამდე 2 კვირით ადრე იქნება და სავარაუდოდ, მომავალ კვირაში უკვე გვეცოდინება ჩვენი მეტოქეები. აღსანიშნავია, რომ ძალიან ბევრ გუნდს სურს იქ მოხვედრა, თუმცა უმეტესობა ვერ ხვდება. სასიხარულოა, რომ მასპინძელი მხარე საკმაოდ კეთილგანწყობითაა ჩვენ მიმართ, ეს ყველაფერი არის მათთან თანამშრომლობით მიღწეული და ამ დამოკიდებულების საშუალებით მოხდება, რომ ჩვენ ასეთი დონის ტურნირში მივიღებთ მონაწილეობას. სამწუხაროდ, გუნდს ესპანეთში მისი ტრავმიდან გამომდინარე ვერ გაჰყვება ლაშა შერგელაშვილი. გუნდთან ერთად აუცილებლად იქნება გიორგი დათუნაიშვილი, თუმცა ამ ეტაპზე მისი კონდიციები მთლიან დატვირთვაზე არ არის გათვალისწინებული. როგორც ადრე აღვიშნეთ, გულშემატკივრებს მარბელას თასზე გამართული ყველა თამაშის პირდაპირ ეთერში ნახვის საშუალება ექნებათ, რადგან მასპინძელ მხარეს რუმინულ კომპანიასთან აქვს გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც 6 კამერით უზრუნველყოფს მატჩების ჩვენებას. ამის გარდა, ჩვენ გვაქვს სხვა ალტერნატივაც, „ტორპედოს“ ვებგვერდზე შეხვედრების გასაშუქებლად ჩვენი ტექნიკური ჯგუფიც მომზადებული იქნება. რაც შეეხება კლუბის მიზნებს, რომლებიც არის არა მარტო სპორტული, არამედ მისი განვითარების კუთხითაც. ყველაფრის ფონზე, ჩვენ არ ვივიწყებთ საგარეო პოლიტიკას, ის პრეცედენტი, რაც შარშან მოხდა „ტრაბზონსპორთან“ დაკავშირებით, იგივეს გაორმაგებასა და გასამაგებაზე ვმუშაობთ. გვაქვს მოლაპარაკებები საზღვარგარეთის სხვადასხვა კლუბებთან და მოხდება არა მარტო ჩვენი გამგზავრება, არამედ მათი ქუთაისში ჩამოსვლაც. საკმაოდ აქტიურად გვაქვს მოლაპარაკებები ქუთაისში, ბევრი სფეროს წარმომადგენლებთან და მთლიანად ქუთაისის საზოგადოებასთან, რათა ის ხარვეზები აღმოიფხვრას, რომლებმაც სტადიონზე გულშემატკივართა რაოდენობის სიმცირე განაპირობა და გაჩნდეს ჯანსაღი აზრი. ქუთაისის „ტორპედო“ არის ის გუნდი, რომელსაც შეუძლია თავისი შესაძლებლობებით, სწორი მენეჯმენტითა და სწორი ნაბიჯებით ღირსეული ადგილი დაიკავოს და ღირსეული გუნდის სახელი ჰქონდეს. რაც შეეხება ახალწვეულს, იცით, რომ ჩვენთან ბიძინა ცინცაძემ გააფორმა ხელშეკრულება. ჩვენ არ გამოვრიცხავთ კიდევ სხვა ფეხბურთელების დამატებასაც, რომელიც შეიძლება რამდენიმე დღეშიც გაირკვეს. ყოველ შემთხვევაში სატრანსფერო ფანჯარა ღიაა და ამ კუთხითაც ვმუშაობთ. მინდა გულშემატკივრებმა იცოდნენ, რომ თუ რომელიმე კომპონენტში კლუბი დაინახავს სისუსტეს, აუცილებლად მოხდება მისი გაძლიერება. პარალელურად, კლუბი იწყებს უეფას სტანდარტების დასაკმაყოფილებლად ზრუნვას, ანუ ის ხარვეზები, რაც იყო წინა შესარჩევ ეტაპზე აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. ჩვენ მარტში ველოდებით უეფას წარმომადგენლებს, რომლებიც შეამოწმებენ სტადიონს. ჩვენი დიდი სურვილია და მიზანი, რომ ქუთაისის ცენტრალურმა სტადიონმა რაც შეიძლება მაღალი კატეგორია მიიღოს, რათა უფრო მეტი თამაში გამართოს ჩვენს ქალაქში. ვიმედოვნებ, რომ ეს წელი ყველაზე წარმატებული იქნება, რაც ქუთაისის „ტორპედო“ 3 წლით „ვისოლის“ ხელში ასპარეზობს. ჩვენ გვყავს ფეხბურთელები, სამწვრთნელო შტაბი, გვაქვს ინფრასტრუქტურა და პოტენციალი, რითაც მაღალი მიზნების მიღწევა შეგვიძლია.

მილტონ ჰეიგმა შემადგენლობა დაასახელა

საქართველოს ნაკრები ერთა თასის წლევანდელ გათამაშებაში, რომელიც იმავდროულად 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების შესარჩევი ტურნირიცაა, 2 თებერვლიდან ჩაერთვება.

ევროპის რაგბის ასოციაციამ ერთა თასის ორივე დივიზიონის პირველი წლის კალენდარი გამოაქვეყნა. ჩვენთვის საინტერესო ა დივიზიონში „ბორჯღალოსნებთან“ ერთად ესპანეთის, პორტუგალიის, ბელგიის, რუმინეთისა და რუსეთის ეროვნული ნაკრებები გამოვლენ. გათამაშების პირველი ეტაპი 2013 წლის 2 თებერვალს აიღებს სტარტს და 16 მარტს დასრულდება, ხოლო მეორე ეტაპი გაისად – 2014 წელს გაიმართება.

ქართველები, ისევე როგორც ყოველი მათი მოწინააღმდეგე, პირველ ეტაპზე 5 მატჩს გამართავენ და წარმატების შემთხვევაში 2012-13 წლების ჩემპიონობას მოიპოვებენ. 10 ტურის შემდგომ გათამაშების პირველი და მეორე ადგილის მფლობელები პირდაპირ მოიპოვებენ 2015 წლის მსოფლიო თასის საგზურს, ხოლო მესამე ადგილოსანი ფლეიოფში მოხვდება.

პირველ მატჩში „ბორჯღალოსნები“ სტუმრად, ბრიუსელში შეჯიბრების დებიუტანტს, ბელგიის ნაკრებს დაუპირისპირდებიან. ერთი კვირის თავზე კი თბილისში ჩვენი გუნდი პორტუგალიის ეროვნულ ნაკრებს უმასპინძლებს.

საქართველოს ნაკრების ახალზელანდიელმა მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა ის 29 მორაგბე დაასახელა, რომლებიც 27 იანვრიდან საფრანგეთის საკურორტო ქალაქ კანში საწვრთნელ შეკრებაზე ჩავლენ. სავარაუდოდ, სწორედ ამ კონტინგენტით აპირებს ჰეიგი საწყის ორ მატჩში ასპარეზობას.

ნაკრების შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია. გამოძახებულთა შორის არ არის გუნდის კაპიტანი ირაკლი აბუსერიძე. ცხრა ნომრის პოზიციაზე ჰეიგმა გიორგი ბეგაძესთან (ბათუმი) ერთად ახალგაზრდული ნაკრების წევრს, ვაჟა ხუციშვილს (ხარები) უხმო. ამასთან ერთად, ჯერჯერობით უცნობია, ვინ იქნება გუნდის კაპიტანი. მისი ვინაობა სავარაუდოდ ფრანგული შეკრების დროს გაირკვევა. თუმცა, ჰეიგის დროს აბუსერიძის არყოფნაში გუნდს ერთხელ უკვე უკაპიტნა დავით კაჭარავამ.

პირველ ხაზში ნოემბრის ტესტებთან შედარებით ერთი ცვლილებაა. შერკინების კვაჭის ირაკლი ნატრიაშვილის (ბრივი) ნაცვლად ლელოელი რეზო ბელქანია გამოიძახეს. ასევე, ტრავმა მოიშუშა და ეროვნულ ნაკრებს დაუბრუნდება შერკინების ბურჯი ვასილ კაკოვინი (ტულუზი).

მეორე ხაზში ლევან დათუნაშვილი არ არის გამოძახებული. სიაში ვერ მოხვდა გიორგი ნემსაძეც. ამ რგოლში ჰეიგმა ახალგაზრდები კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი) და ლაშა ლომიძე (მონპელიე) იხმო.

მესამე ხაზში ტრავმის მოშუშების შემდეგ დაბრუნდა დიმიტრი ბასილაია (ედინბურგი). მწყობრში არიან მამუკა გორგოძე (მონპელიე), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი) და შალვა სუთიაშვილი (მასი). ჰეიგმა ერთი ახალგაზრდა ამ რგოლშიც გაურია, ეს არმიელი ბექა ბიწაძეა.

უკანა ხაზში კვლავ არ არის გამოძახებულთა სიაში ლაშა მალაღურაძე (ბაგნერე). იმ შემადგენლობას კი, რომელმაც ნოემბრის ტესტებზე ითამაშა ჰეიგმა შუამარბი თამაზ მჭედლიძე (მონ დე მარსანი), გარემარბი გიორგი ფრუიძე (აია) და ფულბეკი ბექა წიკლაური (ლოკომოტივი) დაამატა.

საქართველოს ნაკრები

პირველი ხაზი: დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი), დავით ხინჩაგიშვილი (ბრივი), ვასილ კაკოვინი (ტულუზი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), რეზო ბელქანია (ლელო), შალვა მამუკაშვილი (არმია);

მეორე ხაზი: გიორგი ჩხაიძე (ტარბი), ვახტანგ მაისურაძე (ალბი), კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი), ლაშა ლომიძე (მონპელიე);

მესამე ხაზი: მამუკა გორგოძე (მონპელიე), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი), დიმიტრი ბასილაია (ედინბურგი), შალვა სუთიაშვილი (მასი), ბექა ბიწაძე (არმია);

9-10: გიორგი ბეგაძე (ბათუმი), ვაჟა ხუციშვილი (ხარები), მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი), ლაშა ხმალაძე (ლელო);

11-14: მერაბ შარიქაძე (ჰართპური), დავით კაჭარავა (როდეზი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), ალექსანდრე თოდუა (ალბი), თამაზ მჭედლიძე (მონ დე მარსანი), გიორგი ფრუიძე (აია);

15: ბექა წიკლაური (ლოკომოტივი), ირაკლი ყიასაშვილი (ლელო).

კალენდარი

1 ტური – 2 თებერვალი: ბელგია-საქართველო; პორტუგალია-რუმინეთი; რუსეთი-ესპანეთი;

მე-2 ტური – 9 თებერვალი: საქართველო-პორტუგალია; რუმინეთი-რუსეთი; ბელგია-ესპანეთი;

მე-3 ტური – 23 თებერვალი: რუსეთი-საქართველო; ესპანეთი-რუმინეთი; პორტუგალია-ბელგია;

მე-4 ტური – 9 მარტი: საქართველო-ესპანეთი; პორტუგალია-რუსეთი; ბელგია-რუმინეთი;

მე-5 ტური – 16 მარტი: რუმინეთი-საქართველო; ესპანეთი-პოტუგალია; რუსეთი-ბელგია.

წყალბურთელებს ისელიძე გაწვრთნის

საქართველოს საწყლოსნო სახეობების ფედერაციის ხელმძღვანელობამ 18 იანვარს საცურაო აუზ „ოლიმპიკში“ ახალი სეზონის დაწყების წინ პრესკონფერენცია გამართა. პრესკონფერენციაზე ფედერაციის პრეზიდენტმა – დავით რურუამ წყალბურთელთა ეროვნული ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი – ვლადიმერ ისელიძე წარადგინა.

ჟურნალისტებთან შეხვედრას ესწრებოდნენ სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი დოლაბერიძე, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ბითაძე და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ირაკლი კიკალიშვილი.

ნაკრების მთავარი მწვრთნელის წარდგენის შემდეგ მედიასთან საუბარი იყო თბილისში გასამართი ეროვნული და 19-წლამდელთა ნაკრებების ევროპის ჩემპიონატების საკვალიფიკაციო ეტაპებზე. ეროვნული ნაკრები ევროპის 2014 წლის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე 4-7 აპრილს თბილისში დიდი ბრიტანეთის, სლოვაკეთის, პოლონეთისა და ჩეხეთის ნაკრებების წინააღმდეგ ითამაშებს.

19-წლამდელთა ნაკრები კი 9-12 მაისს ასევე თბილისში ჩასატარებელ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე იბრძოლებს გერმანიის, ჰოლანდიის, მოლდოვასა და სლვაკეთის ასაკობრივ გუნდებთან ერთად.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

შედეგები

ფეხბურთი

ევროპის ერთა თასი

ს.აფრიკა-კაპო ვერდე 0:0
ანგოლა-მაროკო 0:0

ცენტრალური ევროპის თასი

გვატემალა-ნიკარაგუა 1:1
ჰონდურასი-სალვადორი 1:1
კოსტა რიკა-ბელიზი 1:0

ინგლისი. პრემიერლიგა

ვესტ ჰემი-ქარ 1:1
ლივერპული-ნორვიჩი 5:0
სიტი-ფულემი 2:0
ნიუკასლი-რედინგი 1:2
სუონსი-სტოკი 3:1
უიგანი-სანდერლენდი 2:3
ვესტ ბრომვიჩი-ასტონ ვილა 2:2

სატურნირო ცხრილი:

1.მანჩესტერი	22	18	1	3	56:29	55
2.სიტი	23	15	6	2	45:19	51
3.ჩელსი	22	12	6	4	45:21	42
4.ტოტენჰემი	22	12	4	6	39:27	40
5.ევერტონი	22	9	10	3	35:26	37
6.არსენალი	21	9	7	5	40:24	34
7.ლივერპული	23	9	7	7	40:28	34
8.ვესტ ბრომვიჩი	23	10	4	9	33:32	34
9.სუონსი	23	8	9	6	34:27	33
10.სტოკი	23	6	11	6	22:27	29
11.სანდერლენდი	23	7	7	9	27:31	28
12.ვესტ ჰემი	22	7	6	9	25:28	27
13.ნორვიჩი	23	6	8	9	24:39	26
14.ფულემი	23	6	7	10	33:40	25
15.საუთჰემპტონი	22	5	7	10	30:40	22
16.ნიუკასლი	23	5	6	12	28:41	21
17.ასტონ ვილა	23	4	8	11	19:44	20
18.რედინგი	23	4	7	12	28:43	19
19.უიგანი	23	5	4	14	25:43	19
20.ქარ	23	2	9	12	18:37	15

ინგლისი. ჩემპიონიგა

ლესტერი-მიდლსბრო 1:0
დერბი-ნოტინგემი 1:1
ბირმინგემი-ბრაიტონი 2:2
ბლექბერნი-ჩარლტონი 1:2
იფსვიჩი-ბარნსლი 1:1
კრ.პალასი-ბოლტონი 0:0
ლიდსი-ბრისტოლი 1:0
მილუოლი-ბარნლი 0:2
პიტერბრო-ჰალი 1:1
უოტფორდი-ჰადერსფილდი 4:0
უენსდი-ვულვზი 0:0
ბლექპული-კარდიფი 1:2

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ესპანიოლი-მალიორკა 3:2
გრანადა-რაიო 2:0
სოსიედადი-ბარსელონა 3:2
ხეტაფე-სევილია 1:1
მალაგა-სელტა 1:1

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	20	18	1	1	66:23	55
2.ატლეტიკო	19	14	2	3	40:18	44
3.რეალი	19	11	4	4	45:20	37
4.ბეტისი	19	11	1	7	30:29	34
5.მალაგა	20	9	5	6	30:17	32
6.რაიო	20	10	1	9	27:36	31
7.ვალენსია	19	9	3	7	27:27	30
8.ლევანტე	19	9	3	7	24:27	30
9.სოსიედადი	20	8	5	7	31:27	29
10.ხეტაფე	20	7	5	8	27:29	26
11.ვალიადოლიდი	19	7	4	8	27:25	25
12.სევილია	20	6	5	9	24:29	23
13.სარაგოსა	19	7	1	11	20:28	22
14.ბილბაო	19	6	3	10	23:38	21
15.ესპანიოლი	20	5	6	9	23:32	21
16.გრანადა	20	5	5	10	18:29	20
17.სელტა	20	5	4	11	20:25	19
18.მალიორკა	20	4	5	11	20:36	17
19.დეპორტივო	19	3	7	9	23:40	16
20.ოსასუნა	19	3	6	10	14:20	15

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

გვადალახარა-ალკორკონი 3:0
ლას პალმასი-რასინგი 1:0
საბადელი-ხირონა 4:1
რეალი ბ-ვილიარეალი 5:0

იტალია. სერია ა

პალერმო-ლაციო 2:2
იუვენტუსი-უდინეზე 4:0

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	21	15	3	3	45:14	48
2.ლაციო	21	13	4	4	32:21	43
3.ნაპოლი	20	13	3	4	40:18	42
4.ინტერი	20	12	2	6	32:22	38
5.ფიორენტინა	20	10	5	5	37:24	35
6.რომა	20	10	2	8	43:34	32
7.მილანი	20	9	4	7	36:27	31
8.პარმა	20	8	6	6	28:26	30
9.უდინეზე	21	7	9	5	32:31	30
10.კატანია	20	8	5	7	27:27	29
11.კიევო	20	7	3	10	21:33	24
12.ტორინო	20	5	9	6	23:24	23
13.ატალანტა	20	7	3	10	18:30	22
14.ბოლონია	20	6	3	11	25:26	21
15.სამპდორია	20	6	4	10	22:28	21
16.პესკარა	20	6	2	12	17:37	20
17.კალიარი	20	6	4	10	19:36	19
18.ჯენოა	20	4	5	11	21:32	17
19.პალერმო	21	3	7	11	18:34	15
20.სიენა	20	4	5	11	19:31	11

შენიშვნა:

სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა
ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა
ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა
სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა

გერმანია. ბუნდესლიგა

ბაიერნი-ფიურტი 2:0
ლევერკუზენი-აინტრახტი 3:1
ვოლფსბურგი-შტუტგარტი 2:0
მაინცი-ფრაიბურგი 0:0
ჰოფენჰაიმი-გლადბახი 0:0
ვერდერი-დორტმუნდი 0:5

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	18	14	3	1	46:7	45
2.ლევერკუზენი	18	11	3	4	36:23	36
3.დორტმუნდი	18	9	6	3	40:20	33
4.აინტრახტი	18	9	3	6	34:30	30
5.ფრაიბურგი	18	7	6	5	24:18	27
6.მაინცი	18	8	3	7	24:21	27
7.გლადბახი	18	6	8	4	25:26	26
8.შალკე	17	7	4	6	27:25	25
9.შტუტგარტი	18	7	4	7	21:30	25
10.ჰამბურგი	17	7	3	7	18:21	24
11.ჰანოვერი	17	7	2	8	32:31	23
12.ვერდერი	18	6	4	8	28:34	22
13.ვოლფსბურგი	18	6	4	8	19:27	22
14.ფორტუნა	17	5	6	6	20:22	21
15.ნიურნბერგი	17	5	5	7	17:22	20
16.ჰოფენჰაიმი	18	3	4	11	23:41	13
17.აუგსბურგი	17	1	6	10	12:29	9
18.ფიურტი	18	1	6	11	11:30	9

საფრანგეთი. 1 ლიგა

სოშო-რეიმსი 1:0
მარსელი-მონპელიე 3:2
აიაჩო-ვალანსიენი 1:1
ბრესტი-სენტ ეტიენი 0:1
ლორიანი-ტრუა 3:2
ტულუზა-ნანსი 2:1

სატურნირო ცხრილი:

1.ლიონი	21	12	6	3	35:18	42
2.მარსელი	21	13	2	6	28:25	41
3.პსჟ	20	11	6	3	36:12	39
4.ლორიანი	21	9	7	5	35:33	34
5.ბორდო	20	7	11	2	23:14	32
6.ნიცა	20	8	8	4	31:26	32
7.რენი	20	10	2	8	29:26	32
8.სენტ ეტიენი	21	8	7	6	27:16	31
9.ტულუზა	21	8	6	7	29:23	30
10.ლილი	20	7	9	4	25:20	30
11.ვალანსიენი	21	8	6	7	32:30	30
12.მონპელიე	21	8	5	8	33:27	29
13.ბასტია	20	7	4	9	28:42	25
14.ბრესტი	21	7	3	11	22:29	24
15.სოშო	21	6	4	11	21:30	22
16.აიაჩო	21	5	8	8	22:30	21
17.ევიანი	21	5	5	11	22:34	20
18.რეიმსი	21	4	7	10	17:23	19
19.ტრუა	21	2	7	12	23:42	13
20.ნანსი	21	1	9	11	18:37	12

შენიშვნა:

აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ლავალი-ნანტი 0:0

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

ჰერენვენი-ჰერაკლესი 0:1
ბრედა-ვენლო 1:0
ტვენტე-ვალვაიკი 0:0
ალკმაარი-ვიტესი 4:1

პორტუგალია. ა ლიგა

სპორტინგი-ბეირა მარი 1:0
პორტუ-ფერეირა 2:0

შოტლანდია. პრემიერლიგა

სტ.მირენი-როსი 1:4
ინვერნესი-აბერდინი 3:0
კილმანროკი-იუნაიტედი 2:3
სელტიკი-ჰართსი 4:1
პიბერნიანი-დანდი 1:1

ბელგია. პრიოლიგა

გენტი-სტანდარდი 0:0
ლეუვენი-ლოკერენი 2:6
გენკი-შარლერუა 3:1
კორტრაიკი-ბეერსხოტი 4:0
ლიერსი-ბევერენი 0:0
მონსი-მეხელენი 2:3

საბერძნეთი. სუპერლიგა

ოფი-პანიონიოსი 2:1
პანათინაიკოსი-პანთრათიკოსი 1:1
ასტერასი-პაოკი 1:0

თურქეთი. სუპერლიგა

სივასი-გაზიანთები 0:0
ბეშიქთაში-ისთანბული 2:2
ბურსა-ქაისერი 2:1

კალათბურთი

NBA. რეგულარული სეზონი

ატლანტა-სან ანტონიო 93:98
ზაზა ფაჩულია: 4 ქულა, 9 მოხსნა
შარლოტი-საკრამენტო 93:97
მინესოტა-ჰიუსტონი 92:79
ნიუ ორლეანი-გოლდენ სტეიტი ... 112:116
ჩიკაგო-მემფისი ..... 82:85(ოტ)
იუტა-კლივლენდი 109:98
პორტლენდი-მილუოკი 104:110
კლიპერსი-ვაშინგტონი 94:87

ჩოგბურთი

ავსტრალიის ღია პირველობა

კაცები

ფერერი-ნიშიკორი 6:2;6:1;6:4
ალმაგრო-ტიპსარევიჩი ... 6:2;6:1;6:0

ქალები

კერბერი-მაკაროვა 5:7;4:6
შარაპოვა-ფლიპკენსი 6:1;6:0
ლი-გერგესი 7:6;6:1

ყველაფერი ბოლო ტურში გაირკვევა

დასრულდა საკანდელიძე-ქორქიას მემორიალზე ბოლო ტურის მატჩები დარჩა, რომელმაც ფინალისტები უნდა გაარკვიოს.

ა ჯგუფში „ოლიმპმა“ „დინამო“ ყველა კომპონენტში დაჯაბნა და საბოლოოდ 26 ქულის სხვაობით – ანგარიშით 85:59 იმარჯვა.

მატჩის ბედი მესამე მეოთხედში გადაწყდა, რომელიც სპორტის სამინისტროს გუნდმა 22:11 მოიგო და 21 ქულით დაწინაურდა. „ოლიმპს“ 25 ქულითა და 9 მოხსნით ლევან ფაცაციამ ულიდერა, სერბმა ლეგიონერმა სტეფან მილოშევიჩმა კი 18 ქულას 13 მოხსნაც მოაყოლა. კოკა ტომარაძე ოლიმპელებს 14 ქულით და 7 მოხსნით შეეწია. დამარცხებულებში 13-13 ქულა ჰქონდათ ლამარ კარიმსა და ბექა ჩიკვილაძეს.

თუკი ბოლო ტურში „არმია“ „ოლიმპს“ მოუგებს, სამ გუნდს – „არმიას“, „ოლიმპსა“ და „დინამოს“ ქულების თანაბარი ოდენობა დაუგროვდებათ და ყველაფერს ურთიერთშეხვედრები გადაწყვეტს. „ოლიმპთან“ 26 ქულით დამარცხებით „დინამოს“ პირველზე გასვლის შანსი გადაეწურა. ნახევარფინალის ტოლფასი მატჩია „არმია“-„ოლიმპი“. არმიელებს ხელს მხოლოდ 15 ქულით მოგება აძლევთ, სხვა შემთხვევაში, ფინალს „ოლიმპი“ ითამაშებს.

რაც შეეხება ჯგუფის მეორე შეხვედრას, ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა საკანდელიძე-ქორქიას მემორიალზე პირველი გამარჯვება მოიპოვა. ზურაბ ტომარაძის განვრთნილმა ტექნიკოსებმა სტუდენტურ დერბიში სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდი 89:68 დაამარცხეს. მედიკოსების შემართება პირველ ტაიმს გასწვდა, რომელიც თსსუ-მ 41:39 მოიგო. ირაკლი გაბისონიასა და გიორგი რევაზაშვილის შედეგიანობით მედიკოსები ლიდერობდნენ, თუმცა მესამე მეოთხედში ტექნიკოსებმა ტემპს უმატეს, ტატო ჩაჩიბაიასა და გიორგი პირველაშვილის ზუსტი სროლებით ლიდერობას დაეპატრონნენ და გადამწყვეტი მეოთხედის წინ სტუ 63:51 დაწინაურდა.

მედიკოსები ბოლო მეოთხედში ეცადნენ, მაგრამ არათუ ვითარება ვერ გამოასწორეს, კიდევ უფრო ჩამორჩნენ და საბოლოოდ 21 ქულის სხვაობით დამარცხდნენ. სტუ-ს ბომბარდირი 24 ქულით ჩაჩიბაია გახდა, ხოლო პირველაშვილმა 22 ქულა მოინაგრა. 14 ქულა ჰქონდა ვატო თევზაძეს, 12 – ზურაბ მაჩალაძეს. აღსანიშნავია, რომ ჩაჩიბაიამ 24 ქულასთან ერთად 17 მოხსნაც მიითვალა, რაც მიმდინარე მემორიალის საუკეთესო შედეგია.

ბ ჯგუფში სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა კვლავ ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ „რუსთავთან“ გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა და გამარჯვების მოპოვება ვეღარ მოახერხა.

სტუდენტებმა საწყისი 3 მეოთხედი ტოლსწორად ეომნენ ფავორიტ „შსს-აკადემიას“, მაგრამ კარგად დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეს. დაახლოებით ასეთი რამ შეემთხვათ რუსთაველებთანაც, თუმცა იმ განსხვავებით, რომ გამარჯვებასთან უფრო ახლოს იყვნენ. მატჩის დასრულებამდე 4 წუთით ადრე ანგარიში თანაბარი იყო. გივი ბაქრაძის, დავით ხიზანიშვილისა და ვახტანგ ჩქარეულის შედეგიანობის წყალობით სტუდენტები მოგების რეალურ შანსს ინარჩუნებდნენ, მაგრამ... დარჩენილ დროში ამერიკელებმა – ნეით ბოუიმ, კაილ ნელსონმა და რუსთაველმა გოგა ცეკვავამ თსუ-ს შანსი არ დაუტოვეს.

საბოლოოდ ქვემოქართლელებმა 85:72 იმარჯვეს და ორიდან 2 გამარჯვება გააჩნიათ. რუსთაველებს 21 ქულით ცეკვავამ ულიდერა, 18 ქულა და 11 მოხსნა ჰქონდა კაილი ნელსონს, ხოლო ნეით ბოუიმ თამაში 17 ქულით დაასრულა. დამარცხებულთაგან 21 ქულა ჰქონდა ბაქრაძეს, ხოლო ხიზანიშვილმა 16 მიითვალა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის გუნდმა მემორიალზე მორიგი გამარჯვება მოიპოვა. გიორგოს კეცელიდისის გაწვრთნილმა გუნდმა სოხუმელები მეორე ტაიმში გატეხა და საბოლოოდ 79:64 მოიგო.

მატჩის საწყისი სამი მეოთხედი საინტერესო და დაძაბული გამოდგა. სოხუმელები მეტი მობილიზებითა და სიზუსტით თამაშობდნენ, რაც ანგარიშზეც აისახა. მეორე მეოთხედის ბოლოს ვაჟა კვარაცხელიას გუნდი 41:36 იგებდა, თუმცა დიდი შესვენებიდან დაბრუნებული აკადემიელები უფრო შედეგიანად ათამაშდნენ და მესამე ათწუთეულში 22:14 იმარჯვეს – შესაბამისად, ბოლო პერიოდის წინ დაწინაურდნენ – 58:55.

დარჩენილ დროში სოხუმელების მცდელობა, თამაში გადაერჩინათ, ამაო აღმოჩნდა. „შსს-აკადემიის“ კალათბურთელები გააზრებულად და რაც მთავარია, შედეგიანად თამაშობდნენ და მეტოქეს წარმატების შანსი აღარ მისცეს.

გამარჯვებულთა შორის ორმაგი დუბლით (19 ქულა, 13 მოხსნა) კირკ არჩიბეკი გამოირჩა, 16 ქულა, 9 მოხსნა და 8 პასი ჰქონდა დენოთა ვონს, ხოლო ილია ლონდარიძემ 16 ქულა მიითვალა. სოხუმელთაგან საუკეთესო შედეგი ვახტანგ ქადარიას ჰქონდა – 22 ქულა, 14 მოხსნა, ხოლო ირაკლი ჩლაიძის ანგარიშზე 16 ქულა დაგროვდა.

ამ ჯგუფში ფინალისტის ვინაობას შსს-რუსთავის მატჩი გაარკვევს.

აქვე გეტყვით, რომ 16 ივნარს ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალის მატჩზე (არმია – სტუ) მომხდარი ინციდენტის შესახებ დღეს სადისციპლინო-ტექნიკურმა კომისიამ იმსჯელა და გადაწყვეტილებაც მიიღო.

ინციდენტში მონაწილეებს ვაჟა ჯანაშიასა და გიგა კვეტენაძეს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია და 200-200 ლარის ჯარიმა დაეკისრათ.

სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია საქართველოს თასის გათამაშებაზეც გავრცელდება.

მ. ჯ

ალექსანდრე იაშვილი: „ფეხბურთს 2013 წელს თავს არ დავანებებ“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მთლიანად იმაზე ვარ კონცენტრირებული, რომ გუნდმა სეზონი ღირსეულად ჩაამთავროს. ამის შემდეგ კი კლუბის ხელმძღვანელობას შევხვდები და ჩემს მომავალს განვიხილავთ. ხუთი წლის წინ ცოტა სხვანაირად ვფიქრობდი, ახლა კი მიმაჩნია, რომ კრიტიკულ ასაკში არ ვარ. ფეხბურთის თამაში ძველებურად დიდ სიამოვნებას მანიჭებს, ეს კი იმის დამსახურებაა, რომ „ბოხუმში“ იდეალური გარემოა შექმნილი. მოდით, ჩემს მომავალზე აპრილში ან მაისში ვისაუბროთ.

– ესე იგი, არც 35 წლის ასაკში ხარ დარწმუნებული, რომ აქტიურ საფეხბურთო კარიერას მალე დაასრულებ?

– დიახ, არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს 2013 წელს მოხდება. ფეხბურთი ძალიან მიყვარს და შემრჩა იმდენი მოტივაცია, რომ ყველა ვარჯიშსა თუ თამაშზე მაქსიმალურად დავიხარჯო. თანაც, ტრავმა არ მაწუხებს და ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავს. ერთხელ „ფრაიბურგში“ და ერთხელაც „კარლსრუეში“ მძიმედ დავშავდი და მაშინ გაცდენილი დრო ახლაც მწარედ მახსოვს. ასე რომ, კარგად ვიცი, რა გემო აქვს ფეხბურთის თამაშს.

– ბოლო სამი მატჩი შეცვლაზე ჩაატარე. ამას როგორ უყურებ?

– ყველაფერი მწვრთნელის გადასაწყვეტია და მე მის გადაწყვეტილებას პატივს ვცემ. თუმცა არ დაგიმალავთ, რომ სათადარიგოთა სკამზე ჯდომა ძალიან მიჭირს, რადგან ამას კარიერის განმავლობაში არასდროს ვყოფილვარ ჩვეული. როცა ფორმაში ვიყავი, ყოველთვის ძირითად შემადგენლობაში ვთამაშობდი და ჩემთვის თადარიგში ყოფნა სრულიად ახალი და უჩვეულო როლია. თუმცა პოზიტივი ყველაფერში შეიძლება დაინახო და ვიტყვი, რომ ეს ჩემთვის დამატებითი მოტივაციაა. როგორც თავმოყვარე ფეხბურთელმა, ვალდებული ვარ, ყველას დავუმტკიცო, რომ სასტარტოში თამაშის ღირსი ვარ. თუმცა როგორც კი შევატყობ, რომ ახალგაზრდებს კონკურენციას ვეღარ ვუწევ, ბრძოლას შევწყვეტ და სახლში წავალ.

მ. ჯ

კულტურა

ფოლკლორის ცენტრმა მემორანდუმი გააფორმა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რი ცენტრი – 1980-2004 წლებში, საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი კი 2005 წლიდან არსებობს – ასეთია ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თითქმის ოთხმოცწლიანი მოკლე ისტორია და სახელწოდება. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს 1936 წლის 9 ნოემბრის №209 ბრძანებით ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან შეიქმნა ხალხური შემოქმედების კაბინეტი, ხოლო საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 21 მაისის №290 დადგენილებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სისტემაში დაარსდა ხალხური შემოქმედების სახლი, რომელსაც მდიდარი ისტორია აქვს: მის სათავეებთან იდგნენ და მასთან თანამშრომლობდნენ ვახტანგ კოტეტიშვილი, მიხეილ ჩიქოვანი, ქსენია სიხარულიძე, დიმიტრი არაყიშვილი, შალვა მშველიძე, თამარ მამალაძე, სერგი მაკალათია, ივანე ჯავახიშვილი, დავით ჯავრიშვილი, ლილი გვარამაძე, ავთანდილ თათარაძე, მიხეილ შუბაშიკელი, გრიგოლ ჩივაძე, ვალერიან ცაგარეიშვილი, გრიგოლ ჩხიკვაძე, ვლადიმერ ახობაძე, გრიგოლ კოკელაძე, ოთარ ჩიჯავაძე, კახი როსებაშვილი. სწორედ მათი ძალისხმევით შეიქმნა ხალხური შემოქმედების სახლის მდიდარი და უნიკალური არქივი – ხალხური სიმღერების, ცეკვების, საგალობლების ჩანაწერები, ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, სამეცნიერო ნაშრომები. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ მიხეილ მგალობლიშვილი, გრიგოლ კოკელაძე, ვალერიან ცაგარეიშვილი, მიხეილ ჩირინაშვილი, რევაზ კერესელიძე, ცისანა ქოჩეჩაშვილი.

2004 წლიდან დღემდე ცენტრის დირექტორი ლოტბარი და მომღერალი გიორგი უშიკიშვილია. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ფუნქცია, მიზნები, ამოცანები და მუდმივი პრიორიტეტები ფოლკლორულ ანსამბლებთან, ინდივიდუალურ შემსრულებლებთან, ხალხური საკრავებისა და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატებთან,

თვითნასწავლ მხატვრებსა და სახალხო მთქმელებთან რეგულარული კავშირი – რეკომენდაციები, პირადი და წერილობითი კონსულტაციებია. ასევე გამოჩენილი მომღერლების, ლოტბარების, მოცეკვავეების, ქორეოგრაფ-ქორეოლოგების, სახალხო მთქმელების, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა შემოქმედებითი ბიოგრაფიების, დოკუმენტური და ფოტომასალების მოძიება– სისტემატიზაცია, მონაცემთა ბაზაში შეტანა, ცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება, ექსპედიციების მოწყობა, მოპოვებული ნიმუშების დამუშავება, კვლევა, პოპულარიზაცია, ვებ-გვერდზე განთავსება და გამოცემაა. ასევე ფოლკლორის ეროვნული დათვალიერება-ფესტივალის რეგულარულად ჩატარება. თბილისში, საქართველოს დიდ ქალაქებში, ადგილებზე – რაიონებში, დაბებში ხალხური სიმღერის, ცეკვის, ხალხური რეწვის ტრენინგების – საჩვენებელი სწავლების მოწყობა, უნიკალური ჩანაწერების აღდგენა-გამოცემა; ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საარქივო მასალების გამოცემა-თა გაგრძელება – ბეჭდვითი და ელექტრონული ვერსიების სახით, მოყვარულთა და თოჯინების სახალხო თეატრების ფესტივალების მოწყობა, სახალხო და რელიგიური – საკულტო დღესასწაულების ვიდეო-ფოტო დაფიქსირება. ქართული ხალხური რეწვის პოპულარიზაციის მიზნით, ხალხური რეწვის ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვის პრაქტიკაში დანერგვა, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, თვითნასწავლი მხატვრებისა და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა გამოფენების მოწყობა, რადიო არხის – „ფოლკრადიოს“ – დაარსება და მისი მეშვეობით ქართული ფოლკლორის ყველა დარგის, ქართული და მსოფლიოს ხალხთა ხალხური მუსიკის პოპულარიზაცია. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ვიდეოსტუდიის მიერ ფოლკლორის სხვადასხვა დარგის მოღვაწეთა შესახებ დოკუმენტური ფილმების გადაღება, ინტერნეტტელევიზიის – ფოლკთივის – ამოქმედება, კულტურის სამსახურების, ფოლკლორის დარგების ადმინისტრაციული და შემოქმედებითი მუშაკებისათვის რეგულარული კონსულტაციების გაწევა, თეორიული და პრაქტიკული დახმარება, ქართული ფოლკლორის გამოჩენილ მოღვაწეთა შემოქმედებითი საღამოების ჩატარება, ფოლკლორის ყოველწლიური ეროვნული პრემიის დაარსება და ღაურეატთა საზეიმო დაჯილდოებაა. ამჯერად ფოლკლორის ცენტრმა გააფორმა მემორანდუმი ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირთან, რომელიც თანამშრომლობას და გაცვლითი პროექტების ჩატარებას გულისხმობს, – ნათქვამია ფოლკლორის ცენტრის ოფიციალურ განცხადებაში.

კულტურა

ვინ შეცვლის ნიკა ვაჩეიშვილს?

დასაწყისი მე-8 გვერდზე

გურამ ოდიშარიამ სომხეთში ვიზიტზეც ისაუბრა:

– სომხეთისა და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ძეგლების რესტავრაცია მოხდება სპეციალისტებთან შეთანხმებითა და მათი თანამონაწილეობით, რათა დაშვებული შეცდომები ძეგლებთან მიმართებით აღარასოდეს აღარ გავიმეოროთ. ამ ვიზიტის დროს სომხეთის კულტურის სამინისტროსა და ქართულ მხარეს შორის ხელი მოეწერა მემორანდუმს, რომლის მსგავსიც მეზობელ სახელმწიფოსთან ქართულ მხარეს წლების განმავლობაში არ გაუფორმებია. ეს არის მემორანდუმი კულტურული ურთიერთობების გაღრმავებისა და გაფართოებისათვის, დაკავშირებული ძეგლებთან, რომლებიც ძალიან მტკივნეულ თემად გვექცა ბოლო წლების განმავლობაში – სომხური ძეგლები საქართველოს ტერიტორიაზე და ქართული ძეგლები – სომხეთის ტერიტორიაზე. ამ მემორანდუმის თანახმად, ორივე მხარე პასუხისმგებლობას იღებს ძეგლების მდგომარეობასა და მოვლა-პატრონობაზე. რაც მთავარია, რესტავრაცია გაკეთდება სომეხ და ქართველ სპეციალისტებთან შეთანხმებითა და მათი თანამონაწილეობით, რათა დაშვებული შეცდომები მნიშვნელოვან ძეგლებთან მიმართებით აღარასოდეს გავიმეოროთ, – განაცხადა გურამ ოდიშარიამ.

გერმანულ-ფრანგული კულტურული არხის „არტეს“ გენერალურ და საერთაშორისო პროგრამების დირექტორებთან ვიზიტის შეჯამებისას კულტურის მინისტრმა განაცხადა, რომ საქართველოში კულტურულ-შემეცნებითი მაუწყებლობა ზაფხულიდან დაიწყება.

– საქართველოში კულტურულ-შემეცნებითი მაუწყებლობის შექმნის შესახებ დიალოგი დაიწყო. ჩვენ საფრანგეთში ვიზიტის დროს გერმანულ-ფრანგული კულტურული არხის „არტეს“ გენერალურ და საერთაშორისო პროგრამების დირექტორებს შევხვდით და მათგან რეკომენდაცია მივიღეთ კულტურულ-შემეცნებითი მაუწყებლობის ამუშავების შესახებ. „არტე“ მზადაა პროგრამების გაცვლისთვისაც, რათა ქართულ მხარეს ინიციატივის ამუშავებაში დაეხმაროს. საქართველოში კულტურულ-შემეცნებით მაუწყებელს დასაწყისისთვის რამდენიმესაათიანი პროგრამა ექნება, მოგვიანებით კი, იმედს ვიტოვებთ, რომ 24-საათიან რეჟიმზეც გადავა. პროექტის ამუშავება 2013 წლის ზაფხულისთვის იგეგმება, – განაცხადა მინისტრის მოადგილე მარინე მიზანდარმა.

სიჯანვოხდი



1. ზეზვა და ...; 2. ყვავილი; 3. მტაცებელი ცხოველი; 4. სოფელი დუშეთის რაიონში; 5. „ქალაქი ...“; 6. დიდი ფრინველის ნარნარი ფრენა; 7. საყოველთაო ღოცვა; 8. ფრანგული კერძი ხორცითა და ბოსტნეულით; 9. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 10. იტალიური ღვეზელი; 11. ვაზ „იზაბელას“ ხალხური სახელწოდება; 12. ბამბის ქსოვილი; 13. ეროვნება; 14. სოფელი ახმეტის რაიონში; 15. ანდრე ...; 16. სკანდინავიური ეპიკური ლიტერატურის ძეგლი; 17. წყლის მოქმედების შედეგად ქანის დაშლის პროდუქტი; 18. ქალისადმი მიმართვა აშშ-ში; 19. სასიმინდე; 20. აღგორითმული ენა; 21. ახლის აღმნიშვნელი წინსართი; 22. ქართული ჭიდაობის ილეთი; 23. სილვესტერ სტალონეს მეტსახელი; 24. ტროპიკული ხილი; 25. სახელმწიფო აზიაში; 26. პირისპირ ანუ ...–ა–...; 27. სახის მიმიკის მოშლა; 28. დასალევი წამალი; 29. ოფიცრის წოდებულება არმიაში; 30. საერთაშორისო ხელშეკრულება; 31. უდიდესი ნეტარება ბუდიზმის მიხედვით; 32. შლამის თევზი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ღვენთი; 2. ზვირთი; 3. კაშაგანი; 4. ვეზუვი; 6. მაცარელა; 8. ობლიგო; 11. კუპიდონი; 12. დემეტრე; 16. ბელგა; 17. დერბი; 18. პაიკი.

თარაზულად: 1. ღვეზელი; 5. სეიმი; 7. ჰაჯიბეი; 9. ნაირობი; 10. ბულიმია; 13. „გერნიკა“; 14. „ლუგელა“; 15. „პელე“; 19. გერგეტი; 20. ლეოპარდი; 21. სამთავისი; 22. დიუონი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. სალიამი; 2. ფოვი; 3. ფედერერი; 4. „ქენონი“; 5. პოეტიკა; 6. ფაეტონი; 11. სტეკა; 13. ჩარტერი; 14. ფილოქსერა; 15. სინელოგია; 17. ჰუსანი; 18. კარატე; 19. ბობი.

თარაზულად: 7. მარიხი; 8. გენეოლოგია; 9. ფილტვი; 10. დეპოზიტი; 12. „ვინჩესტერი“; 14. ფრანსი; 16. სპარტაკი; 18. „კულინანი“; 20. ჭრაქი; 21. ილი; 22. მაყრიონი; 23. რიყე; 24. პირომეტრი.

უგო ჩავესი მიწისქვეშა ბუნკერში გადაიყვანეს

ლათინურ ამერიკაში აქტიურად განიხილავენ უგო ჩავესის ჯანმრთელობის მდგომარეობას. ვენესუელის პრეზიდენტი 18 იანვარს საავადმყოფოს ინტენსიური თერაპიის განყოფილებიდან ჰავანის მიწისქვეშა ბუნკერში გადაიყვანეს. ამის შესახებ ვენესუელური მედიასაშუალებები იუწყებიან.

გავრცელებული ინფორმაციით, ჩავესის მიწისქვეშა ბუნკერში უსაფრთხოდ გადაყვანის მიზნით ვენესუელის მთავრობამ ასობით აგენტი და სამედიცინო სამსახურის თანამშრომლები გამოიყენა.

აღნიშნული ბუნკერი თავის დროზე ფიდელ კასტროსთვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით აშენდა.

ვენესუელური მედიასაშუალებების ინფორმაციით, ჩავესის ბუნკერში გადაყვანის გადაწყვეტილება მისი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მუდმივი გაჟონვის გამო იქნა მიღებული. ერთ-ერთი ვერსიით, ვენესუელის მთავრობა ჩავესის კარაკასში გადაყვანას გეგმავს.

ერთ-ერთი ამერიკული ტელეკომპანიის ინფორმაციით კი, ჩავესი ამჟამად ისეთ მძიმე მდგომარეობაშია, რომ მას სერიოზული პრობლემები აქვს სუნთქვასთან დაკავშირებით და მნიშვნელოვად დაიკლო წონაში. ვენესუელის პრეზიდენტმა ინფარქტიც გადაიტანა.

კარაკასში, ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით, ჯერჯეროობით, კომენტარი არ გაუკეთებიათ. ვენესუელის ოფიციალური ხელისუფლება აღიარებს, რომ უგო ჩავესის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა, თუმცა ის სრულ გონებაზე იმყოფება და გამოჯანმრთელების სტადიაშია.

2012 წლის დეკემბერში 58 წლის უგო ჩავესს მეოთხე ოპერაცია გაუკეთდა. გასულ წელს მას სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს.

„დედ ჰასანი“ მოსკოვში დაკრძალეს

კრიმინალური ავტორიტეტი „დედ ჰასანი“ მოსკოვში, ხოვანსკის სასაფლაოზე დაკრძალეს. რუსული მედიის ინფორმაციით, დილიდან, სასაფლაოსთან ძვირადღირებული ავტომანქანების მოძრაობა იყო, რომელშიც ძირითადად კავკასიური გარეგნობის მამაკაცები ისხდნენ.

იმ ადგილისკენ, სადაც კრიმინალური ავტორიტეტი უნდა დაეკრძალათ, სასაფლაოს დაცვა მხოლოდ ცალკეულ მანქანებს ატარებდა. დაკრძალვის ადგილთან მიახლოების უფლებას არ აძლევდნენ მედიის წარმომადგენლებს. მობილიზებულმა პოლიციამ გააფრთხილა ჟურნალისტები, ტერიტორიაზე არ შევიდნენ და მოტივად მათივე უსაფრთხოება დაასახელა.

სასაფლაოს შესასვლელთან ათამდე ტელეკომპანიის, ასევე ბეჭდური მედიის წარმომადგენლები იყვნენ შეკრებილები. დანარჩენ მოქალაქეებს კი სთხოვდნენ დაესახელებინათ იმის სახელი და გვარი, ვის საფლავზეც აპირებდნენ მისვლას.

როგორც ადმინისტრაცია განმარტავს, უსოიანის დაკრძალვა კერძო ღონისძიებაა და ნათესავები ცდილობენ, მის საფლავთან მიახლოების მცდელობები თავადაც აღკვეთონ.

მოსკოვის ცენტრში „დედ ჰასანის“ სახელით ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტი ასლან უსოიანი 16 იანვარს მოკლეს. რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, თავდასხმა პოვარსკის ქუჩაზე განხორციელდა.

დაჭრილი კრიმინალური ავტორიტეტი რეანიმაციაში მოათავსეს, თუმცა, მალევე გარდაიცვალა. რუსული მედიის ცნობით, თავდასხმისას შემთხვევითი გამვლელი ქალიც დაიჭრა.

1937 წელს საქართველოში დაბადებული უსოიანი რუსეთის ფედერაციაში მოქმედი უმსხვილესი კრიმინალური კლანის ლიდერად ითვლებოდა. სხვადასხვა წყაროს ინფორმაციით, იგი პირველად 19 წლის ასაკში მილიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო გაასამართლეს. მესამე მსჯავრის მოხდისას კი, 1966-1968 წლებში, უსოიანმა „კანონიერი ქურდის“ სტატუსი მიიღო.

რუსული მედია წერდა, რომ უსოიანის ოჯახის წევრებს მისი თბილისში, კუკიის სასაფლაოზე დაკრძალვა სურდათ. მათივე ინფორმაციით, გადმოსვენების მიზნით, ჩარტერული რეისის მიღების თხოვნით ოჯახმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტს მიმართა, თუმცა, აეროპორტის ადმინისტრაციამ რეისის მიღებაზე უარი განაცხადა.

სამგლოვიარო განცხადებები



მეუღლე ლუარა გიგიბერია, შვილები მაია, პაატა შელიები, და ინეზა, ძმა ბაჩიკო, შალვა, თამაზ შელიები, რძლები ნანა ღლონტი, დეა გვასალია, ფაცია, მარინა, სიძეები დავით ხარაბაძე, ალიკა ვარდანია, შვილიშვილები გიორგი შელია, თამარ, ნინო, გელა, ნიკოლოზ ხარაბაძეები, ცოლისძმა გურამ გიგიბერია ოჯახით, დისშვილები, ძმისშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, ახლო ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი (ჟორა) ამირანის ძე შელია

პანაშვიდი: 20, 21 იანვარს.

დაკრძალვა: 22 იანვარს, 14 საათზე (საბურთალოს სასაფლაოზე).

მისამართი: შევარდენიძის (ყოფ. საბურთალოს) ქ.№11.

სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი ღრმა მწუხარებით იუწყება რესპუბლიკის სახალხო არტისტის

გურამ საღარაძის

გარდაცვალებას.

სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს, მეგობრებსა და სრულიად საქართველოს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

თეთრ სახლში პრეზიდენტის ინაუგურაციისთვის ემზადებიან

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა, რომელმაც ნოემბრის არჩევნებზე გამარჯვება მოიპოვა, სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე თავის მეორე ოთხწლიან ვადას იწყებს. ის დღეს ქვეყნის კონსტიტუციაზე დაიფიცებს. ინაუგურაციის საზეიმო ცერემონია კი თეთრ სახლში, ვაშინგტონის ცენტრში აღლუმის და სხვადასხვა საზეიმო ღონისძიებების თანხლებით, ორშაბათს შედგება.

როგორც პრეზიდენტის პრესმდივანი ჯეი კარნი იუწყება, დღევანდელი ცერემონია თეთრი სახლის ცისფერ ოთახში გაიმართება. ცერემონიალს დაესწრებიან პრეზიდენტის ოჯახის წევრები, უახლოესი თანაშემწეები და ჟურნალისტების მცირე ჯგუფი. აქვე პირველად მიიღებს ფიცს ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი.

ძირითადი კანონის მიხედვით, ობამამ უნდა წარმოთქვას შემდეგი სიტყვა: „მე საზეიმოდ ვფიცავ და ვადასტურებ, რომ პატიოსნად შევასრულებ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მოვალეობას და რამდენადაც იქნება ჩემ შესაძლებლობებში, დავიცავ და გავუფრთხილდები შეერთებული შტატების კონსტიტუციას“. ხოლო სიტყვის დასასრულს პრეზიდენტი დაამატებს: „ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი“.

აღსანიშნავია, რომ ოთხი წლის წინ, ფიცის დადების ცერემონიის გავლა ობამას ორჯერ მოუწია. 2009 წელს კაპიტოლიუმის ბირცვზე ინაუგურაციისას, მოსამართლე რობერტსმა, ხოლო შემდეგ ობამამ ფიცის სიტყვები ერომანეთში აურიეს, ხოლო მომდევნო დღეს თეთრ სახლში ცერემონიალის გამეორება გახდა საჭირო. ეს იმისთვის გაკეთდა, რომ კანონიკური ტექსტის დამახინჯებისთვის პრეტენზია არავის წამოეყენებინა. დღემდე ეს ფიცი ოთხჯერ წარმოთქვა მხოლოდ ფრანკლინ დელანო რუზველტმა – ერთადერთმა ამერიკელმა პრეზიდენტმა, რომელიც ორზე მეტი ვადით აირჩიეს.

ცნობილია, რომ უკანასკნელ დღეებში, პრეზიდენტი ობამა ინაუგურაციაზე წარმოსათქმელ სიტყვაზე ბევრს მუშაობდა. პრეზიდენტმა ეს სიტყვა კონგრესის წინაშე უნდა წარმოთქვას. ვარაუდობენ, რომ მასში საუბარი იქნება ადმინისტრაციის მომავალ ოთხწლიან ამოცანებზე, მორალურ პრინციპებზე და საკაცობრიო ღირებულებებზე, რომელიც სახელმწიფოს მართვისა და სოციალური განვითარებისათვის აუცილებელია.

ბარაკ ჰუსეინ ობამა აშშ-ის 44-ე პრეზიდენტია 2009 წლის 20 იანვრიდან. ნობელის მშვიდობის პრემიის 2009 წლის ლაურეატი. ყოფილი უმცროსი სენატორი ილინოისიდან და 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში წამყვანი კანდიდატი დემოკრატთა ნომინაციით. პირველი შავკანიანი პრეზიდენტი აშშ-ის ისტორიაში; ასევე აშშ-ის სენატის ისტორიის განყოფილების თანახმად ის მეხუთე აფრო-ამერიკელი სენატორია აშშ-ის ისტორიაში, მესამე, რომელიც სახალხოდ აირჩა, და ერთადერთი აფრიკელი-ამერიკელი, რომელიც 2008 წლისთვის მსახურობდა სენატში. მეორე ვადით აირჩიეს 2012 წელს.

ნიუ ორლეანის ყოფილ მერს კორუფცია ედება ბრალად

ნიუ ორლეანის ყოფილ მერს, რომელიც ქალაქის ადმინისტრაციას ქარიშხალი „კატრინის“ დროს მართავდა კორუფცია ედება ბრალად.

რეი ნეიგინი ეჭვმიტანილია 160 ათასი აშშ დოლარის ქრთამის მიღებაში, რომელიც მან, სავარაუდოდ, ქალაქის აღდგენაში მონაწილე სხვადასხვა საამშენებლო კომპანიებისგან, ტენდერებში გამარჯვების სანაცვლოდ მიიღო.

გარდა ამისა, ნეიგინი დაადანაშაულეს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციასა და ყალბ საშემოსავლო დოკუმენტაციაში, რომელსაც ის წარადგენდა 2005 წლიდან 2008 წლამდე.

ყოფილ მერს 5-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება, ასევე ემუქრება მრავალათასიანი ჯარიმა.

თავის დროზე ნეიგინმა ქალაქის მოსახლეობის სიმპათიები 2005 წელს სტიქიის შედეგად დაზარალებული ქალაქის აღდგენისა და თანამოქალაქეების დამხარების გაწევის მოწოდებების გამო მოიპოვა.

თუმცა ქალაქის მერად ყოფნისას მისი პოპულარობა დანაშაულის ზრდისა და ქალაქის აღდგენაში შექმნილი პრობლემების გამო დაეცა. ნეიგინს გადადგომამ მოუწია.

ახალი ორლეანი ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი ნავსადგურია, რომელიც მდებარეობს ლუიზიანას შტატში. ახალი ორლეანის მეტროპოლიტის მოსახლეობა შეადგენს 1,235,650 ადამიანს 2009 წლის მონაცემების მიხედვით, რითიც ის აშშ-ში სიდიდით 46-ეა.

მსოფლიოს 100 უმდიდრეს ადამიანს პლანეტაზე სიღარიბის დაძლევა შეუძლია

„ოქსფამის“ აზრით, თანამედროვე ეკონომიკურმა სისტემამ მთელი კაცობრიობის ინტერესებზე უნდა იმუშავოს. ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაციის განცხადებით, პლანეტის 100-მა უმდიდრესმა ადამიანმა გასულ წელს გამოიმუშავა საკმარისი თანხა საიმისოდ, რასაც შეეძლო საბოლოოდ მოეღო ბოლო სიღარიბისათვის მსოფლიოში. ორგანიზაციის მონაცემებით, ამ ასეულის შემოსავლმა 2012 წელს, 240 მილიარდ დოლარს მიაღწია. ამ დროს კი, ღარიბების უმრავლესობა დღეში 1,25 დოლარზე ნაკლებს გამოიმუშავებს ერთ სულზე.

მომავალ კვირას, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გახსნის მოლოდინში, საქველმოქმედო ორგანიზაციამ მსხვილ ბიზნესს და მსოფლიო ლიდერებს სიღარიბის დაძლევისთვის მთელი ძალისხმევის მიმართვისაკენ მოუწოდა. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში, პლანეტის ყველაზე მდიდარი ადამიანების შემოსავალმა 60 პროცენტით მოიმატა.

როგორც „ოქსფამის“ მოხსენებაშია ნათქვამი, თანამედროვე გლობალური ეკონომიკა ისე უნდა რეფორმირდეს, რომ მან მთელი კაცობრიობის ინტერესებისთვის იმუშაოს. „ოქსფამი“ დავოსის ფორუმის მონაწილეებს ურჩევს: დახურონ ყველა საგადასახადო ოაზისები მსოფლიოში, დაადგინონ მინიმალური გლობალური დონე კორპორატიული გადასახადის და გაზარდონ ინვესტიციები საზოგადოებრივი სამსახურების გასავითარებლად.

„ოქსფამი“ 13 ორგანიზაციის კონფედერაციაა, რომლებიც 3000 პარტნიორთან ერთად 100-ზე მეტ ქვეყანაში მუშაობს, რათა სათანადო გადაწყვეტა მოუძებნოს სიღარიბესა და უსამართლობას.

„ოქსფამის“ ცამეტი ორგანიზაცია დაფუძნებულია: ავსტრალიაში, ბელგიაში, კანადაში (ცალკე განყოფილებით კვებეკის პროვინციისთვის), საფრანგეთში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, ჰონგკონგში, ირლანდიაში, ნიდერლანდებში, ახალ ზელანდიაში, ესპანეთში და აშშ-ში. „ოქსფამის“ პატარა საერთაშორისო ოფისია გახსნილი ოქსფორდში და ოფისი ხელმძღვანელობს საადვოკატო კანტორებს ვაშინგტონში, ნიუ იორკში, ბრიუსელსა და ჟენევაში.

თოვლმა ევროპა მიაჯაჭვა: აეროპორტებში ასობით რეისი გადადებულია

ევროპული სატრანსპორტო სისტემა გადაუღებელი თოვის შედეგებთან ბრძოლას აგრძელებს. დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და გერმანიის უმსხვილეს აეროპორტებში გადადებულია ასეულობით რეისი – მთელი ხელმისაწვდომი ტექნიკა, ასაფრენ-დასაფრენი ზოლების გასუფთავებას ვერ უმკლავდება. გართულებულია მოძრაობა ავტომაგისტრალებზეც.

საფრანგეთში თოვა მესამე დღეა გრძელდება. მეტეოროლოგიური განგაშის მაღალი, „ნარინჯისფერი“ დონე დეპარტამენტების ნახევარში არის გამოცხადებული. სამოქალაქო ავიაციის მთავარი სამმართველოს გადაწყვეტილებით, რეისების 40% გადადებულია.

ევროპის უმსხვილესმა აეროპორტმა, ლონდონის ჰითროუმ, ბრიტანეთის დედაქალაქში რთული ამინდის გამო, ყოველი მეხუთე რეისი გადადო. მთელი თოვლის ამღები ტექნიკა ამოქმედებულია, თუმცა მისი შესაძლებლობები არასაკმარისია. გასულ დღეებში, ჰითროუში 500-ზე მეტი ავიარეისი გადაიდო. ბევრი გაფრენა შეჩერებული იქნა, ხოლო მგზავრების ნაწილს აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში შვიდი საათის გატარება მოუწია.

გერმანიის უმსხვილეს, მაინის ფრანკფურტის აეროპორტში მარტო კვირას დაახლოებით 130 ავიარეისი გადადეს. აეროპორტში დაძაბული მდგომარეობაა, თვითმფრინავების გამგზავრება ყოვნდება. მგზავრებს სთავაზობენ, რომ დანიშნულების ადგილებამდე მატარებლებით ჩავიდნენ.

მოამზადა ვერა მამულაშვილმა

TV პროგრამა

ოთხშაბათი 21 იანვარი

06.30 დ/ფ „სუფრაჟისტები“ 07.30 „ჩვენი დილა“ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.30 „მოამბე“ 10.30 „დილის საუბარი“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ 15.00 ტ/სერ „როსელა“ (U) 17.00 „სპიკერი“ 18.00 „პეპე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი“ (U) 21.00 ტ/სერ „კიარა და ფრანჩესკო“(U) 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ 23.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა“ 00.00 „საფარი“ 01.00 მხ/ფ „შემოჭრა“ (ნ. კიდმანი) (15) 02.40 ტ/სერ „სპირალი“ (U)

08.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები“ — „სტამბული“ 09.00 მხ/ფ „პატარა პრინცესა“ 10.35 მხ/ფ „ბანრისხეული ფანტომასი“ (ლუი დე ფიუნესი) 12.10 მხ/ფ „თქვენთვის წერილია“ (მ.რაიანი) 14.00 „ფერების სამყარო“ 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო“ 16.00 დ/ფ „მარი კიური“ 19.00 ტ/სერ „ოჯახური გამოძიება“ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა“ (პ/ე) 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30, 09.10 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე“ 11.30 სერ. „უკვდავი ამბავი“ 12.30 ფორტ ბოიარი 13.00 სერ. „ბაძაცევა– 3“ 14.45 სერ. „24– 4“ 15.45 სერ. „დამალული სიმართლე“ 17.40 სერ. „თილისმა“ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება“ 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში“ (გ/ჩ) 23.00 სერ. „ღვინის გზა“ 6 სერ. 00.15 მხ/ფ. „ვან ჰელსინგი“ (ჰ. ჯეკმენი) 02.35 მხ/ფ. „სიბრმავე“ (ჯ. მური) 04.35 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 15.30 შერეკილები 17.00 სერ. „ვნების უფსკრული“ 18.45 სერ. „მგზნებარე გული“ 19.50, 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია“ 22.00 იღბლიანი ბორბალი 23.00 შიშის ფაქტორი 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.30 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 06.55 მხ/ფ „დაბინანებული სასიძო“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.10 მხ/ფ „მზე შემოდგომისა“ 13.30 კონცერტი-ტონი ბენეტი 14.50, 18.20, 22.35, 23.50 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმრები 15.30 სპექტაკლი „დარისპანის გასაჭირი“ 17.05 კონცერტი - „აპირებს გათენებას“ 18.10 ტელეზღაპარი 18.25 ერთი წვეთი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.15 მხ/ფ „აძედანა და შენამდე“ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 საღვთისმეტყველო საუბრები 22.20 წმინდანთა ცხოვრება-აბო თბილელი 22.40 დოკ/ფ „წმინდა მოწამენი ქართლისანი“ 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დრო და ტრადიციები „ქართულ-ებრაული ურთიერთობები“ 00.35 განთიადის სტუმრები 01.00 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები

მაესტრო 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 22.20 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი“ 20.05, 0.30 თოქ-შოუ „არგუმენტები“ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.15 ყოველდღიური აბები 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

21 იანვარი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 1,6582
- ევრო — 2,1994
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6870
- რუსული რუბლი — 0,0548

ამინდის პროგნოზი 21 იანვრისთვის

„ახალ თაობასთან“ ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ფოი 1 ამერიკული ზღაპრები

ფოლკლორის ცენტრმა მემორანდუმი გააფორმა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებით კავშირთან გააფორმა. დოკუმენტის ხელმოწერის ცერემონიალზე ცნობილი გახდა, რომ მემორანდუმის ძირითადი მიზანია ქართული ხალხური ცეკვის სიწმინდისა და თვითმყოფადობის (ავთენტიკურობის) შენარჩუნება, საქართველოს კუთხეებში დღემდე შემორჩენილი ტრადიციული ქართული ხალხური საცეკვაო ნიმუშების მოძიება და დაფიქსირება, ცეკვის, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლების რეპერტუარის დახვეწა-გამდიდრება, საბავშვო საცეკვაო რეპერტუარის მოძიება-აღორძინება, ბავშვთა და მოზარდთა ანსამბლებში მისი დანერგვა-გაცოცხლება, ფოლკლორული, ბავშვთა, მოზარდთა, ახალგაზრდული ანსამბლების საშემსრულებლო და შემოქმედებითი დონის განსაზღვრად საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისის შემუშავება, ქართული ხალხური არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის – ქორეოგრაფიის – ინვენტარიზაცია, ბავშვთა და მოზარდთა ქორეოგრაფიულ ანსამბლებში ესთეტიკური აღზრდისა და საცეკვაო კულტურისადმი თავიდანვე ყურადღების გამახვილება, უცხო საცეკვაო ელემენტების აღმოფხვრა, შესრულების მანერისა და სტილის ქართულ ხალხურ საცეკვაო ლექსიკასთან მაქსიმალურად მიახლოება.

მემორანდუმი მხარეებს შორის გაფორმდა ერთი წლით და ის ძალაში შევიდა ხელმოწერისთანავე.

– საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ისტორია საკმაოდ შორიდან იწყება. ხალხური შემოქმედების კაბინეტი 1936 წელს ჩამოყალიბდა, ხალხური შემოქმედების სახლი 1937-1980 წლებში ფუნქციონირებდა, ხალხური შემოქმედებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდუ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფაჩულია და შენგელია მოედანზე ერთმანეთს ისევ ასცდნენ

ამერიკის ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში ერთმანეთს ზაზა ფაჩულიას „ატლანტა“ და თორნიკე შენგელიას „ბრუკლინი“ მეორედ დაუპირისპირდნენ, მაგრამ ქართველები ერთმანეთს მოედანზე ამჯერადაც ვერ შეხვდნენ – ბრუკლინელთა მწვრთნელმა 21 წლის ქართველი მატჩის 13-კაციან განაცხადში ისევ არ შეიყვანა.

რაც შეეხება საკუთრივ მატჩს, ბრუკლინელებმა 2 დღის წინ დამარცხებისთვის ატლანტელებს შინაურ კედლებში რევანში აუღეს. ატლანტელთა ქართველი ცენტრი წინა მატჩის მსგავსად სასტარტო ხუთეულში იყო, რომელმაც ამჯერად ტრავმირებული ალ ჰორფორდის ადგილი დაიკავა. ჰორფორდთან ერთად ატლანტელებს აკლდათ ტრავმირებული ლუის უილიამსი და მიუხედავად ასეთი დიდი დანაკლისისა, ფაჩულიას გუნდმა ბოლომდე იბრძოლა და მოგების შანსს შეხვედრის უკანასკნელ წამებამდე ინარჩუნებდა. ისეთი თანაბარი ბროლა იყო, რომ მატჩის პირველი, მეორე და მესამე მეოთხედები ფრედ დასრულდა. ბოლო პერიოდი მასპინძელმა ბრუკლინელებმა 5 ქულით მოიგეს და საბოლოო ანგარიშიც დაფიქსირდა – 94:89.

თუ წინა შეხვედრაში ფაჩულიას სამმაგ დუბლამდე 2 მოხსნა დააკლდა, ამჯერად კი შედარებით მოკრძალებული იყო. ქართველმა ცენტრმა 5-დან 2 ორქულიანი ჩააგდო და შეხვედრა 4 ქულით, 6 მოხსნით, 2 პასითა და 1 ჩაჭრით დაასრულა. ატლანტელთაგან 21 ქულითა და 10 პასით საუკეთესო ჯეფ ტიგი გახლდათ. ბრუკლინელებს კი ისევ დერონ უილიამსმა ულიდერმა, რომელმაც 24 ქულა და 7 შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

მომდევნო მატჩისთვის ატლანტელებს ალ ჰორფორდი გამოუჯანმრთელდათ, რომელმაც ხუთეულში კუთვნილი ადგილი დაიკავა და ამის მიუხედავად, ზაზა ფაჩულიამ კვლავ სასტარტოში ითამაშა. სამწუხარო ის გახლავთ, რომ ატლანტელებმა ზედიზედ მეორე შეხვედრას წააგეს. „ჰოუქსმა“ ამჯერად „სან ანტონიოს“ უმასპინძლა და 93:98 დამარცხდა.

მატჩის ბედი ბოლო მეოთხედში გადაწყდა, რომლის დაწყებამდეც სანანტონიოელები მხოლოდ 2 ქულით იგებდნენ. ფაჩულიამ ხუთეულში 28 წუთი ითამაშა და შეხვედრა 4 ქულით, 9 მოხსნით და 1 პასით დაასრულა. ზაზამ 4-ჯერ შეუტია ტეხასელთა ფარს და 2-ჯერ იხეირა. ატლანტელთაგან 21 ქულით და 8 მოხსნით საუკეთესო ჯოშ სმიტი გახლდათ. **მ. ჟ.**

ნინო ქათამაძეზე ფილმი გადაიღეს

ეკა ირემაშვილი

მომღერალ ნინო ქათამაძეზე ფილმი გადაიღეს. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა მომღერლისა და მისი მუსიკოსებით რეჟისორები ინტერესდებიან. ნინო ქათამაძე ყოველთვის ყურადღების ცენტრშია. ამჯერად მისი შემოქმედებითა და მუსიკალურ კომპოზიციებზე მუშაობის პრინციპით რეჟისორი ჟენია გორინი დაინტერესდა.

ფილმის ჩვენება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის აუდიტორიაში მოეწყო. „ვიოცნებოთ ბუნებრიობაზე“ – ასე ჰქვია 30-წუთიან ფილმს, რომლის მწარმოებელიც რუსეთი და გერმანიაა. ფილმი 2011 წელს არის გადაღებული და მთლიანად ნინო ქათამაძეს და ჯგუფ „ინსაითს“ ეძღვნება.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართული ფილმის ჩვენების შემდეგ დისკუსია გაიმართა. ეს ფილმი საქართველოში პირველად ნაჩვენები იყო ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალზე 2012 წლის სექტემბერში. ფილმის შემქმნელების თქმით, ის არის საინტერესო ექსპერიმენტი – ცეკვის ექ-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ყველამ გაითვალისწინეთ!

ასტროპროგნოზი 21 იანვრისთვის

წარმატებული დღეა

ვერძი – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ჯარო** – მხიარულ ხასიათზე ხართ, ოცნება აგისრულდებათ. **ტყუპები** – მთლიანობაში წარმატებული დღეა, ყველა საქმე გამოგდით. **კირჩხიბი** – ახალი საქმე გაამართლებს, ფული გექნებათ. **ლომი** – ყურადღების ცენტრში ხართ, წარმატება არ აგცდებათ. **ქალწული** – ძველი საქმის კეთება თუ მოგბეზრდათ, რამე ახალი მოიფიქრეთ. **სასწორი** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ღრიანაკალი** – სამუშაოს შესრულების შემდეგ დაჯილდოვდებთ. **მშვილდოსანი** – კარგ ფორმაში ხართ, თანაც გახალისებული. **თხის რქა** – ფული გაქვთ, გელით სხვა წარმატებაც. **თხის რქა** – არ აყვეთ სხვებს, თქვენი საქმე მიიყვანეთ ბოლომდე. **მერწყული** – სახლში სიახლეა, მალე სტუმრები გეყოლებათ. **თევზები** – თქვენი დღეა, იაქტიურეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი

თარაზულად: 1. რისამე მოსპობა; 4. თავდამსხმელი ფეხბურთში; 7. საზოგადოებრივ ბუფეტებში საჭმლის ცხლად შესანახი მოწყობილობა; 9. ნერვის ანთება; 10. აღმოსავლური ტკბილეული; 12. ესპანეთში ფაშისტი დიქტატორი – ფრანკო; 16. ათასი მილიონი; 17. დაჭაობებული ნიადაგის ამოსაშრობი მოწყობილობა; 18. ფლოტის სარდალი ძველ საბერძნეთში; 20. სამხედრო გემი; 21. ლანგარი; 22. ძარღვების განაწილება მცენარის ფოთლებზე.

შვეულად: 1. გრ. რობაქიძის პიესა; 2. მიცემითი ბრუნვა; 3. თბილისის უბანი; 5. მიწის ფართობის საზომი ერთეული; 6. სამაგიდო თამაში; 8. დაბალი დგომა კრივში; 11. მთამსვლელი; 13. ნახშირბადის ნაერთი ლითონთან; 14. სარტყელი მუსიკალური საკრავი; 15. იდუმალი რამ; 19. ხვიარა ბალახოვანი მცენარე.

შეადგინა ოლივერ კოხიამ



ალექსანდრე იაშვილი: „ფეხბურთს 2013 წელს თავს არ დავანებებ“

უკვე 16 წელია ალექსანდრე იაშვილი გერმანიაში აგორებს ბურთს. ჩვენებურმა „ბოხუმამდე“ „ლიუბეკის“, „ფრაიბურგისა“ და „კარლსრუეს“ მაისურების მორგება მოასწრო. დღეისთვის 35 წლის ქართველი თავდამსხმელი „ბოხუმის“ ყველაზე ასაკოვანი მოთამაშეა.

კლუბის ვებგვერდზე ქართველ ფეხბურთელთან ინტერვიუ გამოქვეყნდა.

– შარშან „კარლსრუეში“ თამაშობდი, ახლა კი „ბოხუმის“ ფეხბურთელი ხარ. რა განასხვავებს ამ ორ კლუბს?

– „ბოხუმს“ უკეთესი შემსრულებლები ჰყავს და დიდი იმედი მაქვს, რომ ეს გუნდის შედეგებზეც აისახება.

– რატომ ვერ აღწევს „ბოხუმი“ კარგ შედეგებს?

– ამას ბევრი მიზეზი აქვს. უპირველესად, იმას აღვნიშნავდი, რომ ხშირად იმ მატჩების მოგებასაც კი ვერ ვახერხებთ, სადაც აშკარა უპირატესობას ვფლობთ. როცა ნეგატიური შეხვედრები ერთმანეთს ებმის, ამ სიტუაციისთვის თავის დაღწევა ძალიან ძნელია.

– დეკემბერში „ბოხუმმა“ ზედიზედ სამი ოფიციალური მატჩი მოიგო. შეგიძლია თქვა, რომ ეს გარდამტეხი მომენტია?

– დიდი იმედი მაქვს, რომ სწორედ ასეა. ფაქტია, რომ ბოლო დროს თამაშის ხარისხი საგრძნობლად გამოვასწორეთ და წარმატებული სერიით ზამთრის პაუზას პოზიტიური განწყობით შევხვდით. თუ ასე გავაგრძელებთ, აუტსაიდერთა რიგებს სულ მალე დავტოვებთ და გაცილებით მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ. „ბოხუმს“ შესწევს იმის ძალა, რომ მეორე ბუნდესლიგაში დარჩენისთვის ბრძოლას არ დასჯერდეს და უფრო მეტზე მეტზე იფიქროს.

– „კარლსრუეს“ მეორე ბუნდესლიგიდან გავარდნამ შენზე როგორ იმოქმედა?

– მე გუნდის კაპიტანი ვიყავი, ასე რომ, ეს ამბავი ჩემთვის ნამდვილი კატასტროფა იყო. „კარლსრუეს“ გავარდნა გულშემატკივრების გამოც განვიცადე. იმის მიუხედავად, რომ მე-17 ადგილზე ვიყავით, ჩვენი 30.000-იანი სტადიონი ყოველთვის ბოლომდე ივსებოდა. მოხარული ვარ, რომ ჩემი ყოფილი გუნდი ახლა აღმავლობის გზაზეა.

– შენი ოჯახი ახლაც კარლსრუეში ცხოვრობს. ეს იმას ნიშნავს, რომ კარიერის დასრულების შემდეგ იქ დაფუძნდები?

– საერთოდ, გადაწყვეტილი მაქვს, რომ საცხოვრებლად თბილისში უნდა დავბრუნდე. თუმცა ჩემი სამი შვილი სკოლაში გერმანიაში დადის, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩემი ოჯახი რამდენიმე წელიწადს აქ დარჩება.

– შენი საფეხბურთო მომავალი როგორ წარმოგიდგენია?

– „ბოხუმთან“ ჩემი კონტრაქტი ზაფხულში ინურება. ჯერჯერობით,

გაგრძელება მე-10 გვერდზე